# სექსუალური ძალადობა და პასუხისმგებლობის ატრიბუცია საქართველოში ახალგაზრდების მაგალითზე

ნატალია მჭედლიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია*
*თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის*
*სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების საბჭოზე*
*სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჟღენტი, დოქტორი.

**თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2023**

**ავტორის დეკლარაცია**

*როგორც წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაციის ავტორი, ვაცხადებ, რომ ჩემი დისერტაცია წარმოადგენს ორიგინალურ ნაშრომს და მასში სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილი მასალები გამოყენებულია ციტირების სათანადო წესების დაცვით.*



ნატალია მჭედლიშვილი

თარიღი: 13.04.2023.

დისერტანტი: ნატალია მჭედლიშვილი

დისერტაციის სათაური: სექსუალური ძალადობა და პასუხისმგებლობის ატრიბუცია საქართველოში ახალგაზრდების მაგალითზე

დისერტაციის დაცვის თარიღი: --------

რეცენზენტი 1: /სახელი, გვარი/

რეცენზენტი 2: /სახელი, გვარი/

რეკომენდებულია დაცვისათვის სამეცნიერო მიმართულების კომისიის მიერ.

თავჯდომარე, /სახელი, გვარი/ : ______________________________

(ხელმოწერა)

წევრი, /სახელი, გვარი/: ______________________________

(ხელმოწერა)

წევრი /სახელი, გვარი/: ______________________________

(ხელმოწერა)

სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი: __________________ / სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

სადოქტორო სკოლის კოორდინატორი: _________________________ / სახელი, გვარი/

(ხელმოწერა)

თარიღი: --------

## აბსტრაქტი

რა მიაჩნიათ სექსუალურ ძალადობად და ვის აკისრებენ მომხდარზე პასუხისმგებლობას ახალგაზრდები საქართველოში? სექსუალური ძალადობის შემთხვევები ყველა ასაკში და გარემოში შესაძლოა მოხდეს, თუმცა განსაკუთრებულ რისკ ფაქტორად სწორედ სტუდენტობის პერიოდი მიიჩნევა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების თანახმად სექსუალური ძალადობის განსაკუთრებით ბევრი შემთხვევები ვლინდება უნივერსიტეტების კამპუსებში. კვლევით დასტურდება, რომ სტუდენტობის პერიოდი მოიცავს მეტ სოციალურ ინტერაქციას და სექსუალურ აქტივობას. წინამდებარე კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა თუ რას მიიჩნევდნენ სექსუალურ ძალადობად და ვის აკისრებენ მომხდარ ძალადობაზე პასუხისმგებლობას ახალგაზრდები საქართველოში. კვლევის მეთოდად გამოყენებული იყო თვისებრივი მეთოდები - სექსუალური ძალადობის შემთხვევების მედია ანალიზი და სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი სპეციალისტებთან და ახალგაზრდებთან. კვლევა ჩატარდა საქართველოს ორ დიდ ქალაქში - თბილისში და ბათუმში. შემთხვევების შესწავლის შედეგად გამოვლინდა სექსუალური ძალადობის სხვადასხვა სიმძიმის 12 ტიპური შემთხვევა. ახალგაზრდებმა საქართველოში მომხდარი ტიპური სექსუალური ძალადობის შემთხვევების განხილვის დროს გამოყვეს სექსუალური ძალადობის სამი ძირითადი კატეგორია: მსუბუქი ფორმა - შეხების გარეშე, ნაწილობრივ ფარავს სექსუალურ შევიწროვებასაც, გარდამავალი ფორმა - მოიცავს სექსუალური შევიწროვების რთულ შემთხვევებს და სექსუალურ იძულებას, ამ ფორმის ძირითადი მახასიათებელია ფსიქოლოგიური ძალადობა და მუქარა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფიზიკურ ზემოქმედებას; სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებით მიღწეულ სექსუალურ ურთიერთობას. რესპონდენტებმა მიიჩნიეს, რომ საკმაოდ რთულია ზღვრის გავლება, როგორც ფლირტსა და სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას შორის, ასევე სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმებს შორისაც. რესპონდენტები მომხდარ სექსუალური ძალადობის შემთხვევაზე ძირითადად მოძალადე მხარეს აკისრებდნენ პასუხისმგებლობას, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლზეც ანაწილებდნენ მცირე პასუხისმგებლობას, რადგან მიაჩნდათ რომ

მსხვერპლს ჰქონდა საშუალება შედარებით მსუბუქი ფორმის ძალადობის ეტაპზე მოეხერხებინა მოცემული სიტუაციიდან თავის დაღწევა. წინამდებარე კვლევის შედეგად აღმოცენდა ახალი კვლევითი კითხვები და ასევე, შესაძლოა შეიქმნას ახალგაზრდებთან სექსუალური ძალადობის პრევენციის პროგრამები საქართველოში.

**საძიებო სიტყვები:** 1) სექსუალური ძალადობა, 2) გაუპატიურება, 3) სექსუალური შევიწროვება, 4) სექსუალური იძულება, 5) პასუხისმგებლობის ატრიბუცია, 6) თვისებრივი მეთოდები 7) ახალგაზრდები

**Abstract**

What do Georgian youth consider as sexual violence and who is responsible for sexual violence in different situations? Sexual violence can occure at any age and in any setting, but the period of studing at university is considered as a particularly risk factor. According to studies conducted in different countries of the world especially many cases of sexual violence occur in college campuses. Also, being a student involves more social interactions and sexual activities. The aim of the research is to understand how Georgian youth understand sexual violence and who they think are responsible for sexual violence cases in Georgia. Qualitative methods were used as research method - media analysis of sexual violence cases and in-deepth interviews with specialists and youth. The research was conducted in two big cities of Georgia - Tbilisi and Batumi. The interviews and media analysis revealed 12 typical cases of sexual violence. During the discussion about typical sexual violence cases in Georgia youth separated three main forms - categories of sexual violence: light form - without touching, it also partially covers sexual harassment; transitive form - includes severe cases of sexual harassment and sexual coercion, the main characteristic of this form is psychological violence and threat, may occur physical touch too; severe form of sexual violence - sexual intercourse was held by using physical force. The respondents think that it is quite difficult seperate flirting and light form of violence from each other, also sexual violence different forms too. They attributed responsibility to the abusive person, but sometimes they distribute responsibility to victim too, because they think sometimes victim had chance to avoid sexual violence before it became severe form. As a result of the research, new research questions have raised, also new programs for prevention of sexual violence in youth could be designed in the future.

**Key words:** 1) sexual violence, 2) rape, 3) sexual harassment, 4) sexual coercion, 5) attribution of responsibility, 6) qualitative methods, 7) youth.

ხელმძღვანელი: ნინო ჭელნტი

## მადლობა

სადისერტაციო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისათვის მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორს - ნინო ჟღენტს. მისი პროფესიული და ადამიანური მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სადისერტაციო თემის მომზადება და დასრულება.

მადლობა მინდა გადავუხადო შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, რომლის საგრანტო კონკურსის ფარგლებში ჩემი სადისერტაციო კვლევითი პროექტი დაფინანსდა (2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი - გრანტი PHDF-19-057). მომეცა შესაძლებლობა დავსწრებოდი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას და დამებეჭდა სტატია შესაბამის სამეცნიერო ჟურნალში.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის მონაწილეებს - სპეციალისტებს, რომლებიც სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე მუშაობდნენ და არ დაიზარეს საკუთარი გამოცდილების შესახებ ესაუბრათ. დიდი მადლობა ახალგაზრდებს, რომლებმაც დამითმეს დრო და არ დაეზარათ ემსჯელათ სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ და გულწრფელად გამოეხატათ საკუთარი დამოკიდებულება.

## სარჩევი


| | | |
|---|---|---|
| დეკლარაცია........................................... | ...................................... | i |
| დარგობრივი კომისიის რეკომენდაცია | ...................................... | ii |
| აბსტრაქტი........................................... | ...................................... | iii |
| მადლობა............................................... | ...................................... | vi |
| სარჩევი................................................. | ...................................... | vii |
| ცხრილების სია.................................... | ...................................... | x |
| გრაფიკების სია..................................... | ...................................... | xi |
| შესავალი.............................................. | ...................................... | 1 |
| 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა ......................................... | ...................................... | 4 |
| 1.1 სექსუალური ძალადობის განსაზღვრება ........................................ | ...................................... | 4 |
| 1.2 სექსუალური ძალადობის შედეგები.................................................. | ...................................... | 5 |
| 1.3 სექსუალური ძალადობა ერთი და იგივე სქესის/გენდერის ადამიანებში | ...................................... | 5 |
| 1.4 სექსუალური ძალადობის თეორიები................................................ | ...................................... | 7 |
| 1.4.1 რუტინული აქტივობის თეორია | ...................................... | 7 |
| 1.4.2 ფემინისტური თეორია | ...................................... | 8 |
| 1.4.3 სოციალური დასწავლის თეორია...................................... | ...................................... | 9 |
| 1.4.4 ტიპოლოგიური მიდგომები | ...................................... | 11 |
| 1.5 სექსუალური ძალადობა და პასუხისმგებლობის ატრიბუცია .......... | ...................................... | 12 |
| 1.5.1 ვაინერის ატრიბუციის თეორია | ...................................... | 12 |
| 1.5.2 სექსუალური ძალადობა და სამართლიანი სამყაროს რწმენის ეფექტი | ...................................... | 13 |
| 1.5.3 შეივერის თეორია - „თავდაცვითი ატრიბუციის ჰიპოთეზა“ და სხვა კვლევები....................................... | ...................................... | 14 |
| 1.6 სექსუალური ძალადობა და კულტურა .......................................... | ...................................... | 16 |
| 1.7 სექსუალური ძალადობა ახალგაზრდებში.................................... | ...................................... | 17 |
| 1.8 გაუპატიურების კულტურა ......... | ...................................... | 20 |
| 1.9 გაუპატიურების კულტურა უნივერსიტეტების კამპუსებში ........... | ...................................... | 22 |
| 1.10 სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობა და სექსუალური ძალადობა | ...................................... | 24 |
| 2. კვლევის მეთოდოლოგია............... | ...................................... | 27 |

2.1 პირველი ეტაპი: სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლა კვლევის ინსტრუმენტის შექმნის მიზნით...................................................... ...................................... 27
2.2 კვლევის მეორე ეტაპი - კვლევის ინსტრუმენტის შექმნა და ახალგაზრდების გამოკითხვა............. ...................................... 29
2.2.1 მონაცემების შეგროვება ..... ...................................... 29
2.2.2 მონაცემების ანალიზი ........ ...................................... 33
2.2.3 კვლევის შეზღუდვები ........ ...................................... 36
3. კვლევის შედეგები ...................... ...................................... 37
3.1 თემა - სექსუალური ძალადობა ...................................... 37
3.1.1. მსუბუქი ფორმა - შეხების გარეშე .................................................. ...................................... 39
3.1.2 გარდამავალი ფორმა ......... ...................................... 43
3.1.3 მძიმე ფორმა - ფიზიკური ძალის გამოყენებით ............................ ...................................... 47
3.1.4. თემის - სექსუალური ძალადობის შეჯამება ....................... ...................................... 49
3.2 თემა - ზღვარი ......................... ...................................... 50
3.2.1 არ მივიჩნევ ..................... ...................................... 51
3.2.2 ფლირტსა და მსუბუქ ფორმას შორის ზღვარი .................................... ...................................... 54
3.2.3 სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარი ............... ...................................... 55
3.2.4 თემის -ზღვარის შეჯამება .... ...................................... 57
3.3 თემა - მომხდარზე პასუხისმგებლობა ...................... ...................................... 58
3.3.1 ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ....................... ...................................... 58
3.3.2 კოლექტიური პასუხისმგებლობა. ...................................... 70
3.3.3 თემის - მომხდარზე პასუხისმგებლობის შეჯამება .......... ...................................... 74
4. კვლევის შედეგების განხილვა ......... ...................................... 76
4.1 სექსუალური ძალადობის ფორმები ...................................... 76

| | | |
|---|---|---|
| 4.1.1განსაზღვრება - სექსუალური შევიწროვება, მსუბუქი ფორმა ......... | ....................................... | 77 |
| 4.1.2 განსაზღვრება - გარდამავალი ფორმა, სექსუალური იძულება ....... | ....................................... | 78 |
| 4.1.3 სექსუალური ძალადობა - ზოგადი განსაზღვრება და მძიმე ფორმები .................................. | ....................................... | 79 |
| 4.2 ზღვარი ................................ | ....................................... | 80 |
| 4.3. პასუხისმგებლობის ატრიბუცია და მსხვერპლის ბრალეულობა .......... | ....................................... | 81 |
| 4.3.1 სექსუალურ ძალადობაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობა | ....................................... | 82 |
| 4.3.2 სექსუალურ ძალადობაზე კოლექტიური პასუხისმგებლობა ...... | ....................................... | 85 |
| 5. დასკვნა ................................................ | ....................................... | 87 |
| ბიბლიოგრაფია........................................ | ....................................... | 94 |
| დანართები ............................................ | ....................................... | 105 |
| დანართი 1: კვლევის მონაწილეები | ....................................... | 105 |
| დანართი 2: ინტერვიუს გზამკვლევი | ....................................... | 107 |

## ცხრილების სია

ცხრილი #1 - სექსუალური ძალადობის შემთხვევების მოკლე აღწერა................30

ცხრილი #2 - თემატური ანალიზის ეტაპები.............................................34

## გრაფიკების სია

გრაფიკი #1 - თემების სქემატური გამოსახულება ........................................38

## შესავალი

სოციალურ მეცნიერებს შორის დიდ ყურადღებას და დაინტერესებას იწვევს ძალადობის საკითხების შესწავლა. ძალადობის ცნება თანდათან ფართოვდება და იცვლება, ემატება ახალი ფორმები. ამ დროისათვის ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ ძალადობის შედარებით „მსუბუქ" ფორმებსაც ადამიანისთვის დამანგრეველი შედეგის მოტანა შეუძლია (Krug et al. 2002). მსოფლიოში სექსუალური ძალადობის გავრცელების შესახებ კვლევას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ყოველი მეხუთე ქალს პარტნიორის მხრიდან სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც აქვს განცდილი სექსუალური ძალადობა, ხოლო ყოველი მესამე ქალის პირველი სექსუალური გამოცდილება იყო ნაძალადევი (Garcia-Moreno et al. 2015).

სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ სექსუალური ძალადობის მიმართ ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი ახალგაზრდები - სტუდენტები არიან, რადგან ამ ასაკში სოციალური აქტივობა განსაკუთრებით მაღალია (Kirkpatrick and Kannin 1957; Horn, Nevill, and Griffith 2006; National Center for Education Statistics [NCES] 2015; Cantor et al. 2015). თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სექსუალური ძალადობის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებების სამეცნიერო კვლევისათვის აქტუალური საკითხია, განსაკუთრებით საქართველოს კონტექსტში.

საქართველოში სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად გვხვდება სექსუალური ძალადობის საკითხის შესახებ სამეცნიერო კვლევები. ამ დრომდე ჩატარებული კვლევები ძირითადად ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებს ეხება, სექსუალური ძალადობის საკითხი მხოლოდ ერთ-ერთი ქვეპუნქტია და ამ საკითხის შესახებ მხოლოდ მწირ ინფორმაციას იძლევა. მიუხედავად ამისა 2017 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ სექსუალური ძალადობა საქართველოში საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკაა (UN Women Georgia 2017). მაგალითად, გამოკითხული ქალების 26.2% ამბობს, რომ განცდილი აქვთ სექსუალური ძალადობა ან სექსუალური შევიწროვება, როგორც სრულწლოვან ასევე არასრულწლოვან ასაკში (UN Women Georgia 2017). საგულისხმოა, რომ მონაწილეთა ეს პასუხები არ ასახავს პარტნიორის

მხრიდან ძალადობის შემთხვევებს, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ასეთი შემთხევევები კიდევ უფრო მეტია. ამავე კვლევაში გამოვლინდა სხვა საკმაოდ საყურადღებო ტენდენციებიც. მაგალითად, მამაკაცების 22% მიიჩნევს, რომ თუ ქალი გააუპატიურეს, ის თვითონ მოიქცა ისე, რომ ამ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სამწუხაროდ იგივეს პასუხობს ქალების 16%. მამაკაცების 50% მიიჩნევს რომ თუ ქალი ძლიერ ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევდა მოძალადეს, მას ეს უნდოდა და შემთხვევას გაუპატიურებას ვერ ვუწოდებთ, ქალი რესპონდენტების 49%-ც იგივეს პასუხობს (UN Women Georgia 2017).

სექსუალური ძალადობის საკითხზე საუბრისას სოციალური მეცნიერები ხშირად ეხებიან მომხდარ შემთხვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს, რადგან აქამდე არსებული კვლევები მათ ურთიერთკავშირზე მეტყველებს. მაგალითად, კვლევის შედეგად დასტურდება რამდენიმე ცვლადის გავლენა იმაზე, თუ რამდენად დაადანაშაულებენ მსხვერპლს მომხდარში. ამ ცვლადებს შორისაა მსხვერპლის მახასიათებლები და სიტუაცია, რომელშიც ძალადობას ჰქონდა ადგილი (Horgan and Reeder 1986). საქართველოში ამ საკითხის შესახებ არ მოგვეპოვება რაიმე სახის სამეცნიერო ცოდნა. სწორედ ამ მიზეზით მიმდინარე კვლევა საქართველოში მომხდარ სექსუალურ ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხსაც ეხება.

**კვლევის მიზანი და საკვლევი კითხვები**

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით განისაზღვრა კვლევის მიზანი, რომელიც წარმოადგენს სამ ძირითად საკვლევ კითხვაზე პასუხის გაცემას:

1. რა მიაჩნიათ და რა არ მიაჩნიათ ქართველ ახალგაზრდებს სექსუალურ ძალადობად კონკრეტული შემთხვევების განხილვისას?
2. რა მიზეზით მიაჩნიათ ან რა მიზეზით არ მიაჩნიათ კონკრეტული შემთხვევები სექსუალურ ძალადობად?
3. ვის და რა მიზეზით აკისრებენ პასუხისმგებლობას სექსუალური ძალადობის სხვადასხვა „სიმძიმის“ კონკრეტული შემთხვევების განხილვის დროს?

## ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული კვლევების და თეორიების განხილვას, რომელიც ეხება სექსუალური ძალადობისა და პასუხისმგებლობის ატრიბუციის საკითხს.

მეორე თავში განხილულია ნაშრომის მეთოდოლოგიის საკითხი. კვლევა არის თვისებრივი და შედგება ორი ეტაპისაგან - სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლა და ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულების კვლევა.

მესამე თავში აღწერილია კვლევის შედეგები, რომლებიც ახალგაზრდებთან ინტერვიუს დროს გამოვლინდა და მონაცემთა ანალიზის შედეგად მიიღო თემებისა და ზოგადი ტენდენციების სახე.

მეოთხე ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგების განხილვა, სხვა კვლევების შედეგებთან შეჯერება და დისკუსია სექსუალური ძალადობის და პასუხისმგებლობის ატრიბუციის საკითხების ირგვლივ.

მეხუთე ნაწილში აღწერილია კვლევის შედეგების განხილვალზე დაყრდნობით ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები სამომავლო კვლევებისთვის.

## თავი 1 - ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1 სექსუალური ძალადობის განსაზღვრება

სამეცნიერო ლიტერატურაში სექსუალურ ძალადობას განსაზღვრავენ როგორც ნებისმიერ სექსუალური აქტს ან სექსუალური აქტის განხორციელების მცდელობას, არასასურველი სექსუალური ხასიათის კომენტარებს, შეხებას, ვაჭრობას ადამიანის სექსუალობით მისი სურვილისა და ნების საწინააღმდეგოდ, იძულების გამოყენებით, რომელსაც ანხორციელებს მსხვერპლთან რაიმე სახით დაკავშირებული ადამიანი, ეს შესაძლოა მოხდეს ნებისმიერ ადგილას, მათ შორის შინ ან სამსახურში (Krug et al. 2002, 147). როგორც ვხედავთ ეს განსაზღვრება საკმაოდ ვრცელია და სექსუალური ძალადობის სხვადასხვა სიმძიმის სპექტრს მოიცავს.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სექსუალური ძალადობის ორი სხვა ფორმა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღწერილი და განხილული: სექსუალური იძულება და სექსუალური შევიწროვება. სექსუალურ შევიწროვებას განსაზღვრავენ როგორც არასასურველი ან მიუღებელი სექსუალური შინაარსის ზეწოლას, სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნას, ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქმედებით, რომელიც სექსუალურ ხასიათს ატარებს და გავლენას ახდენს სამუშაო შესრულებაზე ან ადამიანის ღირსებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა იქმნება მტრული, დამამცირებელი, შეურაცმყოფელი და შიშისმომგვრელი გარემო (Hejase 2015, 107). სექსუალური იძულება წარმოადგენს ისეთი ტაქტიკის ან სტრატეგიის გამოყენებას, რომელიც სხვა ადამიანს იძულებულს ხდის ჩაერთოს სექსუალურ ურთიერთობაში მისი თავისუფალი ნების წინააღმდეგ ან ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე ან ნათლად ნათქვამი უარის მიუხედავად (Abbey et al. 2014; Farris et al. 2008).

ზემოთ წარმოდგენილი სექსუალური ძალადობის, სექსუალური იძულებისა და სექსუალური შევიწროვების განსაზღვრებებიდან ნათლად ჩანს, რომ ისინი სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმებს აღწერენ და სექსუალური ძალადობის განსაზღვრება ფარავს დანარჩენ ორ ფორმასაც.

## 1.2 სექსუალური ძალადობის შედეგები

სამეცნიერო ლიტერატურაში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ სექსუალურ ძალადობას მძიმე შედეგები მოაქვს მსხვერპლისთვის. ასეთ შედეგებს წარმოადგენს ნარკოტიკების მოხმარება, დეპრესია, კვებითი აშლილობები, სუიციდის მცდელობა (Campbell, Dworkin, and Cabral 2009; Jordan 2014; Messman -Moore, Long, and Siegfried 2000). ერთ-ერთი კვლევის თანახმად სექსუალური ძალადობის გადატანა ამცირებს სტუდენტების შესაძლებლობას მიაღწიონ წარმატებას, როგორც უნივერსიტეტში სწავლისას, ასევე მის შემდგომ (Jordan 2014). ასევე, სხვა კვლევის თანახმად სექსუალურ ძალადობას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანის კოგნიტურ უნარებზე (Hall et al. 2014).

ოკამოტოს და ოტაკას კვლევის, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან ჩატარდა იაპონიაში, თემატური ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ტიპის ძალადობამ მათ ფსიქოლოგიური ზიანი მიაყენა. კერძოდ, შელახა მსხვერპლების ღირსება და შეზღუდა მათი დამოუკიდებლობა, უარყოფითი გავლენა იქონია და შელახა ინტიმურ პარტნიორთან მათი ურთიერთობა და ასევე სექსუალური ურთიერთობის უნარი (Okamoto and Otake 2019). იგივე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ როდესაც მსხვერპლები ვერ აღიქვამდნენ სექსუალურ ძალადობას ან სხვა წარმოდგენა ჰქონდათ სექსუალური ძალადობის შესახებ, ისინი ვერ იაზრებდნენ იმ ზიანს, რაც მათ მიადგათ. მიუხედავად ამისა მათზე ზიანის გავლენა თვალნათლივ ჩანდა. მსხვერპლები გამოჯანსაღებას იწყებდნენ მას შემდეგ, რაც სექსუალური ძალადობის ზიანის გააზრებას მიაღწევდნენ (Okamoto and Otake 2019).

## 1.3 სექსუალური ძალადობა ერთი და იგივე სქესის/გენდერის ადამიანებში

ხშირ შემთხვევაში სექსუალური ძალადობა საზოგადოების მიერ დანახულია, როგორც აგრესია, რომელსაც კაცები სჩადიან ქალების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ზრდასრულ ადამიანებში სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს მეტწილად კაცები არიან მოძალადეები და ქალები მსხვერპლები, არსებობს სანდო მტკიცებულებები იმისა, რომ ორივე სქესის წარმომადგენლები შესაძლოა გახდნენ ამ ფორმის ძალადობის როგორც მსხვერპლი, ასევე მოძალადე. ერთ-ერთი კვლევის

შედეგად როგორც აღმოჩნდა, აშშ-ში კაცების 1%-დან 4%-მდე განცდილი აქვს სექსუალური ძალადობა ზრდასრული ცხოვრების განმავლობაში (Peterson, Voller, Polusny, and Murdoch 2011) და 1%-დან 11%-მდე მთელი ცხოვრების მანძილზე (Black et al. 2011).

სექსუალური ძალადობა ყოველთვის არ შემოიფარგლება ჰეტეროსექსუალ კაცებსა და ქალებს შორის შემთხვევებით, რადგან როგორც ზოგიერთი კვლევის შედეგად ირკვევა არაჰეტეროსექსუალ ზრდასრულებში უფრო მეტი შემთხვევები ხდება, ვიდრე ჰეტეროსექსუალებთან (Rothman, Exner, and Baughman 2011; Walters, Chen, and Breiding 2013). ასევე, როგორც აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მოხსენებაშია ნაჩვენები 13.1% ლესბოსელი და 46% ბისექსუალი ქალები აცხადებენ, რომ გაუპატიურების მსხვერპლი გახდნენ. ამის გარდა, 46.4% ლესბოსელი, 74.9% ბისექსუალი ქალები, 40.2% გეი მამაკაცები და 47.4% ბისექსუალი კაცები განიცდიან სხვა ფორმის სექსუალურ ძალადობას (Walters, Chen, and Breiding 2013). სექსუალური ძალადობის მაღალი მაჩვენებელია ტრანსგერდერ პოპულაციაშიც, რომელიც დღემდე არაა კარგად შესწავლილი (Stotzer 2009).

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის გამართული თეორია უნდა ხსნიდეს რა მიზეზითაა გავრცელებული ამ ფორმის ძალადობა, როგორც ჰეტეროსექსუალ ადამიანებს შორის, ასევე ერთი და იგივე სქესის წყვილებშიც (Blosnich and Bossarte 2009). მან ასევე უნდა ახსნას რა მიზეზითაა უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალებს შორის სექსუალური ძალადობის დროს, ვიდრე კაცებს შორის, თუნდაც ციხის პირობებში (Beck and Johnson 2012; Wolff, et al. 2006).

საინტერესო სტატისტიკური მაჩვენებლები გამოვლინდა აშშ-ში უნივერსიტეტების კამპუსებში. ამერიკის უნივერსიტეტების ასოციაციის 2015 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ სტუდენტი მამაკაცების 5% განიცდის სექსუალურ ძალადობას (Cantor et al. 2015). ასევე უნივერსიტეტების კამპუსებში სექსუალური ძალადობის საკითხზე 2007 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ყოველი 16 სტუდენტი მამაკაციდან 1 განიცდის სექსუალურ ძალადობას, რაც ჯამში მათ 6.1% შეადგენს (Krebs, et al. 2007). იგივე გამოვლინდა 2016 წლის უნივერსიტეტის კამპუსის

კლიმატის კვლევის შედეგად. ბაკალავრიატის სტუდენტი მამაკაცების 7%-ს განცდილი ქონდათ სექსუალური ძალადობა. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლ მამაკაცებს იმის გარდა, რომ უფრო მეტი წინააღმდეგობა ხვდებათ, როდესაც მომხდარის შესახებ აცხადებენ, მათ ასევე ნაკლებად მიუწვდებათ ხელი სხვადასხვა სერვისებზე (Krebs, et al. 2016).

## 1.4 სექსუალური ძალადობის თეორიები

### 1.4.1 რუტინული აქტივობის თეორია

რუტინული აქტივობის თეორია შეიქმნა იმ მიზნით, რომ მოხერხდეს კრიმინალური აქტების წინასწარ განსაზღვრა. ამ თეორიის მიხედვით კრიმინალური აქტის შესაძლებლობა მოითხოვს სამ აუცილებელ ელემენტს, რომელიც დროსა და სივრცეში უნდა ემთხვეოდეს: 1) შესაბამისი მოტივის მქონე მოძალადე, 2) სასურველი სამიზნე ან მსხვერპლი (მოწყვლადი ან მოძალადისათვის სასურველი), 3) ქმედუნარიანი მეურვის ან დამცველის არ არსებობა (Felson and Cohen 1980). რუტინული აქტივობის თეორიის მიხედვით კრიმინალური ვიქტიმიზაცია არ არის თანაბრად გავრცელებული პოპულაციაზე. ეს თეორია არაა გათვლილი კონკრეტულად სექსუალურ ძალადობაზე, მაგრამ მისი საშუალებით შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს ნებისმიერი ფორმის ძალადობის რისკი და მის მიმართ მოწყვლადობა. რუტინული აქტიობის თეორიის უფრო ვრცელი ვარიანტი მოიცავს დამატებით ცვლადს კრიმინალის ზოგადი თეორიიდან (Gottfredson and Hirschi 2005), რომელიც ამტკიცებს, რომ თვითკონტროლის დაბალი დონე ხელს უწყობს და ამაღლებს რისკს, როგორც კრიმინალური აქტების, ასევე ძალადობისადმი მოწყვლადობის (Schreck 1999).

კვლევების შედეგად გამოვლინდა კავშირი რუტინული აქტივობის თეორიასა და სექსუალურ ვიქტიმიზაციას შორის კოლეჯის სტუდენტებში, როგორც ქალებში (Franklin, et al., 2012; Mustaine and Tewksbury 2002), ასევე კაცებშიც (Tewksbury and Mustaine 2001).

ზოგიერთი კვლევა მხარს უჭერს რუტინული აქტიობის თეორიას, როგორც კრიმინალური აქტების წინასწარმეტყველების სახელმძღვანელოს. თუმცა მას ძირითადად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ მის მიერ შემოთავაზებული ცვლადების

განსაზღვრებები და სპეციფიური მიგნებები არაა კონსისტენტური ხასიათის, თუ ზოგიერთ კვლევების გავითვალისწინებთ (Spano and Freilich 2009). რაც შეეხება სექსუალური ძალადობის შემთხვევებს, ერთ-ერთი მკვლევარი - კასი აღნიშნავს, რომ ხანდახან მსხვერპლის ქმედუნარიანი მეურვე და მოძალადე შესაძლოა ერთი და იგივე ადამიანი იყოს, შესაბამისად რუტინული აქტივობის თეორია უფრო შეეფერება უცნობის მიერ ჩადენილ ძალადობის შემთხვევებს, ვიდრე მსხვერპლისთვის ნაცნობ ადამიანებს (Cass 2007). ეს თეორია შესაძლოა საფუძვლად დაედოს მსხვერპლის მიმართ ბრალდებებს, რომ მათ შეეძლოთ შეეცვალათ ცხოვრების სტილი და რუტინული აქტიობები, იმ მიზნით, რომ შეემცირებინათ ვიქტიმიზაციის რისკი (Cass 2007).

### 1.4.2 ფემინისტური თეორია

ბრაუნმილერის ფემინისტური თეორიის მიხედვით გაუპატიურება არის დაშინების ცნობიერი პროცესი, მისი საშუალებით კაცები ქალებს შიშის მდგომარეობაში ამყოფებენ, იმ მიზნით რომ შეინარჩუნონ პატრიარქალური status quo (Brownmiller 1975). ავტორი ეწინააღმდეგება მეოცე საუკუნეში არსებულ წამყვან მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც სექსუალური ძალადობა განპირობებულია კაცის მიერ უმართავი სექსუალური სურვილით (Donat and D'Emilio 1992). ბრაუნმილერის და სხვა ფემინისტების აზრით ქალების დაქვემდებარება გაუპატიურების და სხვა ფორმის ძალადობის საშუალებით ინარჩუნებს პატრიარქალურ კულტურულ სისტემას რომელშიც კაცებს შეუძლიათ ძალაუფლების კონტროლი სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში (Brownmiller 1975).

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სექსუალური ძალადობის ერთიანი თეორია, ზოგადი ფემინისტური პერსპექტივა უმრავლეს შემთხვევაში ეხმიანება სექსუალური ძალადობის საკითხს (Ellis 1989; Ward et al. 2006). მაგალითად, ელისმა ჩამოაყალიბა რამდენიმე დასკვნა: 1) გაუპატიურება პირველ რიგში ასოცირდება ძალაუფლებასთან და სექსუალური სურვილით არაა უპირატესად მოტივირებული; 2) გაუპატიურება უნდა ასოცირდებოდეს გენდერულ უთანასწორობასთან, სოციალურ სტატუსთან და ძალაუფლებასთან; 3) ქალთა მიმართ ძალადობის ექსპოზიცია (პორნოგრაფია,

პროსტიტუცია) ზრდის კაცების მიერ გაუპატიურების ჩადენის ტენდენციას; 4) სექსუალური ეგალიტარიზმი უნდა ასოცირდებოდეს გაუპატიურების შემთხვევების კლებასთან; 5) კაცები, რომლებიც სექსუალურად ძალადობენ, მეტად ემხრობიან გაუპატიურების მხარდამჭერ შეხედულებებს ვიდრე კაცები, რომლებიც არ ძალადობენ (Ellis 1989).

შეიძლება ითქვას, ზოგიერთი კვლევა ამტკიცებს ფემინისტურ კონცეფციას. მაგალითად, სოციალური და კულტურული ნორმები, რომლებიც მისაღებს ხდიან ქალთა მიმართ ძალადობას (როგორიცაა დომინაცია, კონტროლი, ტრადიციული გენდერული როლები), ხელს უწყობენ ინტერპერსონალური და ქალთა მიმართ ძალადობისადმი მიმღებლობას (Dobash and Dobash 1979; Herzog 2007; Hester and Donovan 2009). ამის მიზეზი ისაა, რომ სექსუალური ძალადობა და კულტურული ნორმები ერთმანეთთანაა კავშირში, ფემინისტური თეორია შესაძლებელს ხდის დავინახოთ ქალთა მიმართ ძალადობისა და საზოგადოებაში გამყარებულ რწმენა-შეხედულებებს შორის ემპირიული კავშირი (Johnson and Sigler 1997). მაკრო დონეზე დაკვირვებით აღმოჩენილია ფემინისტური თეორიის მხარდამჭერი მტკიცებულებები, მაგალითად, როგორიცაა გეოგრაფიულ არეალის მიხედვით პატერნები და გაუპატიურების შემთხვევები, ეკონომიკური და ძალაუფლების უთანასწორობა კაცსა და ქალს შორის (Gannon et al. 2008). მიუხედავად ამისა, ინდივიდის დონეზე ფემინისტური თეორიის მტკიცებულებები არაერთაზროვანია: ზოგჯერ ხერხდება კავშირის დადგენა პატრიარქალურ რწმენებსა და გაუპატიურების მითის მიმღებლობას შორის (Womersley and Maw 2009) და ზოგჯერ ვერ ხერხდება იმისი დამტკიცება, რომ სექსუალური ძალადობას წარმოშობს ძალაუფლების და კონტროლის სურვილი (Polaschek and Gannon 2004).

### 1.4.3 სოციალური დასწავლის თეორია

სოციალური დასწავლის თეორია სათავეს იღებს ბანდურას ნაშრომებიდან. მისი აზრით კოგნიტური, ქცევითი და გარემოში არსებული დეტერმინანტები ისე უერთიერთზემოქმედებენ ერთმანეთთან, რომ წარმოშობენ ქცევათა რიგს, როგორც პროსოციალურს, ასევე დევიაციურს (Bandura 1979). ეს ხდება დაკვირვებების და

იმიტაციის მექანიზმის საშუალებით. სოციალური დასწავლის თეორია გამოიყენება დევიანტური და კრიმინალური ქცევის შესწავლის დროს, მათ შორის სექსუალური ძალადობისაც (Cullen, Wright, and Blevins 2006). ამ ლინზით თუ შევხედავთ საკითხს, ინდივიდებს რომლებიც ბავშვობაში სოციალიზაციის პროცესში გახდნენ სექსუალური ძალადობის მოწმენი, რომელიც ჩაიდინა მათთვის როლური მოდელის მქონე ან მათზე მზრუნველმა ადამიანმა, უყალიბდებათ სექსუალური ძალადობის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და მოწყვლადნი ხდებიან მიბაძონ მოძალადეს - თავადაც ჩაიდინონ სექსუალური ძალადობა (Akers and Sellers 2009). ამ მიდგომას მსგავსია ძალადობის თაობათაშორისი ტრანსმისიის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც თუ ოჯახში გახდი მოწმე ან განიცადე ინტერპერსონალური ძალადობა, ეს ამაღლებს ძალადობრივი ქცევის რისკს ან განამტკიცებს მას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ „ძალადობა წარმოშობს ძალადობას“ (Curtis 1963; Widom 1989).

სხვა თეორიებიც ეფუძვნებიან სოციალური დასწავლის თეორიას, მაგალითად რიგსის, მერფის და ო’ლირის საფუძველი-სიტუაციის მოდელი (Riggs, Murphy, and O’Leary, 1989), ასევე სოციალური კოგნიციის თეორიებს იყენებენ ინტერპერსონალური ძალადობის ასახსნელად (Gannon et al. 2008; Shorey, Cornelius, and Bell 2008). საფუძველი-სიტუაციის მოდელი ეფუძვნება ძალადობის თაობათაშორისი ტრანსმისიის ჰიპოთეზასა და კონფლიქტის თეორიას. მის მიხედვით საფუძველში არსებული ფაქტორები (მაგალითად, მშობლებს შორის ინტერპერსონალური ძალადობა, ბავშვობაში ძალადობის გამოცდილება) და სიტუაციური ფაქტორები (ალკოჰოლის მოხმარება, სირთულეები ურთოერთობებში) გავლენას ახდენს ინტიმურ პარტნიორის მიმართ ძალადობის მიმღებლობასა და აგრესიული ტაქტიკის გამოყენებაზე (Riggs, Murphy, and O’Leary 1989). სხვა სოციალური კოგნიციების თეორიები (Gannon et al. 2008) ბავშვობაში ჩამოყალიბებულ დისფუნქციურ სქემებში ხედავენ დევიანტური ქცევის საფუძველს და ხელშეწყობას. მანის და ბიჩის (Mann and Beech 2003) სექსუალური ძალადობის სქემის მოდელი გულისხმობს განვითარების მანძილზე მიღებულ გამოცდილებას, როგორც ფაქტორების მოდელს, რომელიც დისფუნქციური სქემების საფუძველი ხდება და რაც გავლენას ახდენს სექსუალური ძალადობის ჩადენის მიდრეკილებაზე.

ასევე, ეიკერსმა და სელერსმა სოციალური დასწავლის თეორიაში შემოგვთავაზეს სოციალური დასწავლის ცვლადები - დამოკიდებულებები, მოდელის შექმნა და განმტკიცება (Akers and Sellers 2009). აღმოჩნდა, რომ ეს ცვლადები მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული გაუპატიურების ალბათობასთან, სექსუალურ აგრესიასთან და გაუპატიურების ტენდენციასთან კოლეჯის პოპულაციაში (Boeringer, Shehan, and Akers 1991) .

მიუხედავად ამისა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სოციალური დასწავლის თეორიების მხარდამჭერი მეცნიერული მტკიცებულებები დღემდე არაერთმნიშვნელოვანია. მეტი კვლევაა საჭირო, რადგან აქამდე ჩატარებული კვლევები უფრო ფოკუსირებულები არიან პაემანის და ქორწინების დროს მომხდარ სექსუალურ ძალადობაზე, ვიდრე სხვა შემთხვევებზე (Turchik et al. 2015).

### 1.4.4 ტიპოლოგიური მიდგომები

ტიპოლოგიური მიდგომები ცდილობენ აღწერონ მოძალადეები სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით (მაგალითად, დემოგრაფიული მახასიათებლები, ინდივიდუალური განსხვავებები, დანაშაულის ჩადენის მოტივაცია, დანაშაულის ტიპები), იმ მიზნით, რომ ეს მომავალში ხელს შეუწყობს სექსუალური ძალადობის შემთხვევის წინასწარ განსაზღვრას და მათი რაოდენობის შემცირებას (Robertiello and Terry 2007). ეს მიდგომა იკვლევს მოძალადეების მახასიათებლებს, რომლებმაც უკვე ჩაიდინეს დანაშაული და სწორედ ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით ხდება მოძალადეების მოტივაციის შესახებ ჰიპოთეზების შემუშავება. კარგად ჩამოყალიბებულ ტიპოლოგიას შეუძლია გაარკვიოს ძალადობის პატერნები, რომელთა აღმოფხვრაზეც აიგება პრევენციული და სარეაბილიტაციო პროგრამები. ასეთი ტიპოლოგიური მიდგომები ატარებენ აღწერით ხასიათს (Woessner 2009).

სექსუალური მოძალადეების კლასიფიკაციის ზოგიერთი მცდელობა დაიწყო მოტივაციაზე ფოკუსირებით. გროთი იყო პირველი, ვინც ჩამოაყალიბა ტიპოლოგიური მიდგომა, რომელიც შეისწავლის აგრესიასა და მოტივაციას ისეთი ანტისოციალური ქცევის დროს, როგორიცაა სექსუალური ძალადობა (Groth 1979). მისი ეს მიდგომა სხვა მკვლევარებმა განავრცეს, დაამატეს განსხვავებული სუბ ტიპები,

მაგალითად, ნაითმა და პრენტსკიმ შექმნეს გაუპატიურების ჩამდენი მოძალადის ტიპოლოგიის მესამე ვერსია (Knight and Prentsky 1990).

ზევით წარმოდგენილი ტიპოლოგიური მიდგომები ძირითადად ეხებოდა მამაკაცი მოძალადეების კლასიფიკაციას მათ მოტივაციაზე დაყრდნობით (Barnard, et al. 1989; Brown and Forth 1997; McCabe and Wauchope 2005). თუმცა, მოგვიანებით ქალი მოძალადეების ტიპოლოგიაც შემუშავდა (Mathews, Matthews, and Speltz 1989), რომელიც ასევე მოიცავდა კაცზე მოძალადე ქალებს (Syed and Williams 1996) და ლესბოსელ მოძალადეებსაც (Vandiver and Kercher 2004). განმეორებით ჩატარებული კვლევები ამყარებდა ტაქსონომიური კლასიფიკაციების ვალიდურობას (Knight 1999). თუმცა, როგორც გენონი აღნიშნავს, ტიპოლოგიური მიდგომები მიუხედავად იმისა, რომ კლინიკური მკურნალობის სერვისებში კარგად გამოიყენება, შეზღუდულები არიან გენერალიზაციის კუთხით (Gannon 2008). ტიპოლოგიები გამოიყენება მოძალადეების ჰეტეროგენული ჯგუფის აღსაწერად და ერთი ჯგუფის ტიპოლოგია მეორე ჯგუფს ვერ მოერგება (Gannon 2008).

### 1.5 სექსუალური ძალადობა და პასუხისმგებლობის ატრიბუცია

ათწლეულების მანძილზე სექსუალური ძალადობის საკითხების სამეცნიერო კვლევისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მომხდარზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი მიიჩნეოდა. მაგალითად, არსებობს სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევები, რომლებიც პაემანზე მომხდარი გაუპატიურების შემთხვევებს შეისწავლიდა. მათ შედეგად გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდნენ მსხვერპლს როცა მოძალადე ნაცნობი ადამიანი იყო, ვიდრე როცა მოძალადე სრულიად უცნობი იყო (Bell, Kuriloff, and Lottes 1994; Bridges and McGrail, 1989; Frese, Moya, and Megías 2004; Grubb and Harrower 2009).

#### 1.5.1 ვაინერის ატრიბუციის თეორია

ვაინერის ატრიბუციის თეორიის მიხედვით თუ ადამიანი მიიჩნევს, რომ მომხდარ მოვლენაზე მას გააჩნდა რაიმე სახის ზემოქმედების ან კონტროლის საშუალება, მაშინ გარკვეულ წილად მას ეკისრება პასუხისმგებლობა და პირიქით თუ ადამიანს მიაჩნია,

რომ მომხდარი მოვლენის შედეგზე სხვას ჰქონდა კონტროლის და ზემოქმედების საშუალება, ის სხვა ადამიანს დააკისრებს პასუხისმგებლობას (Weiner 2006).

ვაინერი მიიჩნევდა, რომ პასუხისმგებლობის შესახებ განსჯის წანამძღვრები უნდა მოიცავდეს შემდეგს: პირველი - იყოს ადამიანის მიერ განპირობებული, მეორე - აღიქმებოდეს, როგორც კონტროლის ქვეშ მყოფი და მესამე - არ უნდა არსებობდეს შემამსუბუქებელი გარემოებები (Weiner 2006). ემოციები, მაგალითად, როგორიცაა ბრაზი ან სიმპათია, განპირობებულია პასუხისმგებლობის შესახებ აზრებით, რომლებიც ასევე კონკრეტული ქცევის სტიმულსაც წარმოადგენენ. პირადი პასუხისმგებლობის შესახებ განსჯა განაპირობებს ბრაზს, მაგრამ სიმპათია ან თანაგრძნობა განპირობებულია განსჯით, იმის შესახებ რომ გარე მიზეზმა გამოიწვია მომხდარი მოვლენა, ქცევა ან შედეგი. ემოციური რეაქციები ასოცირდება განსხვავებულ საპასუხო ქცევებთან: ბრაზი ასოცირდება, როგორც სასჯელთან, ასევე რესურსების ან დახმარების შეზღუდვასთან, სიმპათია ასოცირდება დახმარების გაწევასთან და რესურსებზე ხელმისაწვდომობასთან (Weiner 2006).

### 1.5.2 სექსუალური ძალადობა და სამართლიანი სამყაროს რწმენის ეფექტი

სამეცნიერო კვლევის შედეგები ადასტურებენ, რომ სექსუალური ძალადობის შემდეგ მსხვერპლები განიცდიან როგორც მყისიერ, ასევე ხანგრძლივად მოქმედ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დისტრესს (Kaltman et al. 2005; Kress, Trippany, and Nolan 2003; Littleton et al. 2006; Sturza and Campbell 2005). ვიქტიმიზაცია ხშირ შემთხვევაში გრძელდება მომხდარი დანაშაულის შემდეგაც, სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს ხშირად მომხდარში თავად ადანაშაულებენ (Campbell and Raja 1999; Ullman et al. 2007).

სამართლიანი სამყაროს რწმენის კონცეპცია ეფუძვნება დებულებას, რომლის მიხედვითაც ადამიანებს სწამთ, რომ ცხოვრობენ სამართლიან სამყაროში სადაც ყველა შედეგი დამსახურებულია (Lerner 1980; Lerner and Matthews 1967). ამ თეორიის თანახმად სხვა ადამიანების მიერ სექსუალური ძალადობის მსხვერპლის დადანაშაულებას და ნეგატიურ აღქმას განაპირობებს, ის რომ ისინი ცდილობენ გაამართლონ გაუმართლებელი ქმედება და ამითი დაიზღვიონ თავი - „წესიერი

ადამიანი არ გახდება სექსუალური ძალადობის მსხვერპლი“ (Dalbert 2009). თანამედროვე კვლევებმა გვიჩვენეს, რომ სამართლიანი სამყაროს რწმენა გაუპატიურებაზე ბრალეულობის ატრიბუციების მნიშვნელოვანი პრედიქტორია (Strömwall, Alfredsson, and Landström 2012; Strömwall, Alfredsson, and Landström 2013). ადრეულ ეტაპზე ვიქტიმიზაციის საკითხზე ჩატარებული კვლევები ვარაუდობდნენ, რომ სამართლიანი სამყაროს რწმენის დონე იქნებოდა პრედიქტორი, იმ შემთხვევაში როცა პატივსაცემ მსხვერპლს ნაკლებად დაადანაშაულებდნენ მომხდარ გაუპატიურებაში, ვიდრე სხვებს. ჯონსმა და არონსონმა კვლევის შედეგად გამოავლინეს, რომ „პატივისაცემი მსხვერპლები“ (ქორწინებაში მყოფი ან ქალიშვილი) უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ ვიქტიმიზაციას ვიდრე ნაკლებად პატივსაცემი მსხვერპლები (განქორწინებულები). მკვლევარებს მიაჩნდათ, რომ ამ ტენდენციის გამოვლენა მიანიშნებდა იმას, რომ კვლევის მონაწილეები ასე ცდილობდნენ დაეცვათ თავი შემდეგი აზრისაგან - არსებობდა შესაძლებლობა თვითონაც იგივენაირად გამხდარიყვნენ მსხვერპლები, როგორც „პატივსაცემი მსხვერპლები“ გახდნენ (Jones and Aronson 1973).

### 1.5.3 შეივერის თეორია - „თავდაცვითი ატრიბუციის ჰიპოთეზა“ და სხვა კვლევები

შეივერის თეორიის - „თავდაცვითი ატრიბუციის ჰიპოთეზის“ მიხედვით, კვლევის მონაწილეები, რომლებიც თავს ამსგავსებდნენ გაუპატიურების მსხვერპლებს, მეტად აკისრებდნენ ბრალს მოძალადეებს (Shaver 1970). იგივე ტენდენციას ადასტურებენ სხვა კვლევებიც - კვლევის მონაწილე კოლეჯის სტუდენტები ნაკლებ დანაშაულს აკისრებდნენ გაუპატიურების მსხვერპლ სტუდენტებს, ვიდრე დაოჯახებულ დიასახლისებს (Fulero and Delara 1976).

რამდენიმე კვლევა ადასტურებს, რომ მამაკაცები უფრო მეტად ადანაშაულებენ მსხვერპლს ვიდრე ქალები (Cowan 2000; Grubb and Harrower 2009; Krahé, Temkin, and Bieneck 2006). ზოგიერთი კვლევის მიხედვით ამის საპირისპირო ტენდენცია ვლინდება - მსხვერპლს ქალები უფრო ადანაშაულებენ (Grubb and Harrower 2008). ასევე, არსებობს კვლევები რომელთა მიხედვითაც კვლევის მონაწილე ქალებსა და მამაკაცებს შორის მსხვერპლის დადანაშაულების ატრიბუციის ხარისხში არ აღმოჩნდა

განსხვავება (Frese, Moya, and Megías 2004; Monson, Langhinrichsen-Rohling, and Binderup 2000). მაგალითად, სტრომვოლის და მისი კოლეგების კვლევაში არ ყოფილა მნიშვნელოვანი განსხვავება პასუხებში კვლევის მონაწილეთა სქესის მიხედვით, თუმცა ქალი მონაწილეების აზრით მსხვერპლმა ქალებმა ვიქტიმიზაციის მაღალი რისკის ქვეშ თვითონ ჩაიგდეს საკუთარი თავი (Strömwall, Alfredsson, and Landström 2012; Strömwall, Alfredsson, and Landström 2013).

ასევე, როგორც კვლევებით დადასტურდა, მსხვერპლის დადანაშაულების ატრიბუციაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ჩაცმა, მოძალადის მიმართ ფამილარული დამოკიდებულება, სექსუალური გამოცდილების ისტორია (Whatley, 1996). მაგალითად, „მსუბუქი“ ხასიათის გაუპატიურების მსხვერპლებს უფრო მეტად აკისრებდნენ პასუხისმგებლობას, ვიდრე „პატივსაცემ“ მსხვერპლებს (Grubb and Harrower 2008; Pollard 1992; Whatley 1996).

საგულისხმოა, რომ მსხვერპლის დადანაშაულების ატრიბუციის კვლევები ფოკუსირებულია გაუპატიურებაზე და ნაკლებად სხვა სიმძიმის სექსუალურ ძალადობაზე (Hammock and Richardson, 1993; Sheridan et al. 2003). სექსუალური შევიწროვება არაერთმნიშვნელოვანი დანაშაულია, რომელიც მოიცავს, როგორც სექსუალური ხასიათის კომენტარებს, ასევე არასასურველ სექსუალურ აქტზე დაყოლიების მიზნით მუქარასაც (Fitzgerald, Swan, and Magley 1997). გაუპატიურების მსგავსად, მასაც შესაძლოა მოყვეს როგორც მყისიერი, ასევე ხანგრძლივი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესება პოსტრავმული სტესული აშლილობის ჩათვლით (Willness, Steel, and Lee 2007). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულების მანძილზე აღმოცენდა და გავრცელდა ონლაინ სექსუალური შევიწროვება. ის დღითი-დღე უფრო გავრცელებული ფორმა ხდება. კვლევებმა გვიჩვენეს, რომ ქალების 30-50%-ს ევროპაში და 40-75%-ს აშშ-ში აქვს განცდილი სექსუალური შევიწროვების რომელიმე ფორმა მხოლოდ სამუშაო ადგილას (O’Connell, Calvert, and Watson 2007; Willness, Steel, and Lee 2007).

ჰეტეროსექსუალ ადამიანებთან ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ კვლევის მონაწილე მამაკაცები უფრო ადანაშაულებდნენ სექსუალური

ძალადობის მსხვერპლ ქალებს და ნაკლებად მოძალადეებს, ვიდრე ქალი მონაწილეები (Hockett, et al. 2015). ასევე, აღსანიშნავია, რომ სიტუაციური ფაქტორები გავლენას ახდენენ მსხვერპლის დადანაშაულებაზე, რაც მოიცავს მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობას და სექსუალური ძალადობის ტიპს. იმ მსხვერპლებს, რომლებზეც ნაცნობმა იძალადა, უფრო მეტად ადანაშაულებენ, ვიდრე მათ ვინც ძალადობის მსხვერპლი გახდა უცნობის მხრიდან (Van Der Bruggen and Grubb 2014). ასევე, თუ მსხვერპლს ალკოჰოლი ჰქონდა მანამდე მიღებული მათ უფრო ადანაშაულებდნენ, ვიდრე იმ მსხვერპლებს ვინც ფხიზელი იყო (Grubb and Turner 2012). აღსანიშნავია, რომ მსხვერპლს უფრო ნაკლებად ადანაშაულებენ ისეთ შემთხვევაში, თუ სექსუალური ძალადობის დროს გამოყენებულია ფიზიკური ძალადობა და მეტად ადანაშაულებენ, თუ ალკოჰოლური ინტოქსიკაციის ქვეშ იყო მსხვერპლი. ყველაზე მეტად მსხვერპლი დაადანაშაულეს ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც სიტყვიერი იძულებით მოხდა მასზე სექსუალური ძალადობა (Russell, Oswald, and Kraus 2011).

### 1.6 სექსუალური ძალადობა და კულტურა

თანამედროვე მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ძალადობის მიზეზების, მნიშვნელობის და ინტერპრეტაციის გაგება შეუძლებელია მისი კულტურული ფაქტორებისა და კონტექსტის განხილვის გარეშე. ძალადობა განუყოფლადაა დაკავშირებული კულტურაში მიმდინარე ფართო პროცესებთან, რომლებიც აყალიბებენ ძალადობის ინტერპრეტაციას და მის მიმართ ატრიბუციას (Peterson del Mar 2002). ასევე, არსებობს კულტურული განსხვავებები იმასთან ადაკავშირებით თუ რა შეიძლება მივიჩნიოთ სექსუალურ ძალადობად და რა არა (Heise, Moore, and Toubia 1996). ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით დასტურდება, რომ კულტურული ნორმები მთავარ როლს თამაშობს განსხვავებულ პირობებში ძალადობის და აგრესიული ქცევის დამკვიდრებაში (Deater-Deckard and Lansford 2017). კულტურული ნორმები გავლენას ახდენენ სოციალურ-კოგნიტურ ატრიბუციებზე. ეს ფაქტორი თავის მხრივ ზრდის ან ამცირებს აგრესიული ქცევის ან ძალადობის ალბათობას. მკვლევარების აზრით პროცესი დამოკიდებულია ამავე ნორმების შინაარსზე და სიმძლავრეზე - რამდენად ღრმადაა ისინი ინტერნალიზებული ინდივიდების დონეზე. კულტურული ნორმების

შესახებ ინფორმაცია ადამიანს გადაეცემა დასწავლის პროცესში, ოჯახში და თემში სოციალური ინტერაქციის დროს (Deater-Deckard and Lansford 2017).

სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული განსაზღვრების მიხედვით კულტურა წარმოადგენს დასწავლილ, ურთიერთგაზიარებულ ღირებულებებს, რწმენა-შეხედულებებს, ნორმებსა და ცხოვრების სტილს, რითაც ადამიანები ხელმძღვანელობენ ფიქრის, გადაწყვეტილების მიღების და მოქმედების დროს და ეს გადაეცემა თაობიდან თაობას (Leininger and McFarland 2006). კულტურას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს და იმოქმედოს სხვადასხვა ფაქტორებზე: (1) რა მიიჩნიათ ძალადობად; (2) რას მიიჩნევენ ძალადობის გამომწვევ მიზეზებად, (3) საიდუმლოდ შეინახავს თუ არა ინდივიდი და ოჯახი მომხდარ ძალადობის ფაქტებს, (4) მიიჩნევენ თუ არა, რომ შესაძლებელია ძალადობის შეჩერება პირადი და საზოგადოების ძალისხმევის შედეგად, (5) გააჩნიათ თუ არა ძალადობის, როგორც აუცილებლობის მიღების ტენდენცია, (6) ოჯახის და საზოგადოების მხრიდან სოციალური მხარდაჭერის როგორი ტიპებს ფლობენ, (7) ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ კულტურულ მიდგომას იყენებენ ძალადობის მიმართ, (8) მკურნალობის და ინტერვენციის რომელ მეთოდს მიიჩნევენ საუკეთესოდ (Brackley and Williams 2007).

### 1.7 სექსუალური ძალადობა ახალგაზრდებში

ათწლეულების მანძილზე სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ სექსუალური ძალადობის განსაკუთრებით ზევრი შემთხვევები ვლინდება უნივერსიტეტების კამპუსებში. მიუხედავად იმისა რომ სექსუალური ძალადობის შემთხვევები ყველა ასაკში და გარემოში შესაძლოა შეგვხვდეს, განსაკუთრებულ რისკ ფაქტორად სწორედ სტუდენტობის პერიოდი მიიჩნევა, რადგან ზოგადად გულისხმობს მეტ სოციალურ ინტერაქციას და სექსუალურ აქტივობას (Kirkpatrick and Kannin 1957; Horn, Nevill, and Griffith 2006; Cantor et al. 2015).

ამერიკის შეერთებულ შტატების უნივერსიტეტებში სტუდენტებს შორის სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმა დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად და პრობლემად მიიჩნევა. კვლევების თანახმად ყოველი მეოთხე სტუდენტი გოგონა სხვადასხვა ფორმის და სიმძიმის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა უნივერსიტეტში

სწავლის პერიოდში (Cantor et al. 2015). კვლევის ეს მონაცემები განსაკუთრებით საგანგაშოა თუ გავითვალისწინებთ სექსუალური ძალადობის შედეგებს, რომელთა შორისაა: ნარკოტიკების მოხმარება, დეპრესია, კვებითი აშლილობები, სუიციდის მცდელობა (Campbell, Dworkin, and Cabral 2009; Jordan 2014; Messman-Moore, Long, and Siegfried 2000). ასევე, არსებობს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სექსუალურ ძალადობას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მსხვერპლის კოგნიტურ უნარებზე (Hall et al. 2014) და ამცირებს ახალგაზრდის შესაძლებლობებს და მის უნარებს მიაღწიოს წარმატებას, როგორც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ასევე მისი დასრულების შემდეგაც (Jordan 2014).

1957 წელს სოციოლოგებმა კლიფორდ კირკპატრიკმა და ეუჟინ კანინმა გამოაქვეყნეს კვლევა - „მამაკაცების სექსუალური აგრესია უნივერსიტეტის კამპუსში" ჟურნალ - ამერიკულ სოციოლოგიურ მიმოხილვაში. იმ დროისთვის ჯერ კიდევ მიუღებელი იყო ის აზრი, რომ შესაძლოა ვინმეს მისთვის ნაცნობი ადამიანი გაეუპატიურებინა, ეს არც კი განიხილებოდა. ამ სტატიის მიხედვით გამოავლინდა, რომ სტუდენტურ კამპუსებში პაემნის დროს შესაძლებელი იყო ვინმეს ჰქონოდა მცდელობა ფიზიკური ძალის გამოყენებით მიეღწია სხვა ადამიანთან სექსუალური ურთიერთობისთვის. სტატიის ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ 291 სტუდენტმა ქალმა, რომლებიც ერთ კამპუსში ცხოვრობდნენ, განიცადეს ათასზე მეტი ძალადობრივი ეპიზოდი (Kirkpatrick and Kanin 1957).

1980-იანებში კლინიკურმა ფსიქოლოგმა მერი ფ. კოსმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი. ის ამჟამად აღიარებულია როგორც კამპუსებში სექსუალური ძალადობის საკითხის კვლევის პიონერი. 1987 წელს კოსმა უკვე კოლეგებთან ერთად გამოაქვეყნა ეროვნული კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა 32 უნივერსიტეტში და მასში 6000 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. მათ აღმოაჩინეს, რომ კვლევის მონაწილეთა შორის ყოველი მეოთხე ქალი 14 წლის ასაკიდან არის გაუპატიურების ან გაუპატიურების მცდელობის მსხვერპლი და მოძალადეთა დიდი უმრავლესობა სწორედ მათთვის ნაცნობი პიროვნებაა. აღსანიშნავია, რომ კოსის ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხს, როგორიცაა პაემანზე გაუპატიურება (Koss 1987).

2000 წლის უნივერსიტეტის სტუდენტი ქალების სექსუალური ვიქტიმიზაციის შესახებ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სექსუალური ძალადობის 10-დან 9 მსხვერპლი ქალი იცნობდა მოძალადეს, ის როგორც წესი მეგობარი ბიჭი, ჯგუფელი, ნაცნობი ან თანამშრომელი იყო (Fisher et al. 2000). მსგავსი შედეგი აჩვენა უნივერსიტეტის კამპუსში სექსუალური ძალადობის კვლევამაც, შემთხვევების 23%-ში მსხვერპლებზე ფიზიკურადაც იძალადეს და მსხვერპლების მხოლოდ 12% არ იცნობდა მანამდე მოძალადეს (Krebs, et al. 2007). ვაშინგტონის პოსტ კრეიზერ პოლის გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ კამპუსში სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მხოლოდ 28% არ იცნობდა მოძალადეს ძალადობის შემთხვევამდე (DiJulio 2015).

როგორც წესი სექსუალური მოძალადეებად ქალების 98% და მამაკაცების 93% მამაკაცს ასახელებს (Black et al. 2011). უნივერსიტეტების კამპუსებში მომხდარი შემთხვევების უმრავლესობას მამაკაცი სტუდენტების მცირე ნაწილის მიერ არის ჩადენილი. ამას ადასტურებს კლინიკური ფსიქოლოგის დავიდ ლიზაკის და პოლ მილერის კვლევა (Lisak and Miller 2002). ამ კვლევის შედეგების მიხედვით კამპუსში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევების 90% სერიული მოძალადეების მიერ არის ჩადენილი და თითო მოძალადეზე მინიმუმ 6 შემთხვევა ფიქსირდება (Lisak and Miller 2002).

სხვადასხვა კვლევის შედეგებმა სტატისტიკური მონაცემებით გამოავლინა, რომ ხუთიდან ერთი ქალს განცდილი აქვს სექსუალური ძალადობა უნივერსიტეტში სწავლის დროს. მაგალითად, კოლეჯში ქალთა სექსუალური ვიქტიმიზაციის ეროვნულმა კვლევამ გამოავლინა, რომ უნივერსიტეტში სწავლის დროს 20-დან 25%-მდე ქალებს განცდილი აქვთ გაუპატიურების ან მისი მცდელობის შემთხვევა (Fisher et. Al. 2000). ასევე, 2007 წელს კამპუსში სექსუალური ძალადობის გამოკითხვამაც მსგავსი შედეგი აჩვენა (Krebs, et al. 2007). ამ კვლევის მიხედვით კოლეჯში ქალთა 19% განცდილი აქვს სექსუალური ძალადობა ან მისი მცდელობა (Krebs, et al. 2007). 2015 წელს ამერიკის უნივერსიტეტების ასოციაციამ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტების კამპუსებში სექსუალურ ძალადობას. კვლევა ჩატარდა 27 უნივერსიტეტში და 150 ათასმა სტუდენტმა მიიღო მასში მონაწილეობა. კვლევაში მონაწილე ქალების 23%, რომლებიც ბაკალავრიატის სტუდენტები იყვნენ,

აღნიშნავდნენ, რომ მათ აიძულეს სექსუალური ურთიერთობა (Cantor et al. 2015). იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის კამპუსის კლიმატის კვლევამ გამოავლინა სექსუალური ძალადობის საშუალო პროცენტული მაჩვენებელი ქალებში, რომლებიც ახლა იწყებდნენ და რომლებიც ამთავრედნენ სწავლას ბაკალავრიატზე (Krebs, et al. 2016). პირველ შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 21% იყო, ხოლო მეორე შემთხვევაში 25% (საშუალოდ 4 ქალში 1 იყო მსხვერპლი). ასევე ეს კვლევა ნათლად აჩვენებს, თუ როგორ მერყეობს სექსუალური ძალადობის გავრცელების მაჩვენებელი სხვადასხვა უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლებს შორის, ის ხან მიუთითებს 8 ქალში 1 მსხვერპლზე და ხან 4 ქალში 1 მსხვერპლზე (Krebs, et al. 2016).

## 1.8 გაუპატიურების კულტურა

გაუპატიურების კულტურას ამკვიდრებს და განამტკიცებს ისეთი კომპლექსური ნარატივები, როგორიცაა გაუპატიურების შესახებ მითები, მსხვერპლის დადანაშაულება, ტოქსიკური მასკულინურობა და სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის საკითხის სოციალური იგნორი (Hatch 2017). ის ნორმები და ქცევები რომლებიც წაახალისებენ ტოქსიკურ მასკულინურობას, ასევე როგორც წესი წაახალისებენ მამაკაცებს, რომ იყვნენ უფრო უხეშები, აგრესიულები, ჰიპერსექსუალურები, ფიზიკურად და ვერბალურად მოძალადეები ქალების და სხვა მამაკაცების მიმართ (Hatch 2017). შეიძლება ითქვას, რომ ტოქსიკური მასკულინურობა მამაკაცებს მიდრეკილს ხდის გამოიყენონ საკუთარი ძალაუფლება და სექსუალურობა ქალების დამცირების და ობიექტად ქცევის მიზნით. სოციალური მოლოდინი, რომელიც მამაკაცურობის ასე გამოხატვას მოითხოვს, ზიანის მომტანია არამარტო მათთვის ვისკენაც არის მიმართული ძალადობა, ასევე მეორე მხარისთვისაც (Hatch 2017). ამ საკითხს კატზი ასე ხსნის - კაცები, რომლებსაც უწევთ იხილონ ტოქსიკურ მასკულინურობის მაგალითები, იზღუდებიან იმის გამო, რომ მათ არ წაახალისებენ ჯანსაღი ურთიერთობის ფორმის დროს, მაგალითად, როგორიცაა ინტიმურობა, გულწრფელობა და ემოციური მოწყვლადობა (Katz 2006). ბავშვები, მათ შორის ბიჭები, ხშირად ხედავენ შინ მამაკაცის მხრიდან ქალზე ძალადობას, რაც მათზე უარყოფითად აისახება. ასეთი გამოცდილება იწვევს ხანგრძლივ ზიანს ურთიერთობებში და

მომავალი თაობისთვის ქმნის ტოქსიკური მასკულინურობის ხელშემწყობ გარემოს (Katz 2006).

გაუპატიურების კულტურის და მისი ხელშემწყობი გარემოს შექმნის კიდევ ერთი კომპონენტია, ისეთი სოციალური ტენდენციები, რომლებიც მისაღებს ხდიან და საზოგადოებაში ამკვიდრებენ გაუპატიურების შესახებ მითებს. ბარტმა გაანალიზა გაუპატიურების შესახებ მითები და ისინი განსაზღვრა, როგორც სექსუალური თავდასხმის მონაწილე მხარეების - მსხვერპლის და მოძალადის შესახებ არასწორი და არაზუსტი წარმოდგენების ნაკრები (Burt 1980). როგორც წესი, გაუპატიურების შესახებ მითები გულისხმობს მსხვერპლის დადანაშაულების კატეგორიებს, რომლებიც მსხვერპლ ქალებს წარმოაჩენს, როგორც მატყუარას, მანიპულატორსა და სექსუალურ თავდასხმაში რაიმე სახით დამნაშავეს (Burt 1980). ჰამლინი გვთავაზობს გაუპატიურების შესახებ მითების იდენტიფიცირების სახელმძღვანელოს, რომელიც ასევე მოიცავს ამ ზიანის მომტანი რიტორიკის საპირისპირო სიმართლესაც (Hamlin 2005). ყველაზე გავრცელებულ გაუპატიურების შესახებ მითებს წარმოადგენენ შემდეგი დებულებები - გაუპატიურება იგივე სექსია, გაუპატიურება იშვიათად ხდება, ქალების უმრავლესობა იტყუება, რომ მათზე სექსუალურად იძალადეს, გაუპატიურება სპონტანურად და წინასწარ დაუგეგმავად ხდება. ჰამლინის აზრით გაუპატიურება არის ძალადობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც სექსი არის იარაღი და ასეთი გამოცდილება აქვს ადამიანების საკმაოდ დიდ რაოდენობას (Hamlin 2005). ის მიიჩნევს, რომ იმ ქალების უმრავლესობა რომლებიც სექსუალური ძალადობის შესახებ საუბრობენ, სიმართლეს ამბობენ. ავტორის აზრით გაუპატიურება სინამდვილეში მოძალადის არჩევანია და სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები უმეტესწილად იმეორებს იგივე დანაშაულს (Hamlin 2005).

როგორც აშშ-ში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ გვიჩვენა, სექსუალური თავდასხმის შემთხვევების 90% რჩება გამოუძიებელი და სრულდება სასჯელის მისჯის გარეშე და ამის ნაწილობრივ მიზეზად გაუპატიურების შესახებ მითები სახელდება (Caringella 2012). ისინი ასახავენ მსხვერპლის მიმართ მტრულ დამოკიდებულებებს და მომხდარში მათ დადანაშაულებას (Caringella 2012). ქალები ნაკლებად აცხადებენ პოლიციაში გაუპატიურების შემთხვევების შესახებ, როდესაც

მოძალადე მათი ნაცნობი ადამიანია და მათთან სოციალურად არიან დაკავშირებულები, რაც სექსუალური თავდასხმების დიდ უმრავლესობას მოიცავს (Bohmer and Parrot 1993). როცა მსხვერპლები პოლიციაში აცხადებენ მათზე სექსუალური ძალადობის შესახებ, მხოლოდ შემთხვევების 50%-ზე აღძრავს საქმეს პოლიცია და მხოლოდ 25%-ში ხდება ბრალის წარდგენა - საქმე გადაეცემა პროკურატურას (Campbell and Martin 2001). ქემპბელმა და მარტინმა დაადგინეს, რომ სექსუალური ძალადობის ბევრ მსხვერპლს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების დროს ცუდად ექცეოდნენ ან საერთოდ უარს ეუბნებოდნენ მომსახურებაზე (Campbell and Raja 1999). ასეთ მოპყრობას მეორადი ტრავმირებას უწოდებენ, ხოლო ეს ტერმინი უილიამსს ეკუთვნის (Williams 1984).

### 1.9 გაუპატიურების კულტურა უნივერსიტეტების კამპუსებში

ამერიკის უნივერსიტეტების კამპუსებში მაღალია სოციალური აქტივობა. ეს გულისხმობს ათლეტურ გუნდებს, ხშირ სადღესასწაულო შეკრებებს და წვეულებებს. ის შეიძლება პოზიტიური გამოცდილება იყოს ბევრი სტუდენტისთვის, თუმცა კამპუსის ცხოვრების ეს ასპექტები შესაძლოა ხელისშემწყობი გარემო გახდეს გაუპატიურების კულტურის, ქალის ობიექტად ქცევის, დეჰუმანიზაციისა და ტოქსიკური მასკულინურობისათვის (DeKerseredy and Schwartz 1997; Katz 2006). მამრობითი სქესის თანატოლთა მიერ ქალის დეჰუმანიზაციის კულტურის დროს ხდება იმის გამოვლენა, რომ კამპუსის კონკრეტული კერძო ჯგუფები უფრო არიან ტიპურად მიდრეკილი ტოქსიკური მასკულინურობისადმი (DeKerseredy and Schwartz 1997). მამრობითი სქესის ათლეტთა ჯგუფები და საძმოები იოლად ხდება ჰიპერმასკულინური გარემოს ხელშემწყობი, რადგან მათ გააჩნიათ ინსტიტუციური პრივილეგიები, რომლებიც მათ იცავთ და არიდებთ პასუხისმგებლობას ჩადენილ ძალადობის აქტებზე (DeKerseredy and Schwartz 1997). კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ საძმოების წევრები უფრო მიდრეკილნი არიან სწამდეთ და სიმართლედ მიაჩნდეთ გაუპატიურების შესახებ მითები, ვიდრე მათ ვინც არ არიან გაწევრიანებული ასეთ საძმოებში (Bleecker and Murnen 2005).

ერთ-ერთი მითი რომელსაც საძმოს წევრები სიმართლედ მიიჩნევენ, არის ის, რომ ქალები იტყუებიან სექსუალური თავდასხმის შესახებ და ასე ცდილობენ კაცების კონტროლს (Rhoads 1995). ასეთი მითის მიღება ხელს უწყობს ქალების დემონიზებას და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კაცები არიან ქალების ძალაუფლების უმწეო მსხვერპლები. ეს შეხედულებები არამხოლოდ არასწორად ასახავს გენდერული ძალის დინამიკას, არამედ არიდებს პასუხისმგებლობას სექსუალურ მოძალადეებს (Rhoads 1995). კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჯგუფური გაუპატიურების შემთხვევების უმრავლესობა, რომელიც კამპუსის ტერიტორიაზე მოხდა, ინიცირებული იყო საძმოების წევრების მიერ - საძმოების სახლებში მოხდა ან მათში მონაწილეობა მიიღეს ათლეტებმა (Bohmer and Parrot 1993). უფრო მეტიც, მამრობითი სქესის ამერიკელი სტუდენტების 25%-დან 60%-მდე აცხადებს, რომ ისინი გააუპატიურებდნენ ქალს იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ ეცოდინებოდათ, რომ ამის გამო მათ არავინ დასჯიდა (DeKerseredy 2013). ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნება ისეთ თანატოლთა კულტურაში, როგორიცაა საძმოები და ათლეტთა ჯგუფები, სადაც ხშირად შეინიშნება კაცის მიერ ქალზე ძალადობის ნორმალიზება (DeKerseredy 2013). სენდის კვლევის მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტების საძმოებს შეისწავლიდა, აღმოჩნდა, რომ საძმოების კულტურა ნორმად მიიჩნევს გაუპატიურებას (Sanday 1990). სენდიმ აღმოაჩინა, რომ ალკოჰოლის გამოყენება ქალების დასაუძლურებლად ან სიტყვიერი იძულება თანხმობის მისაღებად იყო მისაღები ქცევა საძმოების ზოგიერთი წევრისათვის (Sanday 1990). ეს ქცევა შესაძლებელია მივაკუთნოთ იმ იდეოლოგიას, რომლის მიხედვითაც კაცების უპირატესობა ლეგიტიმურია და წაახალისებს ტოქსიკურ მასკულინურობას, მას იყენებენ ქალების დეჰუმანიზაციისა და მათზე ძალადობის მიზნით (Sanday 1990).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის კამპუსებში წვეულებების თემად ხშირად ისეთ საკითხს ირჩევენ, რომელიც გულისხმობს ქალების დეჰუმანიზაციასა და დეგრადაციას. ეს თემები ხშირადაა შემოთავაზებული ათლეტური ჯგუფების და საძმოების მიერ, მათი მაგალითებია „ვიქტორია სიქრეტი“, “ფლეიბოი მენშენ” და ა.შ. (Armstrong, Hamilton and Sweeney 2006). მათი ამოცანაა ქალების ისეთ სოციალურ სიტუაციაში ჩაყენება, სადაც ისინი მხოლოდ სექსუალურ ობიექტებად ან ნივთებად

განიხილებიან და ეს კეთდება წვეულებაზე დამსწრე კაცების სასარგებლოდ. ეს ტენდენცია კიდევ უფრო ტოქსიკურ სახეს იღებს, როცა ალკოჰოლის მოხმარება ახლავს თან (Armstrong, Hamilton and Sweeney 2006). ბოსველმა და სპეიდმა აღმოაჩინეს ისეთი შემთხვევა, როცა ერთ-ერთი რისკის შემცველი სახლის წევრი მამაკაცი ქალების ცნობიერების ამაღლების კვირეულზე საუბრობდა, რომ ეს კარგი შესაძლებლობაა ქალზე ძალადობისათვის. გასაკვირი არ არის, რომ ასეთ სახლებში ცხოვრების დროს ქალები სექსუალური ძალადობის მაღალი რისკის ქვეშ არიან (Boswell and Spade 1996). ქალებზე ხშირად ხდება ზეწოლა, რომ მაღალი რისკის შემცველ საძმოების სახლში მათ მიიღონ ჭარბი რაოდენობის ალკოჰოლი. ეს ფაქტორი მათთვის ისეთ გარემოს ქმნის, სადაც მათზე სექსუალური ძალადობა მოსალოდნელია, რადგან ამ დროს სრულიად უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან (Boswell and Spade 1996). საძმოს სახლის წევრები ასეთ სიტუაციაში ქალის ჩაგდებას არ მიიჩნევენ „ნამდვილ გაუპატიურებად" და მათი აზრით ქალებს მეორე დღეს უბრალოდ სინანულის განცდა უჩნდებათ (Boswell and Spade 1996) ან უბრალოდ ქალის თანხმობის მოპოვების გზაა (Sanday 1990). აქ ქვეტექსტი ისაა, რომ ქალები, რომლებიც წვეულებას ესწრებიან, თანახმანი არიან ნებისმიერ კაცს დათანხმდნენ ნებისმიერ სექსუალურ ქმედებაზე. ხშირ შემთხვევაში ქალის სექსუალობა გამოიყენება, როგორც ჯილდო ან სტატუსის სიმბოლო კაცებისთვის, იმ მიზნით რომ ხაზი გაესვას მათ ჰიპერმასკულინურ იდენტობას. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ კაცები ქალების საზიანოდ ერთმანეთთან შეთანხმდნენ და ქალთა ექსპლუატაცია გახადონ ნორმალიზებული, როგორც მასკულინურობის სრულიად მისაღები შემადგენელი ნაწილი (O'Sullivan 1993).

### 1.10 სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობა და სექსუალური ძალადობა

სამეცნიერო ლიტერატურაში სექსუალური ძალადობის საკითხის განხილვის დროს ხშირად საუბრობენ სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის საკითხზე. თანამედროვე ავტორების აზრით სექსუალური იძულების მრავალსახეობა ართულებს ნებაყოფლობითი თანხმობის საკითხს, რადგან არსებობს უამრავი სიტუაცია, რომელშიც თანხმობა გაიცა, მაგრამ სექსუალური აქტივობა არ იყო სასურველი. ზოგადად მიიჩნევა, რომ თანხმობა გულისხმობს სექსუალურ აქტზე შეთანხმებას ან ნებართვას (Hatch 2017). გაუპატიურების, ძალადობისა და ინცესტი ნაციონალური

ქსელის თანახმად თანხმობის კანონით განსაზღვრება ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა, მიუხედავად ამისა სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის სამი ძირითადი ტიპის განსაზღვრება არსებობს (Hatch 2017). ძირითადად კანონი ცდილობს განსაზღვროს შემდეგი: თანხმობა იყო საკუთარი ნებით, ძალადობის, ტყუილის, იძულებისა და მუქარის გარეშე, თანხმობა გულისხმობს შეთანხმების ნათელ ნიშნებს და ქონდა თუ არა ადამიანს შესაძლებლობა ან კანონიერი უფლება, რომ განეცხადებინა თანხმობა. არსებობს გარკვეული დაბნეულობები თანხმობის ხასიათის შესახებ, როდესაც ვინმე განიცდის ინტოქსიკაციას და ამ დროს არ არის ნათელი თანხმობა იყო თუ სექსუალური იძულება (Hatch 2017).

ნებაყოფლობით თანხმობას ხანდახან უწოდებენ - „დიახ ნიშნავს დიახ"-ს, მას განსაზღვრავენ როგორც ნათელ, არაორაზროვან, ცნობიერ და ნებაყოფლობით შეთანხმებას ყველა მონაწილე მხრიდან სექსუალურ აქტივობაში ჩართვაზე (Hatch 2017). ამ ცნებამ ჩაანაცვლა „არა ნიშნავს არა"-ს. ნებაყოფლობითი თანხმობა მოითხოვს მიმდინარე მომენტში „დიახ"-ის არსებობას სექსუალური აქტის მსვლელობის პროცესში. ამ დროს თანხმობა უნდა იყოს ვერბალური ან არავერბალური მინიშნებების გამოყენებით. დუმილი, სიჩუმე ან წინააღმდეგობის არ გაწევა არ ნიშნავს თანხმობას. ადამიანს უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რომ შეეძლოს გასცეს თანხმობა მიმდინარე მომენტში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი არ უნდა იყოს მძიმე ალკოჰოლური თრობის ქვეშ, მძინარე ან არასრულწლოვანი (Hatch 2017).

აღსანიშნავია ფაქტია, რომ 2014 წელს კალიფორნიის შტატში გამოაცხადეს, რომ აუცილებელი გახდებოდა სექსუალური განათლების კურიკულუმის სწავლება და ასეთი პროგრამა პირველად იქნებოდა ადაპტირებული (Hatch 2017). ივი ბლადმა დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ გოგონების 80%-ს, რომლებსაც სექსუალური გამოცდილება ქონდათ, არ გაუვლიათ სექსუალური განათლების პროგრამა ამ ტიპის გამოცდილების შეძენამდე. ამასთანავე სექსუალური განათლების პროგრამების უმეტესობა არ მოიცავს ისეთ საკითხს, როგორიცაა სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობა (Blad 2015). სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობად მიიჩნევა მხოლოდ „დიახ"-ის თქმა და არ ნიშნავს მხოლოდ „არა"-ს არარსებობას. უფრო მეტიც, თანხმობად არ მიიჩნევა

„დიახ“-ის თქმა თუ ადამიანს არ აქვს საშუალება საკუთარი ნება გამოხატოს (Step UP! 2016). სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობა არის ლოგიკური საფუძველი იმის, რომ პარტნიორები უკეთესად მოახერხებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას და ზუსტად ეცოდინებათ რა მოლოდინი აქვს მეორე მხარეს, ასევე, ისინი თავიდან აირიდებენ ნებისმიერ გაუგებრობას და არაზუსტ ვარაუდებს. ასეთი ეფექტიანი კომუნიკაცია ხელს შეუწყობს ორივე მხარეს მოისმინონ ერთმანეთის აზრი და გაინაწილონ პასუხისმგებლობა (Step UP! 2016).

# თავი 2 - კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის კითხვების საპასუხოდ მნიშვნელოვანი იყო ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ხელს შეუწყობდა რესპონდენტების სიღრმისეულ მსჯელობას სექსუალური ძალადობის საკითხებზე. სწორედ ამ მიზნით კვლევისათვის გამოყენებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები, რადგან ისინი საშუალებას აძლევენ კვლევის მონაწილეებს თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრები და დასმულ კითხვებზე პასუხები თავისი სიტყვებით გადმოსცენ (Barker, Pistrang, and Elliot 2002), ასევე ეს მეთოდები გვეხმარება გავიგოთ სპეციფიური ჯგუფების ხმა (Carroll and Rothe 2010). თვისებრივი კვლევა მიიჩნევა საუკეთესო მეთოდად განსხვავებული ახსნების გამოსავლენად, რომლებიც ინდივიდუალური გამოცდილებიდან (Alderfer and Sood 2016) და სამყაროს მიმართ სუბიექტური ხედვებიდან გამომდინარეობენ (Willig, 2008).

წინამდებარე კვლევა შედგება ორი ეტაპისაგან: პირველი ეტაპი - საქართველოში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლა და მეორე ეტაპი - სექსუალური ძალადობის მიმართ ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის პირველი ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო სწორედ იმ შემთხვევების შესწავლა, რომლებიც საქართველოში ხდება, რადგან კულტურული კონტექსტის ჭრილიდან არ ამოვარდნილიყო საკითხი და განსაზღვრულიყო ტიპური შემთხვევები, რომლებიც განსახილველად მიეცემოდათ ახალგაზრდებს. სექსუალური ძალადობის ტიპური შემთხვევების ირგვლივ დისკუსია უკეთესად გამოავლენდა ახალგაზრდების დამოკიდებულებებს და კვლევისთვის საინტერესო ბევრ სპეციფიურ დეტალებს, რაც ვერ მოხერხდებოდა მხოლოდ ზოგადად სექსუალური ძალადობის ცნების ირგვლივ მსჯელობის გზით. ცნობილია, რომ სადისკუსიოდ სხვადასხვა მასალის გამოყენება ფართოდ გავრცელებული და აღიარებული ინსტრუმენტია სოციალურ მეცნიერებებში (Barter and Renold 2000).

## 2.1 პირველი ეტაპი: სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლა კვლევის ინსტრუმენტის შექმნის მიზნით.

სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესწავლის მიზნით დაიგეგმა ორი მეთოდის გამოყენება - 1) მედია ანალიზი - ბოლო 5 წლის მანძილზე მედიაში გაშუქებული შემთხვევების მოძიება და შესწავლა და 2) სიღრმისეული ინტერვიუ სპეციალისტებთან რომლებიც სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე მუშაობდნენ.

მედიაში გაშუქებული შემთხვევები შეგროვდა 2019 წელს შემდეგი მედია საშუალებების მიმოხილვების გადახედვის გზით: ტელევიზია -„რუსთავი2“, „მთავარი არხი“; ინტერნეტგამოცემა - „ტაბულა“, „ლიბერალი“, „ნეტგაზეთი“. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შეგროვებული შემთხვევები ბოლო 5 წლის მანძილზე იყო მომხდარი. მედიაში გაშუქებული შემთხვევები არ მოიცავდა იმ დეტალებს და ინფორმაციას, რაც შესამლოა მნიშვნელოვანი აღმოჩენილიყო კვლევის ინსტრუმენტის - ინტერვიუს გზამკვლევის შესაქმნელად და აუცილებელი იყო მეორე მეთოდის - სპეციალისტებთან ინტერვიუს გამოყენება. სწორედ ამ მიზნით ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე სპეციალისტებთან. თავიდან შეირჩა ის ორგანიზაციები, რომლებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს უტარებდნენ სხვადასხვა სახის მომსახურებას. ამის შემდეგ უშუალოდ რესპონდენტებისგან იქნა მოპოვებული ინფორმაცია სხვა სპეციალისტების შესახებ, რომლებიც მსგავს შემთხვევებზე მუშაობდნენ. შესაბამისად გამოყენებული იქნა ეგრეთ წოდებული თოვლის გუნდის მეთოდი.

სპეციალისტებთან სიღრმისეული ინტერვიუს ჩასატარებლად მომზადდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი - ინტერვიუს გზამკვლევი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე ძირითადი კითხვისგან, მაგალითად: სექსუალური ძალადობის რა ტიპის შემთხვევები ხდება მათ პრაქტიკაში უფრო ხშირად, რა ტიპის შემთხვევების გამოვლენაა უფრო რთული, ვინ არიან უმეტესწილად მსხვერპლები, ვინ არიან უმეტესწილად მოძალადეები, მსხვერპლის მიერ რამდენად აღიქმება ძალადობის აქტი ძალადობად, საქართველოში არსებული რომელი კულტურული და სოციალური ფაქტორები უწყობს ხელს სექსუალური ძალადობის გავრცელებას, მიიჩნევენ თუ არა, რომ ქართულ კულტურა - გავრცელებული რწმენა-შეხედულებები გავლენას ახდენს სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს მსხვერპლის მიერ პრობლემის სხვებისთვის გაზიარებაზე, როგორ რეაგირებენ მოძალადეები

სექსუალური ძალადობის შემთხვევის გამოვლენის შემდეგ, როგორ რეაგირებს მსხვერპლის გარემოცვა სექსუალური ძალადობის გამოვლენის შემდეგ, ვის და რა მიზეზით აკისრებენ პასუხისმგებლობას მომხდარ შემთხვევაზე ის პირები, ვინც ამის შესახებ გაიგო. საჭიროების მიხედვით რესპონდენტებს სხვა დამატებითი კითხვებიც ესმოდათ.

სპეციალისტებთან ინტერვიუ ჩატარდა წინასწარ შეთანხმებულ დროსა და ადგილზე, სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში და კონფიდენციალურობის სრული დაცვით. სულ ჩატარდა 15 ინტერვიუ. კვლევის მონაწილეები იყვნენ განსხვავებული ასაკის და სქესის სპეციალისტები - ექიმები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, იურისტები. მათ წინასწარ მიეწოდა ინფორმაცია, რომ ინტერვიუ იქნებოდა ანონიმური, რამაც განაპირობა გულწრფელი დამოკიდებულება მათი მხრიდან და ისინი თავისუფლად საუბრობდნენ მათ პრაქტიკაში მომხდარ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე კონფიდენციალურობის სრული დაცვით. ინტერვიუს აუდიოჩანაწერის საფუძველზე მომზადდა ინტერვიუს ტრანსკრიპტები და ჩატარდა დეტალური ანალიზი.

ზემოთ აღწერილი ორივე მეთოდის გამოყენებით მიღებული მონაცემები შეგროვდა და ერთმანეთთან შეჯერდა. ამ ანალიზის შედეგად მივიღეთ სექსუალური ძალადობის შემთხვევები, რომელთა უმრავლესობა ტიპურად გვხვდება საქართველოში.

## 2.2 კვლევის მეორე ეტაპი - კვლევის ინსტრუმენტის შექმნა და ახალგაზრდების გამოკითხვა

### 2.2.1 მონაცემების შეგროვება

კვლევის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ მომზადდა ახალგაზრდებთან ინტერვიუს გზამკვლევი - ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. ინტერვიუს გზამკვლევისათვის შეირჩა სექსუალური ძალადობის 12 ტიპური შემთხვევა (შემთხვევების მოკლე აღწერა იხილეთ ცხრილ #1-ში). ინტერვიუს გზამკვლევში ეს შემთხვევები მოკლედ იყო აღწერილი და მათი გაცნობის შემდეგ რესპონდენტს რამდენიმე ძირითადი კითხვა ესმოდა: 1) როგორ შეაფასებდით მოცემულ შემთხვევას? 2) როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ეს შემთხვევა სექსუალური ძალადობა, სექსუალური იძულება ან სექსუალური შევიწროვება?

ცხრილი #1 - სექსუალური ძალადობის შემთხვევების მოკლე აღწერა

| შემთხვევები | შემთხვევების მოკლე აღწერა |
|---|---|
| სიტუაცია 1 | თანამშრომელი ქალის სექსუალური შევიწროვება ოფისში ხელმძღვანელი მამაკაცის მიერ. |
| სიტუაცია 2 | ოფისში გასაუბრებაზე მისული ქალის სექსუალური შევიწროვება ორგანიზაციის ხელმძღვანელი მამაკაცის მიერ. |
| სიტუაცია 3 | მრევლის წევრი ქალის სექსუალური შევიწროვება სასულიერო პირის მიერ. |
| სიტუაცია 4 | სტუდენტი ქალის სექსუალური შევიწროვება ლექტორი მამაკაცის მიერ სოციალური ქსელის გამოყენებით. |
| სიტუაცია 5 | ქალის სექსუალური შევიწროვება და დევნა სხვა ქალის მიერ. |
| სიტუაცია 6 | ქალის სექსუალური შინაარსის მქონე ვიდეოს თანხმობის გარეშე საჯაროდ გავრცელება ყოფილი პარტნიორი მამაკაცის მიერ. |
| სიტუაცია 7 | ცოლის სექსუალური იძულება ქმრის მიერ. |
| სიტუაცია 8 | მამაკაცის სექსუალური იძულება ყოფილი პარტნიორი მამაკაცის მიერ. |
| სიტუაცია 9 | სტუდენტურ წვეულებაზე ალკოჰოლური თრობის ქვეშ და უგონო მდგომარეობაში მყოფ ქალზე სექსუალური ძალადობა მამაკაცების მიერ. |
| სიტუაცია 10 | ქალის მოტყუებით ჩაბმა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციაში - ტრეფიკინგში. |
| სიტუაცია 11 | ქალის გაუპატიურება მამაკაცის მიერ იძულებითი ქორწინების მიზნით. |

| | |
|---|---|
| სიტუაცია 12 | ქალზე სექსუალური ძალადობა უცნობი მამაკაცის მიერ ქუჩაში ღამის საათებში. |

3) თუ ასე ფიქრობთ, დააკონკრეტეთ რა მიზეზით არის ან რა მიზეზით არ არის ეს შემთხვევა სექსუალური ძალადობა, სექსუალური იძულება ან სექსუალური შევიწროვება? 4) შეიცვლებოდა თუ არა რამე სხვა სქესის ან სხვა გენდერის შემთხევაში? 5) მომხდარ შემთხვევაზე ვის და რამდენად ეკისრება პასუხისმგებლობა? (ინტერვიუს გზამკვლევი იხილეთ დანართ #2-ში). ინტერვიუს მსვლელობისაც ჩნდებოდა დამატებითი კითხვებიც, რომლებზეც რესპონდენტები წინააღმდეგობის გარეშე პასუხობდნენ.

ინტერვიუს გზამკვლევის მომზადების შემდეგ დაიგეგმა მისი პილოტაჟი და ამ მიზნით ჩატარდა 8 ინტერვიუ თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების სტუდენტებთან. ინტერვიუს გზამკვლევის პილოტაჟმა გამოავლინა, რომ კითხვარში მცირე ცვლილებების შეტანა იყო საჭირო. მაგალითად, სექსუალური ძალადობის შემთხვევები დალაგდა სიმძიმის მიხედვით, შეიცვალა კითხვების თანმიმდევრობა. ამის შემდეგ მან მიიღო საბოლოო სახე და გაგრძელდა ინტერვიუების ჩაწერა, როგორც ამავე უნივერსიტეტების სტუდენტებთან, ასევე კვლევისთვის შერჩეული სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებთანაც. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს გზამკვლევი არ წარმოადგენს ფსიქომეტრიულ საშუალებას, ის უბრალოდ მოიცავს სადისკუსიო მასალას სექსუალური ძალადობის შემთხვევების მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულებების უკეთესად გამოსავლენად.

თავდაპირველად კვლევის მონაწილეები იყვნენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტის და შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები. აღნიშნული უნივერსიტეტები შეირჩა იმ მიზეზით, რომ ისინი მრავალპროფილურია და მოიცავს როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სხვადასხვა მიმართულებების პროგრამებს. ამ უნივერსიტეტებში განათლებას იღებს საქართველოს დიდ ქალაქებში და სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები სტურენტები. აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტი

ერთ სივრცეშია განთავსებული. მიუხედავად ამისა ამ ორ უნივერსიტეტში სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი ახალგაზრდები იღებენ განათლებას. ამის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ სწავლის საფასურიც საკმაოდ განსხვავებულია და ასევე უნივერსიტეტებში ჩასარიცხად ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სხვადასხვა ქულების მიღებაა საჭირო (წლების მანძილზე თავისუფალ უნივერსიტეტში გაცილებით დიდი კონკურენცია იყო და შესაბამისად ჩასარიცხად ბევრად მაღალი ქულები იყო საჭირო). ეს გარემოება მნიშვნელოვანი იყო იმ მიზნით, რომ კვლევაში ასახულიყო სხვადასხვა აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდების დამოკიდებულებები სექსუალური ძალადობის მიმართ. მნიშვნელოვანი იყო იმის გამოვლენა, იქნებოდა თუ არა განსხვავებები მათ დამოკიდებულებებსა და ატრიბუციებში სექსუალური ძალადობის საკითხის მიმართ. ასევე, მნიშვნელოვანი იყო კვლევაში ასახულიყო როგორც აღმოსავლეთ საქართველოს, ასევე დასავლეთ საქართველოს ნაწილში მცხოვრები ახალგაზრდების დამოკიდებულებები. ბათუმის უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი უნივერსიტეტია დასავლეთ საქართველოში. სწორედ ამ მიზეზით შეირჩა ის. აღსანიშნავია, რომ სამივე უნივერსიტეტი მდებარეობს ურბანულ გარემოში. ამ რამდენიმე უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეგროვებული მონაცემების გადამოწმების მიზნით, შერჩევას ასევე დაემატა ახალგაზრდების - სტუდენტების შერეული ჯგუფი სხვა უნივერსიტეტებიდან - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ილიას უნივერსიტეტიდან და კავკასიის უნივერსიტეტიდან.

კვლევის მონაწილეები შეირჩა მიზნობრივი შერჩევით. მათი ასაკი იყო 18-დან 25 წლამდე, იმყოფებოდნენ უნივერსიტეტში სწავლის სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატის I კურსიდან მაგისტრატურის II კურსის ჩათვლით) და წარმოადგენდნენ სხვადასხვა სკოლებს (სოციალური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და სხვა მიმართულებები). კვლევაში მონაწილეობისათვის შერჩეული რესპონდენტები ელექტრონული ფოსტის საშუალებით იქნენ მოწვეულნი და მათი თანხმობის შემთხვევაში მათთან ინდივიდუალურად ჩატარდა ინტერვიუ. კვლევის მონაწილეებს თავიდანვე განემარტათ, რომ ინტერვიუ იქნებოდა ანონიმური და ეხებოდა ისეთ სენსიტიურ თემას, როგორიცაა სექსუალური ძალადობა. მათი

უმრავლესობა დათანხმდა ინტერვიუს და გამოხატეს საკითხით დაინტერესება. ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა პირისპირ, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მშვიდ და მათთვის სანდო გარემოში, ხოლო ნაწილი zoom-ის პროგრამის გამოყენებით, რადგან მონაცემების შეგროვების ეს ეტაპი დაემთხვა კოვიდ პანდემიის პერიოდს. ახალგაზრდებთან სულ ჩატარდა 37 ინტერვიუ. თითოეული ინტერვიუ გრძელდებოდა საშუალოდ 1 საათიდან - 1 საათი და 30 წუთამდე. ინტერვიუების მსხვლელობის დროს მომზადდა ყველა ინტერვიუს აუდიო ჩანაწერი.

### 2.2.2 მონაცემების ანალიზი

კვლევის შემდგომ ეტაპზე გამოყენებულია თემატური ანალიზის მეთოდი, რადგან ეს მეთოდი სრულად ემთხვეოდა კვლევის ამოცანების შესრულებას. თემატური ანალიზს ფართოდ იყენებენ თვისებრივი კვლევის დროს ძირითადი პატერნების - თემების დასადგენად, ასევე, მონაცემების ანალიზისა და აღწერისათვის (Braun and Clarke 2006). როგორც ამ კვლევისთვის, ისე ზოგადი მნიშვნელობით ეს პროცესი წარმოადგენს იმ თემების ძიებას, რომლებიც მნიშვნელოვანია ფენომენის აღწერისათვის და სოციალურ საკითხებთან კავშირების დადგენისათვის (Daly, Kellehear and Gliksman, 1997). ასევე, თემატური ანალიზი იმ მიზნით შეირჩა კვლევის მონაცემების დამუშავების მეთოდად, რომ როგორც ამ მეთოდის მკვლევარები ბრაუნმა და კლარკმა მიიჩნევენ, თემატური ანალიზი არის ფუდამენტური მეთოდი ნებისმიერი თვისებრივი ანალიზისათვის (Braun and Clarke 2006). ბრაუნმა და კლარკმა შემოგვთავაზეს თემატური ანალიზის ექვსეტაპიანი ცხრილი (იხ. ცხრილი # 2), რომელიც გამოყენებული იქნა მიმდინარე კვლევის შედეგების ანალიზის დროსაც (Braun and Clarke  2006).

აღნიშვნის ღირსია, რომ თემატური ანალიზი არის მეთოდი, რომელსაც შეუძლია მოიცვას სხვადასხვა ეპისტემიოლოგიური პოზიციები, რადგან წინასწარ არ გულისხმობს რომელიმე თეორიულ ჩარჩოს (Braun and Clarke 2006). თემატური ანალიზით შესაძლებელია შევისწავლოთ ის გზები, რომელთა გამოყენებით ინდივიდები თავის გამოცდილებებს ანიჭებენ მნიშვნელობებს და ასევე, როგორია ამ მნიშვნელობებზე ფართო სოციალური კონტექსტის გავლენა (Priya and Dalal 2016).

ცხრილი # 2 - თემატური ანალიზის ეტაპები

| | |
|---|---|
| 1 | მონაცემებთან გაცნობა: ტრანსკრიპტების მომზადება, წაკითხვა, განმეორებით წაკითხვა და აზრების ჩანიშვნა. |
| 2 | მონაცემებიდან გამომდინარე თავდაპირველი კოდების შექმნა. |
| 3 | კოდების გადახედვის გზით პატერნების და თემების მოძიება. |
| 4 | თემების გადახედვა, რამდენად შეესაბამისობაშია მონაცემები და თემები ერთმანეთთან, მაგალითად, ტრანსკრიპტების მონაკვეთები კოდების მიხედვით და ა.შ. ძირითადი თემების რუკის შექმნა. |
| 5 | თემების განსაზღვრა და მათთვის სახელების მინიჭება. |
| 6 | ანალიზის დაწერა: თემების საილუსტრაციოდ ცოცხალი ციტატების შერჩევა, უნდა იყოს კვლევის კითხვებთან მჭიდროდ დაკავშირებული. |

თემატური ანალიზი არის საშუალება მონაცემების სოციალური და ფსიქოლოგიური ინტერპრეტაციისათვის (Braun and Clarke 2006). ბრაუნის და კლარკის რეკომენდაციის მიხედვით თემატური ანალიზი კარგი მეთოდია, როდესაც აქამდე კარგად შეუსწავლელ საკითხს ვიკვლევთ ან კვლევის საკითხი რესპონდენტების ისეთ მოსაზრებებს მოიცავს, რაც აქამდე უცნობი იყო (Braun and Clarke 2006; Schutz 1962). ასევე, თემატური ანალიზის განსაკუთრებული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის მოქნილი მეთოდია სოციალური კონსტრუქტების აღმოსაჩენად (Lawrence 2012). ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გათვალისწინებით თემატური ანალიზი აღმოჩნდა ის მეთოდი, რომელიც სრულად ემთხვეოდა მიმდინარე კვლევის ინტერესებს და ფორმატს. მიმდინარე კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო ეს ფაქტორი, რადგან კვლევის მიზანს წარმოადგენდა სექსუალური ძალადობის მიმართ ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა, რომელიც აქამდე ღია და შეუსწავლელ საკითხს წარმოადგენდა.

როგორც ცხრილ #2-შია ნაჩვენები, ბრაუნმა და კლარკმა თემატური ანალიზის ჩასატარებლად შემოგვთავაზეს ექვსეტაპიანი პროცესი (Braun and Clarke 2006). წინამდებარე კვლევის შედეგების ანალიზი მიყვებოდა იმ ეტაპებს რაც ცხრილ #2-შია

აღწერილი. როგორც ვხედავთ, პირველი ეტაპი მოიცავს მონაცემებთან გაცნობას ტრასკრიპტების მომზადებით, კითხვით და განმეორებით კითხვით. მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარი კარგად გაეცნოს მონაცემებს, იმ მიზნით რომ შინაარსის სიღრმე და ფართობი გასაგები გახდეს. მას შემდეგ რაც მკვლევარი კარგად გაეცნობა მონაცემებს, იწყება მეორე ეტაპი - საწყისი კოდების განსაზღვრა. ბოიაცისმა შემოგვთავაზა კოდის განსაზღვრება: კოდი - ეს არის ნედლი მონაცემების ან ინფორმაციის ყველაზე საფუძვლიანი სეგმენტი ან ელემენტი, რომელშიც შესაძლოა ჩაიდოს მნიშვნელობა საკვლევი ფენომენის შესახებ(Boyatzis 1998, 29). მესამე ეტაპი მოიცავს კოდების დალაგებას სავარაუდო თემებად. მკვლევარს თავიდანვე უნდა ჰქონდეს სავარაუდო თემატური რუკა, ეს მას დაეხმარება კოდების თემებად დალაგებაში. მას შემდეგ რაც ძირითადი თემები განსაზღვრულია, მეოთხე ეტაპზე დაიწყება თემების და სუბთემების ხელმეორედ დამუშავება. თემატური რუკა გადაიხედება იმის მიხედვით, თუ რამდენად ასახავს ის კვლევის საკითხებს. ბრაუნი და კლარკი გვთავაზობს კოდების მიხედვით დალაგებული ტრანსკრიპტების ხელახლა გადაკითხვას და იმის დადგენას, თუ რამდენად თანმიმდევრულია ის პატერნები, რაც გამოიკვეთა (Braun and Clarke 2006). ამის შემდეგ მსგავსი პროცესი მეორდება, მკვლევარი ამოწმებს თემების ვალიდურობას მონაცემების ბაზასთან მიმართებაში. ამ პროცესის შემდეგ თემების საბოლოო ვერსია უკვე მზად არის (Braun and Clarke 2006). წინამდებარე კვლევის მონაცემების ანალიზის დროს დაცული იყო ზემოთ აღწერილი თემატური ანალიზის თითოეული ეტაპი და მათი თანმიმდევრობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევის მიზანი არ იყო რაოდენობრივი მასალის წარმოდგენა, არამედ ქართველი ახალგაზრდების სექსუალური ძალადობის მიმართ დამოკიდებულებების პატერნების გამოვლენა, მათი სიღრმისეული შესწავლა და აღწერა. ამის საშუალებას სწორედ თვისებრივი კვლევის ისეთი მეთოდი იძლევა, როგორიცაა თემატური ანალიზი.

ახალგაზრდებთან ჩატარებული ინტერვიუების შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები და NVIVO-ს პროგრამაში გაკეთდა მათი ანალიზი. მონაცემთა ანალიზმა გამოავლინა, რომ 37 სიღრმისეული ინტერვიუ ქართველ ახალგაზრდებთან სრულიად საკმარისი აღმოჩნდა სექსუალური ძალადობის მიმართ მათი დამოკიდებულების შესასწავლად და ძირითადი თემების გამოსავლენად. თვისებრივი კვლევის რესპონდენტების

რაოდენობის შესახებ რამდენიმე წლის წინ ჩატარებული კვლევაც, რომელიც ჰაგმანს და ვუტიჩს ეკუთვნის, იგივეს ადასტურებს. მათი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 20-დან 40-მდე რესპონდენტთან ინტერვიუ სრულიად საკმარისია ძირითადი თემების გამოსავლენად (Hagaman and Wutich 2016). ამასთანავე თემატური ანალიზის მეთოდმა გამოავლინა, რომ ძირითადი ტენდენციები ხშირად მეორდებოდა და ახალი ტენდენციები ნაკლებად იჩენდნენ თავს. შესაბამისად აღარ იყო საჭირო რესპონდენტების რაოდენობის გაზრდა.

## 2.3 კვლევის შეზღუდვები

მნიშვნელოვანია აქვე განვიხილოთ მოცემული კვლევის შეზღუდვები. ამ კვლევის ძირითადი შეზღუდვა გახლავთ ის, რომ რთული იყო იმის განსაზღვრა რამდენად გულწრფელ პასუხებს გასცემდნენ კითხვებზე კვლევის რესპონდენტები. ამ შეზღუდვის შემსუბუქების მიზნით ინტერვიუების დროს გამოყენებული იყო კითხვების რეფორმულირება და დამატებით კითხვები. ასევე, ინტერვიუს დროს რესპონდენტებს ხშირად მოყავდათ სხვადასხვა მაგალითები და თავისი გამოცდილების შესახებ საკუთარი ინიციატივით საუბრობდნენ. ამ კვლევის სხვა ძირითადი შეზღუდვა ის იყო, რომ თვისებრივი კვლევის შერჩევა შედარებით მცირე ზომისაა, მოიცავს კონკრეტულ ჯგუფს - ახალგაზრდებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში იღებენ განათლებას და ნაკლებად წარმოადგენდნენ სოციოდემოგრაფიული თვალსაზრისით განსხვავებულ ჯგუფებს. ასევე, კვლევის მონაწილეები არ წარმოადგენდნენ საქართველოში არსებულ ყველა უნივერსიტეტების სტუდენტებს, არამედ რამდენიმე ყველაზე დიდ უნივერსიტეტებს. სწორედ ამ შეზღუდვის დასაძლევად, იმისთვის რომ ამ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლები მაქსიმალურად მრავალფეროვანი ყოფილიყო, რესპონდენტები შეირჩა განსხვავებული ფაკულტეტებიდან, ამავდროულად ისინი იყვნენ სწავლის სხვადასხვა ეტაპზე (ბაკალავრიატის პირველი სემესტრიდან მაგისტრატურის ბოლო სემესტრამდე). ასევე, თანაბრად იყო წარმოდგენილი მამაკაცების და ქალების რაოდენობა.

## თავი 3 - კვლევის შედეგები

წინამდებარე თავის მიზანს წარმოადგენს თემატური ანალიზის შედეგების აღწერა. მონაცემების ანალიზმა გამოავლინა წინასწარგანსაზღვრული ორი ძირითადი საკითხის - სექსუალური ძალადობის და მომხდარზე პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მთავარი ტენდენციები. კერძოდ, თემატური ანალიზის შედეგად განისაზღვრა სამი ძირითადი თემა და რვა ქვეთემა (იხ. გრაფიკი #1):

- თემა I - სექსუალური ძალადობა, შემდეგი ქვეთემებით: შეხების გარეშე - მსუბუქი ფორმა, გარდამავალი ფორმა, ფიზიკური ზემოქმედებით;
- თემა II - ზღვარი, შემდეგი ქვეთემებით: არ მივიჩნევ, ზღვარი ფლირტსა და სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას შორის; სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარი.
- თემა III - მომხდარზე პასუხისმგებლობა შემდეგი ქვეთემებით - ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, კოლექტიური პასუხისმგებლობა.

### 3.1 თემა I - სექსუალური ძალადობა

წინამდებარე კვლევის რესპონდენტები - ქართველი ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ სექსუალური ძალადობისა და მისი ნებისმიერი ფორმის მთავარი განმსაზღვრელი არის ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანზე მისი სურვილის გარეშე სექსუალური შინაარსის ქმედების ნებისმიერი მცდელობა ან ასეთი ქმედების განხორციელება:

„ სექსუალური ძალადობა არის როცა შენი ნების წინააღმდეგაა, შეიძლება შენი ნება ესე ბოლომდე ვერ გამოხატო თავიდან და შეიძლება შეგეშინდეს გამოხატვის, მაგრამ ფაქტები თუ მეტყველებს იმაზე, რომ შენი ნების საწინააღმდეგოდ ხდება.. ეგ არის ძალადობა“. რესპონდენტი 12 (ქალი, 21 წლის, თბილისი).

რესპონდენტებმა სექსუალური ძალადობის სამი ძირითადი კატეგორია გამოყვეს. ეს კატეგორიებია: 1) მსუბუქი ფორმა - შეხების გარეშე; 2) გარდამავალი ფორმა; 3) მძიმე ფორმა - ფიზიკური ზემოქმედებით.

გრაფიკი 1 - თემების სქემატური გამოსახულება

თემა I - სექსუალური ძალადობა




თემა II - ზღვარი




თემა III - მომხდარზე პასუხისმგებლობა



### 3.1.1. მსუბუქი ფორმა - შეხების გარეშე

რესპონდენტების უმრავლესობა ისეთ შემთხვევებს მიიჩნევენ სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმად, სადაც არ არის მსხვერპლზე ფიზიკური ზემოქმედება. რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც განასხვავებს სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას სხვა ფორმებისაგან.

„ამ შემთხვევაში ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ მომენტს. არსებითია ეგ ადამიანისათვის, იმიტომ რომ ადამიანი ვარ, ფიზიკურად განვიცდი გამოცდილებას ნებისმიერს, ფიზიკურად ყველაფერს, ცნობიერებას თავი რომ დავანებოთ. არსებითი მნიშვნელობა აქვს, იმიტომ რომ მატერიასთან აქვს შეხება“. რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას სექსუალურ შევიწროვებასაც უწოდებენ. როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, ეს ფორმა ხასიათდება ერთჯერადად ან მრავალჯერადად „პირად სივრცეში შეჭრით“ - ინტერაქციაში მყოფი ერთი მხარის „თავისუფლების შეზღუდვით“. პირად სივრცეში შეჭრა გამოიხატება არასასურველი ვერბალური კომუნიკაციის გზით პირისპირ ან/და ვირტუალურ სივრცეში. ვერბალური კომუნიკაცია გულისმხობს სხეულის შესახებ არასასურველ კომენტარებს, არასასურველ მოთხოვნებსა და ინიციატივებს. აღნიშნული მოთხოვნა და ინიციატივა გამოხატულია ერთი პირისგან მეორე პირის მიმართ სექსუალური შინაარსის ქმედების, ფოტოებისა თუ ვიდეო მასალის მოთხოვნის გზით:

„ძალადობა ყველაზე მაღალი იერარქიაა, მაგას არ მივაკუთვნებდი. ეს მგონია, რომ ცალსახად სექსუალური შევიწროვება არის. იმიტომ, რომ პრაქტიკულად ჩემი მოქმედების სივრცე მეზღუდება, ლექსიკა საუბრის დროს მეზღუდება, ურთიერთობა საქმიანი და თავადაც შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, როდესაც ვიღაც ასეთ კომენტარებს აკეთებს ცალსახად არის სექსუალური შევიწროვება“. რესპონდენტი 15 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

„როცა ადამიანს კომპლიმენტს ეუბნები ეს არ უნდა იყოს ისეთი სიტყვებისგან და ისეთი გამონათქვამებისგან შემდგარი, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს რაღაცა უხერხულად და რომ შენ მას ავიწროვებ.. ყველა ადამიანი როდესაც მეორე ადამიანს გარეგნობაზე კომენტარს უკეთებს თითოეული სიტყვა უნდა იყოს გაზომილი და ერთხელ ნათქვამი, რომ მისი გრძნობები არ დავაზიანოთ.“ რესპონდენტი 10 (ქალი, 22 წლის, თბილისი).

ვირტუალურ სივრცეში სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმა ან სექსუალური შევიწროვება გულისხმობს სექსუალური შინაარსის არასასურველ მიმოწერას, სექსუალური შინაარსის ფოტო-ვიდეო მასალის როგორც გაგზავნასა და გავრცელებას, ასევე მათ დაჟინებით მოთხოვნას. მაგალითად, იმ შემთხვევის განხილვის დროს, როდესაც ლექტორი მამაკაცი სექსუალური შინაარსის ფოტოებს უგზავნიდა სტუდენტ ქალს და მისგანაც იგივეს მოითხოვდა, რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით სახეზეა სექსუალური შევიწროვება:

„სექსუალური შევიწროვებაა ჯერ ის, რომ მოთხოვა ფოტოების გაგზავნა. მეორე ის რომ თვითონ უგზავნიდა ფოტოებს. ეს რა თქმა უნდა, სტრესულ მდგომარეობაში ჩამგდები იქნებოდა ქალისთვის, ამ ეტაპზე სხვის ფოტოებს რომ უყურებს“. რესპონდენტი 25 (მამაკაცი, 19 წლის, ბათუმი).

„მარაზმის შეგრძნება მიჩნდება და ვერ ვხვდები, ესეთ მდგომარეობაში როგორ უნდა ჩავარდე კაცი, რომ გიწევდეს მაგ ნაბიჯების გადადგმა, საკუთარი შიშველი ფოტოების გაგზავნა და ამ გზით რაღაც იმედის შექმნა საკუთარი თავისთვის, რომ ვიღაცა შეიძლება მოხიბლო. განსაკუთრებით არაეთიკურია ჩემთვის“. რესპონდენტი 7 (მამაკაცი, 21 წლის, თბილისი).

მსუბუქი ფორმის შემთხვევებში იქნება ეს პირისპირ თუ ვირტუალ სივრცეში ინტერაქცია, ყოველთვის არის სიტუაციიდან თავის დაღწევის შესაძლებლობა. თუმცა, როგორც სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის შემთხვევაში, მსუბუქ ფორმასაც აუცილებლად ახლავს შეურაცხყოფის განცდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მსუბუქი ფორმა შეიძლება არსებობდეს, როგორც დამოუკიდებელი ქმედება, რომელიც სხვა ფორმაში არ გადაიზრდება ან შეიძლება წარმოადგენდეს სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების, მათ შორის ფიზიკური ძალადობის თანმხლები ფორმის საწყის ეტაპს

„არ მგონია ეგ პრობლემა იყოს იმდენად სერიოზული, რომ უბრალოდ ეს ქალი წამოვიდა ხომ, არც კარი ჩაუკეტავს არც არაფერი. იმიტომ რომ ესეთი შემთხვევები იმდენია, არ მგონია ამ ქალს რამე შეძლებოდა იმ დროს გაეკეთებინა. შედარებით მსუბუქი ფორმაა“. რესპონდენტი 27 (მამაკაცი, 20 წლის, ბათუმი).

„არის იმისი საფრთხე, რომ გადაიზარდოს უკიდურეს სიტუაციაში და მძიმე სექსუალურ ძალადობაში გადავიდეს. არ აქვს მნიშვნელობა სქესს, არ აქვს მნიშვნელობა სიტუაციას, არ აქვს მნიშვნელობა სტატუსს აქტორების, ყველა შემთხვევაში რაღაცნაირად დომინოს ეფექტივით შეიძლება გააქტიურდეს და უკიდურეს მომენტში გადავიდეს იძულებაში ან უფრო მძიმე ფორმაში“. რესპონდენტი 14 (მამაკაცი, 23 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილმა სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმის შესახებ საუბრის დროს სიღრმისეულად განიხილეს სამუშაო გარემოს კონტექსტის მნიშვნელობა. სამსახური და სამსახურის გასაუბრება ქმნის ვითარებას, სადაც იერარქიით მაღალ საფეხურზე მყოფ თანამშრომელს ან პოტენციურ დამქირავებელს საშუალება ეძლევა სამსახურში დაწინაურება ან სხვაგვარი სტიმულები გამოიყენოს სექსუალური ურთიერთობის მიღწევის მიზნით. სამსახურში სექსუალური შევიწროვებით გამოწვეული არაჯანსაღი გარემო იმის შედეგია, რომ არ არსებობს სათანადო რეაგირება. თანამშრომელი სრულიად დაუცველად გრძნობს თავს და საკმაოდ მაღალია იმის რისკი, რომ უარესად დაზარალდეს - დაკარგოს სამსახური ან სხვა პრობლემები შეექმნას. ერთ-ერთი შემთხვევის განხილვისას, როცა ოფისში ქალს არასასურველი სექსუალური შინაარსის კომენტარებს უკეთებდა კოლეგა მამაკაცი, რესპონდენტების დიდმა ნაწილმა ეს შემთხვევა საგულისხმოდ მიიჩნიეს. მათი აზრით, არსებობს სამსახურის დაკარგვის საფრთხე, რაც საქართველოში მცხოვრები ადამიანისთვის - ქალისთვის, საკმაოდ დიდ დანაკარგს წარმოადგეს. სწორედ ამ მიზეზით მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ქალი თავს უსიამოვნოდ გრძნობს, ის იძულებულია აიტანოს მისი სხეულის ფორმების შესახებ კომენტარები, უხმოდ დატოვოს ოთახი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა სამსახურის გარეშე დარჩეს:

„ეს ალბათ ის შემთხვევაა სექსუალურ შევიწროვებად როცა შეგვიძლია დავაკვალიფიციროთ. ზუსტად იგივე ერთი ამბავი ის არი რომ ეს ადამიანი აშკარად კონკრეტულად თავს უსიამოვნოდ გრძნობს, მუქარის ელემენტია თითქოს. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ეს ადამიანი არ ამბობს სამსახურიდან გაგაგდებ თუ რამე პრეტენზიას გამოთქვავ, როცა ეს საფრთხე გაქვს და შენ რეალურად აღიქვამ ამ საფრთხეს." რესპონდენტი 14 (მამაკაცი, 23 წლის, თბილისი).

„ამ შემთხვევაში მართლა ალბათ უნდა ამოიღო ხმა, მარა იმ მხრივ არი რთული, რომ საქართველოში დღეს მაგალითად კარგი კადრის პოვნის პრობლემა არ არი და ყოველთვის არის იმის რისკი, რომ შენ გაგიშვებს და ვიღაცას მოიყვანს, ვთქვათ, სხვა კადრს ან სხვა ქალს, რომელიც მაგაზე ხმას არ ამოიღებს. რეალურად ამაზე ხმას უნდა ვიღებდეთ, ოღონდ არა მხოლოდ დაწინაურების ან გაგდების გამო, ეგეთი ქეისებიც არი ხოლმე. ძირითადად უცხოეთში უფრო თავისუფლად შეიძლება ამ თემაზე საუბარი, საქართველოში ჯერ კიდევ ტაბუდადებულია ეგ". რესპონდენტი 21 (ქალი, 21 წლის, ბათუმი).

„ეს შემთხვევა, ადამიანს შეუძლია, რომ სამსახურიდან გააძევოს, ამას შეიძლება არ გამოხატავს, მაგრამ რახან ეს საფრთხე არსებობს და ის ადამიანი ფიქრობს, რომ ეს საფრთხე არსებობს და ეს საფრთხე რეალურია, ალბათ ხო, ამ შევიწროვებასა და ძალადობას შორის, საკმაოდ აქეთ გადმოიხრებოდა, შევიწროვებაა მაინც. იძულებისკენ გადმოიხრებოდა". რესპონდენტი 15 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ იგივე შემთხვევა სხვანაირი იქნებოდა, თუ ის შეიცვლიდა შინაარს - ქალი და მამაკაცი სამსახურში თანაბარ პოზიციებზე იქნებოდნენ და კაცს არ ექნებოდა რაიმე ბერკეტი, რითაც მანიპულირებას შეძლებდა. ქალს ამ შემთხვევაში მეტი შესაძლებლობა ექნებოდა ამ სიტუაციისათვის თავი დაეღწია და სამსახურში პრობლემები ნაკლებად შეექმნებოდა. სამუშაო პოზიციების ასეთი იერარქია ამ შემთხვევაში მამაკაცს აძლევს საშუალებას ზემოქმედება მოახდინოს მის თანამშრომელზე და ცუდად გამოიყენოს სამსახურეობრივი თანამდებობა:

„თანაბარ პოზიციებზე რომ იყვნენ ანუ მაგალითად ქალს ქონდეს საშუალება იმის რომ უთხრას, რადგან არ ექნება იმის შიში, რომ გაანთავისუფლონ სამსახურიდან. უბრალოდ მეტი სითამამე ექნება, რომ გამოხატოს თავისი აზრი". რესპონდენტი 35 (ქალი, 23 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების დამოკიდებულება რომ შევაჯამოთ, სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმის დროს არ არის ფიზიკური ზემოქმედება, სწორედ ეს განასხვავებს მას სხვა ფორმის სექსუალური ძალადობისაგან. შესაბამისად ამ ფორმის მთავარი და ერთადერთი გამოხატულება არასასურველი ვერბალური კომუნიკაციაა, როგორც პირისპირ, ასევე ვირტუალურ სივრცეში. ის განისაზღვრება როგორც არასასურველი, სექსუალური ხასიათის კომენტარები გარეგნობის შესახებ, ასევე სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი ინიციატივა ან ქმედების მცდელობა, რაც ვერბალურადაა გამოხატული. სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმის სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ მსხვერპლს აქვს შესაძლებლობა თავი დააღწიოს არასასურველ სიტუაციას. მსუბუქ ფორმაზე საუბრისას, განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა ისეთ სოციალურ სივრცეებს, როგორიც არის სამუშაო გარემო - ოფისი. სამუშაო გარემოში როგორც თანამშრომლებს უწევთ ერთმანეთთან ურთიერთობა, ასევე ტარდება გასაუბრება სამსახურის დაწყების მიზნით. ასეთ შემთხვევაში მოქმედ პირებს შორის ურთიერთმიმართება არის იერარქიული.

### 3.1.2 გარდამავალი ფორმა.

რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ არსებობს სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმა, რომელიც უფრო მძიმეა ვიდრე ზემოთ განხილული მსუბუქი ფორმა, მაგრამ არ გულისხმობს ფიზიკური ძალით მიღწეულს სექსუალურ ურთიერთობას, როგორც უფრო მძიმე ფორმის სექსუალური ძალადობის დროს გვხვდება. გარდამავალი ფორმის მთავარი მახასიათებელია ფსიქოლოგიური ძალადობის ინსტრუმენტული გამოყენება, რაც გულისხმობს მუქარას, იძულებას, ფსიქოლოგიური და ემოციური ზეწოლის მიზანმიმართულ პრაქტიკას. ამ მახასიათებლებით ის ხშირად ემთხვევა სექსუალური იძულების აქამდე არსებულ განსაზღვრებას. გარდამავალი ფორმის სექსუალური ძალადობის დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფიზიკურ ზემოქმედებას ან მის მცდელობას. უმეტესწილად მსხვერპლი იმდენად ძლიერი ზეწოლის ქვეშ არის, რომ მოცემული სიტუაციიდან თავის დაღწევა რთულად შეუძლია და ის ხშირად იძულებულია დათანხმდეს არასასურველ სექსუალურ ურთიერთობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მას სერიოზული პრობლემები შეექმნება სოციალურ ცხოვრებაში:

„სექსუალური ძალადობა ჩემთვის არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ფიზიკურად უნდა იძალადოს ადამიანზე და ემოციური სექსუალური ძალადობაც შეიძლება იყოს. რა პრობლემაა?! ამიტომ ემოციურადაც შეიძლება იძალადოს მიზნის მისაღწევად“. რესპონდენტი 28 (მამაკაცი, 21 წლის, ბათუმი).

რესპონდენტებმა ისაუბრეს ისეთი შემთხვევების შესახებაც, როცა მსხვერპლზე ფიზიკურ ძალადობას არ ჰქონია ადგილი, მაგრამ სექსუალური ურთიერთობის მიზნით ფიზიკური შეხების მცდელობა იყო. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ასეთი შემთხვევები ცდება სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმის ფარგლებს და წარმოადგენს გარდამავალ ფორმას, როცა ადგილი აქვს ფიზიკურ ზემოქმედებას, მაგრამ სექსუალური აქტი ფიზიკური ძალის გამოყენებით არ მყარდება. მაგალითად, ერთ-ერთი მხარე ცდილობს კოცნას ან მოხვევას, გზის გადაღობვას, ადამიანი თავისუფლად ვერ ტოვებს სივრცეს, სადაც იმყოფება და ა.შ. ასეთ შემთხვევებს ზოგჯერ რესპონდენტები სექსუალური ძალადობის მცდელობას ან სექსუალურ იძულებას უწოდებდნენ:

„ესეც სექსუალური ძალადობის მცდელობა იყო, მარა ძალადობაა ალბათ. კაია რომ გამოიწია ეს კაცი. ალბათ ეგეც ძალადობაა, ვერ შემდგარი ძალადობა შეიძლება

დავარქვათ. მცდელობა რომ არ ქონოდა ფიზიკური ურთიერთობის, ალბათ მაშინ შევიწროვებაში გავიყვანდი. მარა საერთოდ არაფერი არ იყოო მაგას ვერ ვიტყვი რა, მაინც რაღაცა ის არი“. რესპონდენტი 6 (ქალი, 23 წლის, თბილისი).

ასევე, სასულიერო პირის და მისი მრევლის წევრი ახალგაზრდა ქალის შემთხვევის განხილვის დროს, როცა მამაკაცმა სცადა ქალს მოხვეოდა და ეკოცნა, რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ფიზიკური შეხების მცდელობა სასულიერო პირის მხრიდან არის ის მიზეზი, რის გამოც სექსუალურ ძალადობის მსუბუქ ფორმაზე უფრო რთულ ფორმად მიიჩნევდნენ ამ შემთხვევას. ფიზიკური კონტაქტის ცდა იყო ერთგვარი განმსაზღვრელი ზღვარი:

„წელზე შემოხვევა და კოცნის მცდელობა არის მარაზმი, სურვილის წინააღმდეგ, ქალის სურვილის წინააღმდეგ წასვლა სექსუალური ძალადობაა. როდესაც საეკლესიო პირი ხარ და შენდამით ნდობით არის ადამიანი განწყობილი.“ რესპონდენტი 3 (მამაკაცი, 21 წლის, თბილისი).

„სასულიერო პირისგან.. დიდი ალბათობით უნდა ეთქვა შეყვარებული ვარო და დანარჩენზე ჯერ არც უნდა ეფიქრა, არ უნდა ეცადა ეს კოცნა. სანამ ფიზიკურ კონტაქტს და კოცნას ცდიდა არ ცდებოდა ზღვარს. უბრალოდ თუ გამოუტყდებოდა შემიყვარდიო და თუ მისგან, ქალისგანაც ანალოგიურს მიიღებდა მერე შეიძლებოდა, თუმცა უნდა დალოდებოდა ალბათ ქალის პასუხს.“ რესპონდენტი 32 (ქალი, 22 წლის, ბათუმი).

ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც სექსუალური ურთიერთობის მიღწევის ინსტრუმენტი, გვხვდება სხვადასხვა შინაარსის შემთხვევების განხილვის დროს. რესპონდენტები ხშირად განიხილავდნენ მას, როგორც საკმაოდ ძლიერ ბერკეტს, რომელსაც მოძალადე მხარე ხშირად მიმართავს. მაგალითად, იმ შემთხვევის განხილვის დროს, როდესაც ერთი ქალი მეორე ქალს აედევნა და ემუქრებოდა, რომ საშინელებას ჩაიდენდა, თუ მას სექსუალურ ურთიერთობაზე არ დათანხმდებოდა, რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით სწორედ ასეთი ფორმის ძალადობას აქვს ადგილი:

„მე მგონია, რომ ფსიქოლოგიური ძალადობაა ეს. გამოვიდა, რომ ფსიქოლოგიურად იძალადა სხვა ქალზე, განსაკუთრებით ბოლო ფრაზა, თუ არ დაიწყებდა სექსუალურ ურთიერთობას, ეს შანტაჟია პირდაპირ. ეს სექსუალური ტიპის ფსიქოლოგიური ძალადობის ნათელი მაგალითია“. რესპონდენტი 12 (ქალი, 21 წლის, თბილისი).

ფსიქოლოგიურ ძალადობას მნიშვნელოვან როლს ანიჭებენ რესპონდენტები ცოლქმრის შემთხვევაზე საუბრის დროსაც. ისინი მიიჩნევენ, რომ ქმარი ცოლს

იძულებულს ხდის მასთან ჰქონდეს არასასურველი სექსუალური ურთიერთობა. რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, რომ ქმრის მხრიდან ცოლზე ამ დროს ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა და იგი იძულებულია დათანხმდეს. აქაც კარგად ჩანს, რომ ფსიქოლოგიური ზეწოლა არის ინსტრუმენტული ხასიათის და სექსუალური ურთიერთობის მიღწევის მიზნით გამოიყენება:

„ქალბატონზე ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ზეწოლა არის ის რომ შეაწუხა ამ ადამიანმა თავისი გამუდმებული თხოვნებით, ხო? თითქოს ასე გამოდის." რესპონდენტი 33 (მამაკაცი, 22 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების დიდ ნაწილს სექსუალურ ძალადობის გარდამავალ ფორმად მიაჩნია ის შემთხვევა, როცა ყოფილმა პარტნიორმა ქალის სექსუალური შინაარსის ვიდეო სოციალურ ქსელში გაავრცელა. მათი აზრით ამ შემთხვევაშიც ეს ფსიქოლოგიური ძალადობის ინსტრუმენტული გამოყენება იყო, რადგან ყოფილი პარტნიორი სავარაუდოდ არ დათანხმდა მას სექსუალური ურთიერთობის გაგრძელებაზე და შურისძიების მიზნით გაავრცელა ვიდეო. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი ქმედება კანონით დასჯადი უნდა იყოს, რადგან რთული ფორმის ძალადობაა და მსხვერპლის სოციალურ ცხოვრებაზე საკმაოდ მძიმედ აისახება:

„სექსუალურ ძალადობასთან ერთად ეს არის ფსიქოლოგიური ძალადობა.. ანუ აქამდე რა შემთხვევებიც იყო მე მგონი არ მითქავამს ესეთი რაღაცა. ამ შემთხვევაში უკვე დასჯადი უნდა იყოს, რადგან სისხლის სამართლის დანაშაულია, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების გავრცელება და უკვე შანტაჟია, შეიძლება აშანტაჟებდა და გაუვრცელა". რესპონდენტი 34 (მამაკაცი, 24 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობას განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ შემთხვევის დროს, როცა ყოფილმა პარტნიორმა მამაკაცმა აიძულა ახალგაზრდა მამაკაცი მასთან ჰქონოდა სექსუალური ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაამხელდა მის არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციას. მათი აზრით ეს სექსუალური იძულების კარგი მაგალითია და აქაც ნათლად ჩანს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობა გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი სექსუალური ურთიერთობის მიღწევის მიზნით:

„ფაქტია, ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ არის ეს ადამიანი. იცის, ოჯახს სავარაუდოდ, რადგან ის აშანტაჟებს, ვერ ეტყვის, რომ ეს ურთიერთობა აქვს, თან აღარ

უნდა ურთიერთობა, რომ რაღაც სერიოზული ზეწოლის გამო აქვს ურთიერთობა“. რესპონდენტი 13 (ქალი, 23 წლის, თბილისი).

„მე არ მინდა ურთიერთობა და შენ მავალდებულებ რაღაცა ისეთი ბერკეტებით, რომ ვალდებული ვხდები, რომ ესე გავაკეთო. მარა ამ პატარა ბიჭის ის არი რო ვერ ახერხებს ამის დამთავრებას, მისი პრობლემის. მარა ხო, ვინც ძალით ტოვებს ადამიანს ურთიერთობაში თავისი სიამოვნებისთვის, ის არის დამნაშავე“. რესპონდენტი 8 (ქალი, 22 წლის, თბილისი)

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ როცა ვირტუალური სივრცე გამოიყენება სექსუალური ურთიერთობის იძულების მიზნით, სახეზეა კიბერბულინგი და გარდამავალი სექსუალური ძალადობის ფორმა. მაგალითად, კიბერბულინგის შემთხვევად რესპონდენტები ხშირად ასახელებდნენ ყოფილი პარტნიორის მიერ სექსუალური შინაარსის ვიდეოს გავრცელების შემთხვევას. ისინი მიიჩნევენ, რომ რადგან სექსუალური შინაარსის ვიდეო გავრცელდა, კიბერბულინგია სახეზე და ამავდროულად წარმოადგენს სექსუალური ძალადობის გარდამავალ ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ზემოქმედება არ ყოფილა და ვირტუალური სივრცე გახდა მოძალადის მოქმედების არეალი:

„კიბერბულინგია, ინტერნეტში თუ გაუვრცელა ეს ვიდეო. ჩემი აზრით ესეც არის ძალადობის ფორმა, განსაკუთრებით როდესაც საქართველოზე გვაქვს საუბარი. მსგავსი ტიპის ვიდეოს გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში ვიცით ხოლმე რა გამოხმაურებები მოყვება”. რესპონდენტი 18 (მამაკაცი, 19 წლის, თბილისი).

„სექსუალური შინაარსის შემცველი ვიდეო რახან გაავრცელა თანხმობის გარეშე თან საქართველოში, ჩემთვის ამ შემთხვევაში არის სექსუალური ძალადობა და კიბერბულინგი. სექსუალური შინაარსის ვიდეო, რომ არ ყოფილიყო ჩემთვის რა თქმა უნდა სხვანაირად იქნებოდა საქმე“. რესპონდენტი 17 (ქალი, 20 წლის, თბილისი).

სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმის შესახებ რესპონდენტების დამოკიდებულება, რომ შევაჯამოთ, ცხადია, რომ მათი დიდი ნაწილი ცალკე კატეგორიად გამოყოფს ამ ფორმას, რომელიც სცდება სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმის ფარგლებს, მაგრამ არ გულისხმობს ფიზიკური ძალადობით დამყარებულ სექსუალურ აქტს. გარდამავალი სექსუალური ძალადობის ფორმა მოიცავს ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ფიზიკური ზემოქმედებას და ფიზიკური ძალადობის მცდელობას. თუმცა, რესპონდენტების აზრით მსხვერპლს მაინც აქვს არჩევანის საშუალება, დაემორჩილოს მოძალადეს და დაეთანხმოს მას სექსუალურ ურთიერთობაზე ან გაუწიოს წინააღმდეგობა, რის შედეგადაც მას სოციალურ

ცხოვრებაში შეექმნება სერიოზული პრობლემები. სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმა გვხვდება სხვადასხვა და სრულიად განსხვავებულ გარემოში. მას ადგილი აქვს როგორც ოჯახში, ასევე გამოვლინდა ვირტუალურ სივრცეში კიბერბულინგის ფორმით. სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმა ხშირად მოიცავს სექსუალური იძულების შემთხვევებს.

### 3.1.3 მძიმე ფორმა - ფიზიკური ძალის გამოყენებით

რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმა გულისმხობს ფიზიკური ძალის გამოყენებით სექსუალური ურთიერთობის მიღწევას. ასეთ დროს მსხვერპლი იმყოფება ისეთ სიტუაციაში, როდესაც მას რეალური ფიზიკური საფრთხე ემუქრება და თითქმის შეუძლებელია სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა. რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, როცა სახეზეა ფიზიკური ძალის გამოყენებით სექსუალური ურთიერთობა, ყველაფერი ნათლდ ჩანს და ცხადია, რომ ესა თუ ის შემთხვევა სექსუალური ძალადობაა. ისინი ასეთ ქმედებას გაუპატიურებას უწოდებენ. მაგალითად, იძულებითი ქორწინების შემთხვევის განხილვის დროს, როცა მამაკაცმა ქალი მოტყუებით წაიყვანა სასტუმროში და მასთან ფიზიკური ძალის გამოყენებით დაამყარა სექსუალური ურთიერთობა, რესპონდენტებმა ასეთი დამოკიდებულება გამოავლინეს:

„ეს არის სექსუალური ძალადობა. თავიდან ავიწროვებდა, რაღაცებს ეუბნებოდა, სანამ ფიზიკურ ძალადობამდე მივიდოდა საქმე, სექსუალური შევიწროვება იყო და შემდეგ უკვე ძალადობაა. გაუპატიურებაა, იმიტომ რომ ქალი ჯერ უკან იხევდა, გარბოდა, მაქსიმალურად შეეწინააღმდეგა, გაუპატიურება არის რა“. რესპონდენტი 37 (ქალი, 18 წლის, თბილისი).

„რეალურად როდესაც ფიზიკური აქტი შედგება რაღაც ძალადობის, მანდ ნებისმიერი მსჯელობა იმის შესახებ მოტივაცია იქამდე მისასვლელი, იქამდე მომხდარი ფაქტები რა ქრონოლოგიით დალაგდა, მაქამდე რა მოტივაცია იყო, ეს რომ ვამტკიცოთ, რომ აი, იმ მომენტში როდესაც, მაგალითად როცა კაფეში წასვლა საერთოდ არ ქონდა განსაზღვრული და ა.შ. ეგ ყოვლად უსარგებლო არის, იმიტომ, რომ მე ვუყურებ რაღაცეებს რეალისტური კუთხით და ინდივიდუალური გამოცდილებით ვაფასებ ხოლმე ნებისმიერ შემთხვევას. ხოდა იმ რეალისტური კუთხით და გამოცდილებისეულად, ჩემთვის მნიშვნელოვანია რა მოხდა, თავად ფაქტი, შედეგი რა დადგა. ცხადია, პირველ რიგში არალეგალური არის ყველაფერს რომ თავი გავანებოთ“. რესპონდენტი 1 (მამაკაცი, 21 წლის, თბილისი).

ახალგაზრდა ქალის ტრეფიკინგის ქსელში მოტყუებით ჩართვის შემთხვევის განხილვისას, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ქალი იმყოფებოდა ისეთი ფიზიკური საფრთხის ქვეშ, რომელიც ფიზიკური ძალადობის ტოლფასი იყო. ერთერთი რესპონდენტი ამ შემთხვევის მიმართ თავის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს:

„არ ვამტყუნებ ქალებს, არავითარ შემთხვევაში არ ვამტყუნებ ამ ქალებს, ჩვეულებრივად მოტყუებულები არიან დარწმუნებული ვარ. სექსმუშაკობას შენი ნებით რომ იწყებ კიდე შენი გადაწყვეტილებაა და ან შიმშილით მოკვდები ან ეს უნდა აკეთო, ვერანაირ არჩევანს ვერ უტოვებ, რომ რამე სხვა გააკეთოს. არანაირად არ შეიძლება ამ ხალხის გამტყუნება“. რესპონდენტი 24 (ქალი, 21 წლის, ბათუმი).

სხვა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი იყო იმ პირობების გამო რაშიც ეს ქალი - მსხვერპლი იმყოფებოდა:

„იმ მიზეზითაა სექსუალური ძალადობა, რომ ეგ რომ ყოფილიყო - ხაშურში რომ წაეყვანათ თბილისიდან და ეთქვათ, რომ ეხლა აქედან ვერსად ვეღარ წახვალო, სანამ მართლა არ ჩარაზავდა და მართლა არ დაატყვევებდა, ვერ მიაღწევდა იგივეს და უცხო ქვეყანაში ყოფნის მომენტით, თავიდან ბოლომდე ამ ადამიანის ცხოვრება აიღო ხელში ანუ პასპორტი არა აქვს, არაფერი არა აქვს და საერთოდ.“ რესპონდენტი 24 (ქალი, 21 წლის, ბათუმი)

რესპონდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა მსხვერპლი იყო უგონო მდგომარეობაში და ვერ შეძლო წინააღმდეგობის გაწევა ან სექსუალურ ურთიერთობაზე დათანხმება, სექსულური ძალადობის მძიმე ფორმას - გაუპატიურებას ჰქონდა ადგილი. მათი აზრით ერთი მხარე უგონოდ მთვრალი იყო და ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას, იმყოფებოდა სრულიად დაუცველ და უსუსურ მდგომარეობაში, შესაბამისად მსხვერპლის უგონო მდგომარეობაში ყოფნით სარგებლობა უთანაბრდება ფიზიკური ძალის გამოყენებით დამყარებულ სექსუალურ აქტს და გაუპატიურებას წარმოადგენს:

„ეს გაუპატიურება იყო. იმიტომ რომ საერთოდ გონზე რომ არ ვარ ისეთი მთვრალი ვარ, ფაქტობრივად გათიშული ვარ, ვერ გეწინააღმდეგები, ალბათ იმით განსხვავდება გაუპატიურებისგან, რომ გაუპატიურების დროს ცოტა შეწინააღმდეგებას მაინც ცდილობ. დანარჩენი ალბათ არაფრით. თუ ბოლომდე ვერ მოახერხეს სექსუალური კავშირი, მაინც სექსუალური ძალადობაა, იმიტომ რომ ეგეთი მთვრალი რომც იყო, ეგრე არ უნდა იქცეოდე“. რესპონდენტი 29 (ქალი, 19 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების დიდი ნაწილის დამოკიდებულება, რომ შევაჯამოთ, სხვა შემთხვევებზე იოლად შესაძლებელია სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირება, როცა სექსუალური აქტი ფიზიკური ძალადობის გზით დამყარდა. მათი აზრით ასეთი შემთხვევების დროს ნათლად ჩანდა, რომ სექსუალური ურთიერთობა მსხვერპლის ნების წინააღმდეგ იყო და მოძალადე მიმართავდა ფიზიკურ ძალადობას ან მსხვერპლს აყენებდა ისეთი ფიზიკური საფრთხის წინაშე, როდესაც ის ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას და დათანხმებოდა სექსუალურ ურთიერთობაზე. რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ფიზიკური ძალის გამოყენება ნათლად მიუთითებს, რომ სექსუალურ ძალადობასთან გვაქვს საქმე. ასევე, რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მსხვერპლის უგონო მდგომარეობით სარგებლობა და მასთან სექსუალური კავშირის დამყარება სექსუალური ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმაა და უტოლდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ფიზიკური ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

### 3.1.4 თემის - სექსუალური ძალადობის შეჯამება

თემა - სექსუალური ძალადობა ასახავს სექსუალური ძალადობის მიმართ ქართველი ახალგაზრდების (სტუდენტების) დამოკიდებულებას. რესპონდენტებმა ინტერვიუს დროს იმსჯელეს გზამკვლევში მოცემული თითოეული სიტუაციის შესახებ და გამოავლინეს თავისი დამოკიდებულება. მათი დიდი ნაწილი სექსუალურ ძალადობას სამ ძირითად ფორმად ყოფს: მსუბუქი ფორმა, რომელიც ნაწილობრივ ფარავს სექსუალური შევიწროვების შემთხვევებსაც, გარდამავალი ფორმა, რომელიც სექსუალური შევიწროვების მძიმე შემთხვევებს და სექსუალურ იძულების შემთხვევებს მოიცავს და სექსუალური ძალადობა, რომლის დროსაც ფიზიკური ძალის გამოყენებით მიიღწევა სექსუალური ურთიერთობა. რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმა მოიცავს პირად სივრცეში უხეშ შეჭრას, რომელიც ვლინდება სექსუალური შინაარსის არასასურველი კომენტარებით და სექსუალური ურთიერთობის ცალმხრივი ინიციატივით. მსუბუქი ფორმა ხშირად ხდება, როგორც სამუშაო გარემოში, ასევე ვირტუალურ სივრცეშიც. მსუბუქ ფორმას ხშირად თან სდევს პრობლემები სამსახურის ძიების პროცესში და სამუშაოს

შესრულების დროს. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ მსუბუქი ფორმის სექსუალური ძალადობის შემთხვევიდან თავის დაღწევა შესაძლებელია. რესპონდენტების აზრით არსებობს სექსუალური ძალადობის ისეთი ფორმა რომელიც გარდამავალი ხასიათისაა - ის სცდება მსუბუქი ფორმის ფარგლებს, მაგრამ არ გულისხმობს ფიზიკური ძალადობის დამყარებულ სექსუალურ აქტს. გარდამავალი სექსუალური ძალადობის ფორმა მოიცავს სექსუალური შევიწროვების მძიმე შემთხვევებს, ასევე სექსუალურ იძულებასაც და თან ახლავს ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა, ფიზიკური ზემოქმედება ან ფიზიკური ძალადობის მცდელობა. რესპონდენტების აზრით ამ შემთხვევაში მსხვერპლს მაინც რჩება არჩევანის მცირე საშუალება - დათანხმდეს ან არ დათანხმდეს მეორე მხარეს სექსუალურ ურთიერთობაზე. ორივე შემთხვევაში ეს მსხვერპლის სოციალურ ცხოვრებაზე სერიოზულად აისახება და ასეთი შემთხვევებიდან თავის დაღწევა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. რესპონდენტებმა გამოყვეს სექსუალურ ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმა, როცა ნათლად ჩანდა, რომ სექსუალური ურთიერთობა მსხვერპლის ნების წინააღმდეგ იყო და მოძალადე მიმართავდა ფიზიკურ ძალადობას სექსუალური ურთიერთობის მიზნით ან მსხვერპლს აყენებდა ისეთი ფიზიკური საფრთხის წინაშე, როდესაც ის იძულებული იყო არ გაეწია წინააღმდეგობა და დათანხმებოდა სექსუალურ ურთიერთობაზე. ასევე, რესპონდენტების უმრავლესობის აზრით მოძალადე სარგებლობდა მსხვერპლის უგონო მდგომარეობით და ამ შემთხვევაში სქესობრივი კავშირის დამყარება უტოლდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ფიზიკური ძალის გამოყენებას ჰქონდა ადგილი. ასეთი ფორმის სექსუალური ძალადობის შემთხვევიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია.

### 3.2 თემა II - ზღვარი

თემა - ზღვარი მოიცავს რამდენიმე საკითხს, რომლებიც გამოვლინდა ასახავს, თუ რა იყო განმსაზღვრელი რესპონდენტებისთვის, რომ კონკრეტული შემთხვევები მიეჩნიათ ფლირტად ან სექსუალურ ძალადობის რომელიმე ფორმად. ასევე განესაზღვრათ თითოეული შემთხვევის დროს რომელი ფორმის სექსუალურ ძალადობას ჰქონდა ადგილი. რესპონდენტები ხშირად საუბრობდნენ, თუ რა შემთხვევაში არ მიიჩნევდნენ ძალადობად სხვადასხვა სიტუაციებს. ისინი ხშირად

ცვლიდნენ მოცემულ სიტუაციებში შინაარსს და სხვადასხვა დეტალებს და აღნიშნავდნენ, რომ ამ შემთხვევაში ეს არ იქნებოდა სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმა. მათ ხშირად უჭირდათ ზღვარის გავლება ფლირტსა და სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას შორის და ასევე უჭირდათ ზუსტად გაემიჯნათ სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმები ერთმანეთისგან. სექსუალური ძალადობის ტერმინს ისინი ხშირ შემთხვევაში იყენებდნენ, როგორც ერთგვარ ქოლგას, რომელიც ფარავს ყველა ფორმას. სწორედ ამ მიზეზებით ზღვარის საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და ცალკე თემად გამოიყო

### 3.2.1 არ მივიჩნევ

რესპონდენტების ნაწილს არ მიაჩნდა სექსუალურ ძალადობად, ისეთი შემთხვევები სადაც მათი აზრით არ იყო ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობის მკვეთრად გამოხატული ნიშნები, ასევე სადაც არ ჩანდა, რომ ერთი მხარე მეორეს ნათლად და გარკვევით ეუბნება უარს სექსუალურ ურთიერთობაზე, სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი და ხშირად არ ხდებოდა, ამავე დროს არ მოიცავდა მუქარას ან შანტაჟს, ჰქონდა მხოლოდ სექსუალური ურთიერთობის შეთავაზების ფორმა და ერთ-ერთი მხარე არ სარგებლობდა თავისი ავტორიტეტით ან ძალაუფლებით:

„თუკი ეს ჯანსაღი ლტოლვა არის მანდილოსანისადმი და ზრდილობის ფარგლებში არის და თან კიდევ ისე, რომ ქალის ისინიც გათვალისწინებულია, გრძნობები, მაშინ არ უნდა იყოს სექსუალური ძალადობა. თუ ფიზიკურად არ ეხება და არ აძალებს ასეთ ურთიერთობას და თუ ესე არ არის მაშინ, თავისთავად არის.“ რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი)

მაგალითად, ცოლ-ქმრის შემთხვევის განხილვის დროს, როცა ქმარი დაჟინებით მოითხოვდა ცოლისგან სექსუალურ ურთიერთობას, თუ ფიზიკური ძალის გამოყენებას არ ჰქონდა ადგილი, მაშინ რესპონდენტების ნაწილს ეს შემთხევა არ მიაჩნდათ სექსუალურ ძალადობად. ერთ-ერთი რესპონდენტი თავის დამოკიდებულებას ამ კონკრეტული შემთხვევის მიმართ ასე გამოხატავს:

„ცოლ-ქმრულზე როცა ხდება, რას ვიტყვი, იცით? თუკი ეს მამაკაცი არ ახდენს მასზე რასაც ქვია ზეწოლას, თუკი ხელით არ ეხება და გაუპატიურების ის.. არ დასდევს.. ჭრილი ამ აქტს, ქალი მაშინ მაინც ნებას აძლევს ამ კაცს, რომ ქონდეს მასთან ურთიერთობა. მაშინ უნდა გაეუპატიურებინა, თუ ეუბნება ქალი არა, არ აძლევს

საშუალებას, რომ ჩაიდინოს კონკრეტული აქტი, მაშინ მამაკაცს მოუწევდა, რომ გამოეყენებინა, ესე რომ ვთქვათ ფიზიკური ძალა, თუ ეს ფაქტი ფიქსირდება, არ ვიცი, მაშინ ფიზიკურ ძალადობასთან, სექსუალურ ძალადობასთან და ყველაფერთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ არ ფიქსირდება, მაშინ უბრალოდ ასე, რომ ვთქვათ თავი მოაბეზრა ამ მამაკაცმა იმდენჯერ თხოვა და მერე თავისით, ასე რომ ვთქვათ, დანებდა, მაშინ ჩემი აზრით არ არის, რავი. თუ უბრალოდ თხოვნით შემოიფარგლებოდა ეს კაცი და უბრალოდ ტვინი წაუღო იმდენჯერ თხოვა და ეს ქალი საბოლოოდ დათანხმდა, მაშინ არ იქნება ეს ჩემთვის ძალადობა“. რესპონდენტი 7 (მამაკაცი, 21 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილს მიაჩნდა, რომ როცა უარის მიუხედავად ქმარი ცოლისგან მოითხოვდა სექსუალურ ურთიერთობას, შესაძლოა ცოლისთვის მისაღები ყოფილიყო ურთიერთობის ეს ფორმა და სწორედ ამ მიზეზით რთულია, ზღვარის გავლება სექსუალურ ძალადობასა და მეუღლის მოვალეობის შესრულებას შორის:

„მანდ ხო კიდე რაღაც ის არი სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილში უფრო გადის, ვიდრე რაღაც ინტიმური სურვილები ხო? მეუღლე ხარ და შენი მოვალეობა უნდა შეასრულო ან რაღაც ეგეთი. თუ აქედან ამოდიხარ და მხოლოდ ამის გამო გიწევს კომპრომისზე წახვიდე, თუ ნებაყოფლობითია ეს კომპრომისი, მაშინ კიდე ხო, მანდ ხო პირადი სტიმულები აღარ მუშაობს ხო, უფრო სოციალური სტიმულებია და ეგ შეიძლება დავაკვალიფიციროთ“. რესპონდენტი 3 (მამაკაცის, 21 წლის, თბილისი).

„მე თუ მკითხავთ სექსი მთლიანად არის ორმხრივი ურთიერთობა ხო? აქ ის არ არის მარტო მე ვიყო კმაყოფილი და პარტნიორი არა, რაღაცები არი რაც მე ძაან მომწონს და ჩემს პარტნიორს არ სიამოვნებს, მაგრამ აკეთებს ამას და იგივე დათმობაზე უნდა წავიდე მეც, რომ იმას თუ რაღაცა მოსწონს და მე ნაკლებად, ისიც რომ კმაყოფილი იყოს მე დათმობაზე უნდა წავიდე. რაღაცა იმის პოვნა არის საჭირო რა, თან ხანგრძლივ ურთიერთობებში უფრო მარტივდება, მერე იცი იმას რა პრეფერენციები აქვს და თუ ესეთ კარგ ურთიერთობაში როცა ხარ, გარკვეული გაქვს რა მოწონს და რაღაცა, შეიძლება ხანდახან ისეთ დროსაც დათანხმდე როცა შენ არ გინდა, მაგრამ პარტნიორისთვის გააკეთო. ეს მომენტი იყოს.“ რესპონდენტი 13 (ქალი, 23 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი ასევე მიიჩნევდა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენად ხშირად ხდება სექსუალურ ურთიერთობაზე დაყოლიება, თუ ამ ქმედებას არ აქვს სისტემატური ხასიათი და არ მოიცავს მუქარის ან შანტაჟის ელემენტებს, მაშინ სექსუალურ ძალადობად ნაკლებად ჩაითვლება:

„სექსუალური ძალადობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ალბათ ძალიან ხშირად ხდება ესე და თან ისე, რომ რაღაც.. თუ ქალს არ უნდა და კაცს უნდა და მოდი ესე ვქნათ და კაცი თუ ყოველთვის უარს ეუბნება და მეორე მხრივ როცა ქმარს უნდა და ცოლს არ უნდა და რაღაც, მაშინ ცოლი ვალდებულია, რომ აუცილებლად დაამყაროს ეს კავშირი

მაგ შემთხვევაში. თუ ბალანსი არ არის დაჭერილი ამ ურთიერთობაში ალბათ მაშინ“. რესპონდენტი 33 (მამაკაცი, 22 წლის, ბათუმი).

სხვა შემთხვევის განხილვის დროს, რომელიც სტუდენტის და ლექტორის სოციალურ ქსელში მიმოწერას ეხებოდა, რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავდა, რომ მოცემულ სიტუაციაში არ ჩანს ნათლად, რომ ერთმა მხარემ მეორეს უარი უთხრა:

„აქ სიმართლე თუ გაინტერესებთ, არსად არ ჩანს, რომ გოგომ უარი უთხრა ან რაღაცა. არ ჩანს ეგრე გამოკვეთილად. აქ მითითებულია უბრალოდ, რომ ქალმა უარი უთხრა ფოტოების გაგზავნაზეო“. რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ თუ არ გასცდებოდა ზოგიერთი შემთხვევა სექსუალური ურთიერთობის შეთავაზების ფარგლებს, მაშინ ეს არ იქნებოდა სექსუალური ძალადობა:

„თუ უბრალოდ დაილაპარაკეს და ამ ქალმა უთხრა, რომ რაღაცა არ მომწონსო მაშინ რა პრობლემაა? თუ ვთქვათ უბრალოდ დაელაპარაკა და წამოვიდა, მაშინ სად ჩანს შევიწროვება?!“ რესპონდენტი 29 (ქალი, 19 წლის, ბათუმი).

„ჩემი წარმოდგენით მაინც უფრო მსუბუქი შემთხვევაა, იმ ეტაპამდე როცა იმუქრება, რომ რაღაცას გააკეთებს, იმიტომ რომ შენ აიძულებ ადამიანს, რომ მოვიდეს, მაგრამ მანამდე შეთავაზების ფარგლებს არ გასცდენია“. რესპონდენტი 14 (მამაკაცი, 23 წლის, თბილისი).

„ზოგადად ლექტორსა და სტუდენტს შორის ურთიერთობა ნებისმიერი ტიპის არაა ჩემთვის ტაბუირებული, თუკი კომპრომისი არის, თუკი მოსწონს ადამიანებს ერთმანეთი, არანაირი პრობლემა არ მგონია მაგაში“. რესპონდენტი 27 (მამაკაცი, 20 წლის, ბათუმი).

„მოძღვარსაც შეიძლება ჩვეულებრივად შეუყვარდეს. მართლა შეუყვარდეს შეიძლება, ვერ დავადანაშაულებთ, მართლა უყვარს თუ არა და იმის მიმართაც გამოხატავს ამას და გონია, რომ ამ ქალისთვის შესაძლოა მისაღები იყოს“. რესპონდენტი 9 (ქალი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დამოკიდებულება, რომ შევაჯამოთ ისეთი შემთხვევების მიმართ, რომლებიც მათი აზრით არ წარმოადგენენ სექსუალურ ძალადობას, გამოვლინდა, რომ გზამკვლევში მოცემული ზოგიერთი სიტუაცია მათთვის ორაზროვანი იყო ან მცირე ცვლილების შემთხვევაში შესაძლებელი იყო, რომ ისინი სექსუალური ძალადობის რომელიმე კატეგორიაში არ მოხვედრილიყვნენ. რესპონდენტების ნაწილმა მიიჩნია, რომ თუ შემთხვევის დროს არ იყო ფიზიკური ზემოქმედება ან მისი მცდელობა და ამავე დროს თუ არ ჩანდა ნათლად, რომ ერთი მხარე მეორეს ეუბნებოდა უარს

სექსუალურ ურთიერთობაზე ან უარი იყო ბუნდოვანი, თუ სექსუალური ურთიერთობის თხოვნა არ იყო დაჟინებული და ხშირად არ მეორდებოდა, არ ქონდა მუქარის ან შანტაჟის ფორმა, მაშინ ასეთი შემთხვევა რჩებოდა მხოლოდ სექსუალური ურთიერთობის შეთავაზებად. ის ვერ მოხვდებოდა სექსუალური ძალადობის რომელიმე კატეგორიაში.

### 3.2.2 ფლირტსა და მსუბუქ ფორმას შორის ზღვარი

რესპონდენტები ცდილობდნენ განესაზღვრათ ზღვარი ფლირტსა და სექსუალური ძალადობის მსუქუბ ფორმას შორის. ისინი მიიჩნევენ, რომ ხშირ შემთხვევაში ფლირტსა და სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას შორის ზღვარის გავლება რთულია და საკმაოდ სუბიექტურია. მიუხედავად ამისა, თუ ერთი მხარე მეორე მხარის სურვილს არ ითვალისწინებს და მისი ნების წინააღმდეგ ცდილობს სექსუალურ ურთიერთობის წამოწყებას, მაშინ ურთიერთობა სცდება ფლირტს და სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას იღებს:

„ჩემი აზრით მანდ მნიშვნელოვანი არის გაივლოს მკაფიო ხაზი სურვილის წინააღმდეგ წასვლას და უკვე უშუალოდ სექსუალურ ძალადობის ფორმას შორის. სად გადის ზღვარი იმას შორის, უფრო სწორედ როდის ხდება უკვე სურვილის წინააღმდეგ წასვლა და ძალადობა. მაგალითად შეიძლება იყოს რაღაც მსუბუქი ფორმა, შეიძლება რაღაცა გსურდეს და შენ გაქვს იმის სივრცე, რომ მის წინააღმდეგ წახვიდე, გამოხატო, დრო გაქვს იმისათვის, რომ აირიდო ეს ზედმეტი ზემოქმედება გარედან.“ რესპონდენტი 14 (მამაკაცი, 23 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწლი მიიჩნევს, რომ ფლირტსა და სექსუალურ ძალადობას შორის ზღვარის განსაზღვრას ის ფაქტორი ართულებს, რომ ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ ერთმანეთის ნათქვამ სიტყვებს:

„ზოგჯერ ხდება ისეც, რომ ადამიანები ვერ აფასებენ ან სხვანაირად აფასებენ, სხვანაირად აღვიქვამთ იმას რასაც სხვა პირები ამბობენ ან მათ განზრახვებს ცოტა გადავამლაშებთ ხოლმე.“ რესპონდენტი 4 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილს მიაჩნიათ, რომ როცა ფლირტი შემაწუხებელ სახეს იღებს ეს უკვე სექსუალური ძალადობის რომელიმე ფორმაა:

„შევიწროვება ალბათ არის ის, როდესაც როგორ გითხრათ, სენსორით გრძნობ რომ ფლირტის ზღვარს ცდება და არის უკვე ისე, შემაწუხებელია და თან აშკარად... რაღაც ესე რომ დავხაზოთ მიჯნა იძულებასა და ფლირტს შორის, სადღაც უფრო იძულებისკენ გადაიხრება.“ რესპონდენტი 30 (მამაკაცი, 24 წლის, ბათუმი).

„ფლირტი, ზოგადად როცა ერთი ადამიანი მეორესთან იწყებს ფლირტს ანუ ურთიერთობას ხო, როგორც წესი, მეორე ადამიანი ამაზე წამოეგება ხოლმე, თავისი სურვილით შემოყვება ხოლმე, პასუხობს, წინააღმდეგი არ არის და რაღაც დონეზე დიალოგი იკვრება. სიტყვა ფლირტი დადებით რაღაცასთან ასოცირდება, იმიტომ რომ ვიღაცას ეფლირტავები, ისიც ეუბნება რაღაცას, ფლირტი ხშირ შემთხვევაში გადაიზრდება ხოლმე კარგ რაღაცაში, სიყვარულში, კარგ სექსუალურ ურთიერთობაში ან სხვა რაღაცაში. არსებობს მეორე მხარე, როცა ქალი ან კაცი ვერ აცნობიერებს შინაარს და როცა უკვე ფლირტი გადაიზრდება თამამ წინადადებაში და ეს მეორე მხარე რომელიც ვერ აცნობიერებს, ძალიან წყალგადასხმული რჩება, როგორ მაკადრეს და ეს არის უკვე შევიწროვება." რესპონდენტი 21 (ქალი, 21 წლის, ბათუმი).

საბოლოო ჯამში რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ზღვარი სექსუალურ ძალადობის მსუბუქ ფორმასა და ფლირტს შორის საკმაოდ რთული დასადგენია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. თუმცა, ნაწილი რესპონდენტების აზრით ძირითად შემთხვევებში ზღვარი გადის ერთი მხარის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებაზე, როცა ფლირტი შემაწუხებელ ფორმას იღებს და არასასიამოვნოა რომელიმე მხარისთვის.

### 3.2.3 სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარი

რესპონდენტები საუბრობდნენ სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარზე. ზოგიერთი შემთხვევის დროს მათ გაუჭირდათ დაზუსტებით ეთქვათ სექსუალური ძალადობის რომელ ფორმასთან ჰქონდათ საქმე, რადგან მათი აზრით ხანდახან შესაძლოა ფორმები ერთმანეთს ფარავდეს. ასევე, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ზოგჯერ ერთი შემთხვევა რამდენიმე ფორმის სექსუალურ ძალადობას მოიცავს და შესაძლებელია მათი გამოყოფა ნაბიჯების სახით:

„ძალადობაა, რა თქმა უნდა, რახან სექსს თხოვს, ე.ი. სექსუალურია, მაგრამ ნებისმიერ სხვა რაღაცას, რომ თხოვდეს ძალადობა იქნებოდა, ოღონდ რასაც თხოვს ის ძალადობა იქნებოდა. ძალადობა რომ არის ეს ხომ ცალსახაა, მაგრამ უბრალოდ სექსუალურ იძულებასა და სექსუალურ ძალადობას შორის ზღვარი ნათელი არ არის. ის რომ შეიძლება მაინცდამაინც სექსუალური ძალადობა არ დავარქვათ, არ ნიშნავს, რომ რახან სექსუალურ იძულებას ვეძახით ნაკლებად ცუდია, მაინც მგონია, რომ ცალსახა არ არის ჩემთვის. იმიტომ რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ფიზიკური უსაფრთხოების პრობლემა იყოს და ეშინოდეს, რომ რამეს უზამს". რესპონდენტი 35 (ქალი, 23 წლის, ბათუმი).

„კატეგორიები კარგად არ ვიცი, მე როგორც მესმის ისე განვასხვავებ რეალურად. შევიწროვებაა და შეიძლება ძალადობაც იყოს. შევიწროვებაც ძალადობის სახეა, ხო, ალბათ". რესპონდენტი 4 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სექსუალური შევიწროვება ყველაზე მსუბუქი ფორმაა, შემდეგ მოდის სექსუალური იძულება, რომელიც სექსუალური ძალადობის გარდამავალ ფორმას მიეკუთვნება და ნაკლებად გულისხმობს ფიზიკურ ზემოქმედებას. მას თან ახლავს ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა. ყველაზე მძიმე შემთხვევები სექსუალური ძალადობის იმ კატეგორიაში ხვდება, რომელიც ფიზიკურ ძალადობასაც მოიცავს და სიტუაციიდან თავის დაღწევის შესაძლებლობას ართმევს მსხვერპლს. ერთ-ერთი რესპონდენტი ასეთ ახსნას გვთავაზობს:

„შევიწროვება ყველაზე მსუბუქი ფორმაა, შემდეგ მოდის უკვე იძულება და შემდეგ ძალადობა. ძალადობის დროს ფიზიკური ასპექტი შემოდის აპრიორი რა და იქ იძულების ან შევიწროვების შემთხვევაში შეიძლება უშუალოდ ფსიქიკური იყოს მარტო და არაა აუცილებლად ფიზიკური. ეგრე დავყოფდი პირობითად. იქაც შეიძლება იყოს ფიზიკური ასპექტი რაღაც შემთხვევაში, მაგრამ ძალადობას როცა ვამბობ რაღაცნაირად ავტომატურად მაფიქრდება, რომ აი, იმ სამს შორის ძალადობა ფიზიკური უნდა იყოს უთუოდ, გარდა ფსიქოლოგიურისა". რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სექსუალური ძალადობის ფორმების განსაზღვრის დროს რესპონდენტების დიდი ნაწილი ხშირად გამოყოფდა ერთგვარ ნაბიჯებს. კონკრეტული შემთხვევების განხილვის დროს ისინი ხელმძღვანელობდნენ ამ ნაბიჯების დაზუსტებით, რაც მათ ეხმარებოდა ერთმანეთისაგან განესხვავებინათ სექსუალური ძალადობის სხვადასხვა ფორმები. ზოგჯერ ერთ კონკრეტულ სიტუაციაში ისინი ნაბიჯების სახით სექსუალური ძალადობის რამდენიმე ფორმას გამოყოფდნენ. მაგალითად, იმ შემთხვევის განხილვის დროს, რომელიც იძულებით ქორწინებას და ახალგაზრდა ქალის გაუპატიურებას ასახავს, რესპონდენტებს მიაჩნდათ, რომ ის სექსუალური ძალადობის ყველა ფორმას ერთად მოიცავდა და შესაძლებელი იყო ამ ნაბიჯების განსაზღვრა:

„ამ შემთხვევაში პირველად ზეწოლასთან გვქონდა საქმე, ჩემი აზრით და შემდეგ უკვე უშუალოდ სექსუალურ ძალადობასთან. ფიზიკური ძალის გამოყენებამდე სანამ მივიდოდა საქმე, უკვე ცხადად დაეტყო ამ ამბავს, რომ იყო სექსუალური ძალადობისკენ მიმართული". რესპონდენტი 9 (ქალი, 20 წლის, თბილისი).

„ჯერ ეს ერთი სულ რომ არაფერი არ ყოფილიყო, ის რომ ფიზიკური ძალის გამოყენებით დაამყარა კავშირი უკვე სექსუალური ძალადობა არის, იმიტომ რომ იმ ადამიანის სურვილი არ იყო. ასევე, სექსუალური შევიწროვებაც არის და სექსუალური იძულებაც. ანუ ყველაფერი არი მანდ. მაგრამ როგორც ვთქვი სექსუალური ძალადობა წინა ორსაც მოიცავს". რესპონდენტი 15 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ განსაკუთრებით კარგად იკვეთება სექსუალური ძალადობის სხადასხვა ფორმებს შორის ნაბიჯები იმ შემთხვევის დროს, როცა ქალს ღამით თავს უცნობი მამაკაცი დაესხა. რესპონდენტებს ნაწილის აზრით, ეს შემთხვევა სექსუალურ ძალადობის მსუბუქი ფორმით - სექსუალური შევიწროვებით იწყება და ყველაზე მძიმე ფორმით - გაუპატიურებით სრულდება:

„ამ სიტუაციაში იმან შემზარა, რომ სამივე საფეხურია გამოკვეთილი საკმაოდ თანმიმდევრულად. ჯერ დაიწყო შევიწროვებით, მერე იძულებით, ხელის ჩაჭიდებით და ბოლოს ნუ ძალადობით რა. ზუსტად იმ იერარქიას მე რაზეც მაქვს საუბარი, მაგასაც ასახავს, იმასაც უსვამს ხაზს, რომ არჩევანი მკვდარია ამ შემთხვევაში და ეგ არის მტკივნეული და იმასაც, რომ იმიტომ, რომ ქალია უბრალოდ ქუჩაში გავლაც კი საშიშია მისთვის“. რესპონდენტი 33 (მამაკაცი, 22 წლის,ბათუმი).

სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარის საკითხი, რომ შევაჯამოთ, რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით ეს ზღვარი საკმაოდ რთული დასადგენია. ისინი მიიჩნევენ, რომ ტერმინი სექსუალური ძალადობა სრულად ფარავს ყველა ფორმას. რესპონდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სექსუალური ძალადობის ზოგიერთი შემთხვევა სამივე ფორმას მოიცავს და შესაძლებელია იმ ნაბიჯების განსაზღვრა, სადაც ჩანს როგორ გადადის ეტაპობრივად სექსუალური ძალადობის ერთი ფორმა მეორეში.

### 3.2.4 თემის - ზღვარის შეჯამება

თემა ზღვარში განხილული იყო ის ტენდენციები, რომლებიც გამოვლინდა რესპონდენტებთან ინტერვიუს დროს და ასახავდა ზღვარის საკითხს, როგორც ფლირტსა და სექსუალურ ძალადობის მსუბუქ ფორმას შორის, ასევე სექსუალური ძალადობის ფორმებს შორისაც. ეს თემა მოიცავდა ისეთ შემთხვევების მიმართ დამოკიდებულებას, რომლებსაც რესპონდენტების ნაწილი არ მიიჩნევდა სექსუალურ ძალადობად. მათი აზრით თუ ზოგიერთი შემთხვევის დროს არ იყო ფიზიკური ზემოქმედება ან მისი მცდელობა, არ ჩანდა მკვეთრად, რომ ერთი მხარე მეორეს ეუბნებოდა უარს სექსუალურ ურთიერთობაზე ან უარი იყო ბუნდოვანი, თუ სექსუალური ურთიერთობის თხოვნა არ იყო დაჟინებული, არ მეორდებოდა ხშირად, რჩებოდა მხოლოდ სექსუალური ურთერთობის შეთავაზებად, ამ შემთხვევაში ის სექსუალური ძალადობის რომელიმე კატეგორიაში ვერ მოხვდებოდა. რესპონდენტები

მიიჩნევდნენ, რომ სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის არსებობს ნაბიჯები, როცა აშკარად ჩანს ზღვარი სხვადასხვა შემთხვევის დროს და ასახავს როგორ გადადის სექსუალური ძალადობის შედარებით მსუბუქი ფორმა უფრო მძიმე ფორმაში. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ზღვარი სექსუალურ ძალადობის მსუბუქ ფორმასა და ფლირტს შორის საკმაოდ რთული დასადგენია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. თუმცა, ძირითად შემთხვევებში ზღვარი გადის ერთი მხარის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებაზე, როცა ფლირტი შემაწუხებელ ფორმას იღებს და არასასიამოვნოა რომელიმე მხარისთვის.

### 3.3 თემა III – მომხდარზე პასუხისმგებლობა

თემა - მომხდარზე პასუხისმგებლობა მოიცავს ტენდენციებს, რომლებიც საქართველოში მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას გამოვლინდა. რესპონდენტები ინტერვიუს გზამკვლევში აღწერილ შემთხვევებზე პასუხისმგებლობას აკისრებდნენ როგორც მოცემულ სიტუაციაში მოქმედ პირებს, ასევე ითვალისწინებდნენ იმ კოლექტიურ ფაქტორებსაც, რომელებმაც ხელი შეუწყო მომხდარი შემთხვევების მანიფესტაციას.

#### 3.3.1 ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

რესპონდენტები ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას უმეტესწილად სრულად მოძალადეს აკისრებდნენ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მცირე პასუხისმგებლობას მსხვერპლებზეც ანაწილებდნენ. რესპონდენტები განსხვავებულ მიზეზებს ასახელებდნენ, რის გამოც მომხდარზე სრულად პასუხისმგებელი მოძალადე იყო. ასეთ მიზეზებს წარმოადგენდა მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა, საკუთარი მდგომარეობით - ავტორიტეტით სარგებლობა, თანხმობის გარეშე სექსუალური შინაარსის ფოტოების გაგზავნა, თანხმობის გარეშე სექსუალური შინაარსის ვიდეოს გავრცელება სოციალურ ქსელში, სექსუალური ორიენტაციის გამხელის მუქარა, მსხვერპლის უგონო მდგომარეობაში ყოფნით სარგებლობა, მსხვერპლის მოტყუებით ჩაბმა ტრეფიკინგის ქსელში და სექსუალური ურთიერთობის მიზნით ფიზიკური

ძალის გამოყენება. რესპონდენტები მსხვერპლებზე იმ მიზეზით ანაწილებდნენ მცირე პასუხისმგებლობას, რომ ისინი შიშის გამო თანხმდებოდნენ სექსუალურ ურთიერთობაზე, ზოგჯერ მსხვერპლი იჩენდა წინდაუხედავობას და ზედმეტად ენდობოდა მოძალადეს ან წინასწარ უნდა სცოდნოდა რა შეიძლება მოყოლოდა მის ქმედებას, ავლენდნენ ხასიათის სისუსტეს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული რესპონდენტების დიდი ნაწილი მოძალადე მხარეს აკისრებდა სრულად პასუხისმგებლობას და თითოეული შემთხვევის დროს განსხვავებულ მიზეზებს ასახელებდა. სწორედ ამ მიზეზით მნიშვნელოვანია თითოეული შემთხვევა ცალ-ცალკე განვიხილოთ, რომ ნათლად გამოჩნდეს ის ტენდენციები რაც პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვისას გამოიკვეთა.

ოფისში მომხდარი ორი შემთხვევის განხილვის დროს სხვადასხვა მიზეზი დასახელდა, რის გამოც მამაკაცი - მოძალადე მხარე აღმოჩნდა სრულად პასუხისმგებელი მომხდარ შემთხვევაზე. ერთ-ერთი შემთხვევის განხილვისას, როცა კოლეგა მამაკაცი ქალს მისი გარეგნობის შესახებ კომენტარებს უკეთებდა, რესპონდენტების დიდი ნაწილი მამაკაცს იმ მიზეზით აკისრებდნენ სრულად პასუხისმგებლობას, რომ მსგავსი კომენტარების გაკეთება სამუშაო გარემოში მიუღებელია, ასეთი კომენტარები არასასურველია მეორე მხარისთვის და იწვევს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას:

„ცხადია, როდესაც მე ვამბობ, რომ ჩემთვის მიუღებელია ეგეთი კომენტარები, რომ კეთდებოდეს საერთოდ, პასუხისმგებელი არის მხოლოდ მაგისი გამკეთებელი“. რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი).

სხვა შემთხვევის დროს, რომელიც ასევე ოფისში მოხდა და ქალს სექსუალური ურთიერთობა შესთავაზეს სამსახურის დაწყების სანაცვლოდ, რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მომხდარზე პასუხისმგებლობა, ასევე სრულად მამაკაცს დააკისრეს. მათი აზრით მოძალადემ თავიდანვე შეცდომაში შეიყვანა მეორე მხარე და სამსახურის ნაცვლად სექსუალური ურთიერთობა შესთავაზა, რაც ცხადია, ქალს წინასწარ ვერ ეცოდინებოდა:

„ჩემი აზრით კაცს ეკისრება, იმიტომ რომ მაქსიმალურად შეეწინააღმდეგა ეს ქალი, ისე რომ ბოლოს გაუღო კიდეც კარი. თავისი გასაკეთებელი გააკეთა ჩემი აზრით. მოვიდა, დაინახა თუ არა სიტუაცია, ეგრევე ოფისიდან გასვლა სცადა ანუ შეეწინაარმდეგა“. რესპონდენტი 28 (მამაკაცი, ბათუმი, 21 წლის, ბათუმი).

ასევე განსხვავებული მიზეზით დააკისრეს პასუხისმგებლობა სხვა შემთხვევის განხილვის დროს სასულიერო პირს, რომელმაც თავისი მრევლის წევრ ახალგაზრდა ქალთან სცადა სასიყვარულო ურთიერთობის წამოწყება და სექსუალური ურთიერთობა. რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ მან საკუთარი მდგომარეობით და ავტორიტეტით ისარგებლა:

„როდესაც ადამიანს ისეთ პირად რაღაცეებს უყვები და შედიხარ მასთან ახლო ურთიერთობაში, მოსალოდნელი არის, რომ შეიძლება გაუჩნდეს გრძნობები, მაგრამ როგორც ასეთი, მაგის გამო ვიღაც მოვიდეს და ძალით სცადოს კოცნა, 59 პასუხისმგებლობას მაინც მოძღვარს ვაკისრებ სრულად“. რესპონდენტი 12 (ქალი, 21 წლის, თბილისი).

იგივე მიზეზით დააკისრეს პასუხისმგებლობა რესპონდენტების დიდმა ნაწილმა სხვა შემთხვევის განხილვის დროს ასევე ავტორიტეტის მქონე მხარეს - ლექტორ მამაკაცს. ასევე სხვა მიზეზად ასახელებდნენ, იმას რომ ის თანხმობის გარეშე უგზავნიდა სექსუალური შინაარსის ფოტოებს სტუდენტ ქალს:

„სრულად ლექტორს ვაკისრებ, სტუდენტი ამ შემთხვევაში რა შუაშია? ლექტორი გიგზავნის შიშველ ფოტოებს“. რესპონდენტი 18 (მამაკაცი, 19 წლის, თბილისი).

სექსუალური შინაარსის ვიდეოს გავრცელების შემთხვევაზე საუბრისას რესპონდენტების დიდი ნაწილი სრულად აკისრებენ მომხდარზე პასუხისმგებლობას ყოფილ პარტნიორ მამაკაცს, რადგან ვიდეო მასალა მან ქალის თანხმობის გარეშე გაავრცელა. ზოგიერთი რესპონდენტი ვარაუდობდა, რომ ვიდეოს გავრცელებას მუქარა და შანტაჟი უძღოდა წინ, რასაც მეორე მხარე არ დათანხმდა და ამის შემდეგ მოძალადე მხარემ შურისძიების მიზნით სოციალურ ქსელში გავრცელა ვიდეო. ერთერთი რესპონდენტი თავის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს:

„პასუხისმგებლობას იმიტომ დავაკისრებდი ბოლომდე ამ მოძალადე მხარეს, რომ ამ შემთხვევაშიც ეს მთელი შანტაჟის ესეთი ხერხი, სავსებით ბოლომდე მიზანმიმართული და ასე ვთქვათ ცხადად ეტყობა მაგ ფაქტს ის რომ მოძალადემ გადაწყვიტა ასე, რომ ეს ვიდეო გაესაჯაროვებინა შანტაჟის მიზნით და გაასაჯაროვა კიდეც. შესაბამისად ამის წინააღმდეგ ვერაფერს ვერ იზამდა მსხვერპლი.“ რესპონდენტი 25 (მამაკაცი, 19 წლის, ბათუმი).

ცოლ-ქმრის შემთხვევის განხილვის დროს რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მომხდარზე პასუხისმგებელი ცალსახად ქმარია, რადგან ის არ ითვალისწინებდა ცოლის სურვილს და დაჟინებით მოითხოვდა მისგან სექსუალურ ურთიერთობას:

„პასუხისმგებელი ჩემთვის მორალურად ცალსახად ეს ადამიანია, მამაკაცს ვგულისხმობ. როგორ შეიძლება ერთხელ უარი, ორჯერ უარი ნებისმიერ რაღაცაზე, მხოლოდ სექსუალურ კავშირს თავი დავანებოთ, მით უმეტეს მაგ მიმართულებით ალბათ უფრო სენსიტიურია. როგორ შეიძლება კიდე ცდილობდე მის დარწმუნებას, მიუხედავად იმისა, რომ მეუღლეა და ა.შ. პასუხისმგებელი ის არი ოღონდ რა მორალური სიმძიმის ეს არი გამოსარკვევი ალბათ. მარა ნუ პასუხისმგებლობა რომელ მხარეს არის ეს მესმის ანუ ცალსახად მამაკაცზე“. რესპონდენტი 31 (მამაკაცი, 20 წლის, ბათუმი).

მამაკაცის სექსუალური იძულების შემთხვევის განხილვისას რესპონდენტების ნაწილი მომხდარზე პასუხისმგებლობას ასევე სრულად აკისრებს მოძალადე მხარეს. მათი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარეს ქონდა მოქმედების სივრცე და არჩევანის შესაძლებლობა, ის მაინც იძულებულია დათანხმდეს ურთიერთობას. უარის შემთხვევაში ეს მძიმედ აისახება მამაკაცის სოციალურ ცხოვრებაზე, მშობლები გაიგებს მისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, ასევე შესაძლოა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის გამო მას ფიზიკურადაც გაუსწორდნენ:

„სრულად მოძალადე მხარეს ვაკისრებ პასუხისმგებლობას. უბრალოდ ამ ადამიანისათვის იმდენად საშიში არის, ის რომ გამოვლინდეს, რომ თვითონ რეალურად არატრადიციული ორიენტაციის არის, რომ ამის გამო რაზე მიდის, მაგრამ ეგ არ ამართლებს ისევ ძალადობას არანაირად. თუ ეგრეა, საერთოდ არ ყოფილიყო ამ ურთიერთობაში მაშინ. ძალადობას ჩემთვის ბოლომდე არაფერი არ ამართლებს. რაღაცა შეიძლება ხელს უწყობს, უბრალოდ არაფერი არ ამართლებს.“ რესპონდენტი 7 (მამაკაცი, 21 წლის, თბილისი).

„პასუხისმგებლობა ამ ადამიანს, იმიტომ რომ ესეთი პიროვნება ვარ, რომ არ შემიძლია თქმა და იძულებული ვხდები, რომ შენთან მქონდეს ურთიერთობა, მაგას მაიძულებ და ვერავის პიროვნებაზე ვერაფერს ვერ ვიტყვი, ვინ შეძლებდა თქმას და ვინ ვერ შეძლებდა. ამ ადამიანმა ვერ შეძლო. დავაკისრებდი პასუხისმგებლობას სრულად მეორე მამაკაცს“. რესპონდენტი 19 (ქალი, 20 წლის, ბათუმი).

სტუდენტურ წვეულებაზე მომხდარი შემთხვევის განხილვისას რესპონდენტების უმრავლესობა მომხდარზე ცალსახად იმ მხარეს აკისრებდა პასუხისმგებლობას, ვინც

ქალის უგონო მდგომარეობაში ყოფნით ისარგებლა, რადგან ქალი ვერ შემლებდა მათთვის წინააღმდეგობის გაწევას:

„ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობას მოძალადეს ვაკისრებ, სხვა შემთხვევა რომ ყოფილიყო და მსხვერპლი უგონო მდგომარეობაში არ ყოფილიყო, ვიტყოდი, რომ სხვერპლს ეკისრება, რადგან მას შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია, დაეძახა, ეკივლა, ეყვირა, მაგრამ ისიც ნასვამ დგომარეობაში იყო, იმის ძალა არ შესწევდა, რომ წინაარმდეგობა გაეწია“. რესპონდენტი 5 (მამაკაცი, 24 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დიდ ნაწილს ასევე მიაჩნია, რომ ახალგაზრდა ქალის ტრეფიკინგის ჩართვის შემთხვევაშიც მომხდარზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ტრეფიკინგის ქსელში ჩართულ პირებს, რადგან მათ მოტყუებით აიძულეს ქალი მისთვის არასასურველი სამუშაო შეესრულებინა:

„ვიცით, რომ ქალს არ სურდა ამის შესრულება და თან მუქარა არის იმის, რომ თუ არ იზამ, არ გაგიშვებ. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მარტო იმ პირს ეკისრება, ვინც ამას ჩადის, იმიტომ რომ ქალებს, ტრეფიკინგის მსხვერპლებს არ შეუძლიათ ამ შემთხვევაში სახლიდან გასვლა, არ უშვებენ მათ და ვერც კი დაეკონტაქტებოდნენ სამართალდამცავ ორგანოებს“. რესპონდენტი 9 (ქალი, 20 წლის, თბილისი).

„პასუხისმგებლობა ეკისრება ყველას, გარდა იმ ქალებისა ვინც ჩათრეულია მაგ სქემაში. იქნება სასტუმროს უფროსი, უფროსიდან დაწყებული, რომელმაც შეიძლება არც კი იცის ამ სქემის შესახებ, მაგრამ თავად არის აქტორი და თავად არის პასუხისმგებელი გააკონტროლოს თავის სასტუმროში სიტუაცია, მთავარი დამნაშავე ვინც ამ იერარქიაში დგას თავში ამ სქემის, ასე ვთქვათ. პასპორტების ასე წართმევა არ შეიძლება“. რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი).

იძულებითი ქორწინების შემთხვევის განხილვისას რესპონდენტების უმრავლესობა მომხდარზე პასუხისმგებლობას სხვერპლზე არ ანაწილებდა, რადგან ამ კონკრეტულ სიტუაციაში არ იქნებოდა შედეგის მომტანი ქალის მცდელობა მშვიდობიანად მოეგვარებინა შექმნილი სიტუაცია. სწორედ ამ მიზეზით რესპონდენტების დიდი ნაწილი სრულად მამაკაცს - მოძალადე მხარეს აკისრებს პასუხისმგებლობას:

„ სრულად მოძალადეა პასუხისმგებელი, შეიძლება თეორიულად იმის ლაპარაკი რომ თავის დროზე, რომ ეთქვა ვინმესთვის, ჩაერია ვიღაცა, ძაან რთულია. ჩაერია, რას ეტყოდნენ, რომ აზრიც არ ექნებოდა არაფერს და ამიტომ მსხვერპლის ბრალი საერთოდ ნულია“. რესპონდენტი 11 (ქალი, 24 წლის, თბილისი).

ინტერვიურ გზამკვლევში ბოლო შემთხვევის განხილვის დროს, როცა ქალს ღამით უცნობი მამაკაცი დაესხა თავს და მასთან ფიზიკური ძალის გამოყენებით დაამყარა სექსუალური ურთიერთობა, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ უცნობ

მამაკაცს ეკისრება მომხდარზე სრულად პასუხისმგებლობა. მან ფიზიკური ძალის გამოყენებით და მეორე მხარის ნების წინააღმდეგ დაამყარა ქალთან სექსუალური ურთიერთობა:

„აქ სრულად მთელ პასუხისმგებლობას გადავიტანდი მოძალადეზე. იმიტომ რომ არანაირად არ არის ეს მსხვერპლი ამაში დამნაშავე, რომ ვიღაც ავადმყოფი მიდრეკილებების მქონე ადამიანი ვიღაცას აეკიდა. არის ხოლმე ამ დროს ისეთი რეაქციები საზოგადოებაში: აი, ალბათ გამომწვევად ეცვა და მაგიტომ თუნდაც რაც არ უნდა ეცვას ადამიანს, ეგ არ არის იმისი გამამართლებელი, რომ ვიღაცამ ადამიანზე იძალადოს, მისი ნების საწინააღმდეგოდ დაამყაროს სექსუალური ურთიერთობა". რესპონდენტი 3 (მამაკაცი, 21 წლის, თბილისი).

როგორც ზემოთ აღწერილი ტენდენციებიდან ჩანს, პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვანი, მაშინაც კი როცა სრულად მოძალადე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა. საგულისხმოა, რომ რესპონდენტების ნაწილმა ასევე სხვადასხვა მიზეზით გადაანაწილა მცირე პასუხისმგებლობა მსხვერპლზე. რესპონდენტები ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე განსხვავებულ მიზეზს ასახელებდნენ, რის გამოც მსხვერპლზეც ანაწილებდნენ პასუხისმგებლობას. მაგალითად, მათ მიაჩნდათ, რომ იმ შემთხვევის დროს, როდესაც მათი აზრით ქმარი ცოლს აიძულებს მასთან სექსუალურ ურთიერთობას, ორივე მხარეს ეკისრება მომხდარზე პასუხისმგებლობა, რადგან როცა ცოლ-ქმარს სექსუალური ურთიერთობა არ აქვთ იძულების გარეშე, მაშინ გამოსავალი ერთად უნდა იპოვონ ან უნდა დაშორდნენ:

„ორივეს ეკისრება ამ შემთხვევაში, იმიტომ, რომ ქალს თუ არ აქვს ამ შემთხვევაში სურვილი და ვერ შეაგნებინა კაცს და უბრალოდ ესე ვიტყვი, რომ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში სქესობრივი კავშირი თუ არ არის, ცოტა რა ვიცი.. ჩემთვის ძაან მალე მსხვრევადი იქნება მსგავსი ურთიერთობა, იმიტომ რომ ბრაზი და ის ისე ამოანთხევს ასე, რომ ვთქვათ, ესე გასავალს ვერსად ვერ იპოვის, რომ ჯობია, მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს. თუ მსგავსი სახის ურთიერთობა არა აქვთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხასიათზე არ არი ერთერთი ხო? თუ ის შემთხვევა არის, რომ ჯანმრთელობის მხრივ არ შეუძლია, მაშინ პრობლემა არ არის, მაგრამ თუ ხასიათზე არა ხარ არასდროს, ანუ თუ ბევრი შემთხვევა ფიქსირდება ესეთი, მაშინ რაღაც პრობლემა არის ურთიერთობაში და გრძნობებში ხო?" რესპონდენტი 6 (ქალი, 23 წლის, თბილისი).

ამ შემთხვევაზე საუბრისას რესპონდენტები ასევე მიიჩნევენ, რომ შესაძლოა ქალს უყვარს თავისი ქმარი, მაგრამ არ აქვს მასთან სექსუალური ურთიერთობის სურვილი

და მიუხედავად ამისა თანხმდება, სწორედ ამ მიზეზით მასზეც ნაწილდება პასუხისმგებლობა:

„პასუხისმგებლობას ვაკისრებ ქმარს და ცოლსაც, ანუ ბოლოს რომ დანებდა და აღარაფერს აღარ ამბობს ეგ ხომ არ ნიშნავს, რომ.. ანუ ცუდად გრძნობს თავს და მსხვერპლია. ისიც შეიძლება, რომ უყვარდეს ქმარი და უნდოდეს მისი ცოლობა, უბრალოდ არ უნდოდეს სქესობრივი კონტაქტი". რესპონდენტი 33 (მამაკაცი, 22 წლის, ბათუმი).

„ამ შემთხვევაში, ალბათ, ჩემი აზრით დიდია პასუხისმგებლობა თვითონ ამ ქალის იმიტომ, რომ პირველ რიგში ურთიერთობებში, როდესაც ცოლ-ქმრობამდე არის ყველაფერი მისული საჭირო არის გახსნილობა და აშკარად გამოხატვა იმისი, რომ რაღაცა არ გსურს უნდა უთხრა პარტნიორს, მეორე რიგში იმიტომ, რომ ეს ქალი არ უნდა იყოს რაღაცა გარემო პირობების გამო იმაზე თანახმა, რომ მასზე ძალადობა და მისი ნების საპირისპიროდ წასვლა სისტემატიურ სახეს იღებს ანუ ამას არ უნდა ეგუებოდეს არცერთი ადამიანი". რესპონდენტი 5 (მამაკაცი, 24 წლის, თბილისი).

„თავდაპირველად როგორც ჩანს ეს კაცი მოძალადე იყო, თავისი ბუნებითვე, რადგან ცდილობდა კავშირის დამყარებას, მაგრამ ამ ქალის სურვილი რომ არ ყოფილიყო ურთიერთობის დამყარება, ალბათ რაიმეს იღონებდა, რომ თავი დაეცვა და თავი შორს დაეჭირა ამ ადამიანიდან და ოჯახი დაენგრია თუნდაც. ეს იმიტომ, რომ ფაქტია არ უნდოდა, აღარ უნდოდა მასთან ურთიერთობა". რესპონდენტის 14 (მამაკაცი, 23 წლის, თბილისი).

სხვა შემთხვევის განხილვის დროს, როცა ყოფილი პარტნიორი მამაკაცი აიძულებდა მეორე მამაკაცს მასთან სექსუალურ ურთიერთობას, რესპონდენტების ნაწილი მომხდარზე პასუხისმგებლობას ორივე მხარეს აკისრებს, იმ მიზეზით რომ ერთი მხარე შიშის გამო დათანმხდა სექსუალურ ურთიერთობაზე მეორეს, რაც მიუღებელია:

„პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში ორივეს ეკისრება. პირველ მამაკაცს იმიტომ ეკისრება, რომ მსგავსი შანტაჟით, ჩემი აზრით, არ უნდა გაეგრძელებინა ურთიერთობა და ანუ ვფიქრობ, რომ როდესაც ადამიანს რაღაცა არ სურს და ამის განსახორციელებლად, მარტო იმიტომ იხევს უკან, რომ რაღაც ან სამსახურს დაკარგავს ან მშობელი გაიგებს, ან ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ძალიან ცუდია ანუ ჩარჩოში ექცევა მომენტალურად და ანუ ესე რომ ვთქვათ, მსხვერპლად იგდებს თავს და არ ცდილობს, რომ მსხვერპლი არ იყოს." რესპონდენტი 16 (მამაკაცი, 22 წლის, თბილისი).

ქალის სექსუალური შინაარსის ვიდეოს სოციალურ ქსელში გავრცელების შემთხვევის განხილვის დროს, რესპონდენტების ნაწილი მცირე პასუხისმგებლობას მომხდარზე ქალსაც აკისრებდა. მათი აზრით ქალმა ზედმეტი ნდობა გამოიჩინა ყოფილი პარტნიორის მიმართ:

„ანუ ეტყობა იმდენად ვენდობოდი ჩემ პარტნიორს, რომ მივეცი ესეთი ვიდეოს გადაღების უფლება. ალბათ მაგ დონეზე არ უნდა ენდო არავის რა. უფრო ამ მამაკაცს რა თქმა უნდა. ალბათ უყვარდათ. ალბათ 10% ქალის დანაშაულია, იმიტომ რომ მიენდო ბოლომდე და თავის თავზე ეგეთი ვიდეოს არსებობის უფლება მისცა“. რესპონდენტი 12 (ქალი, 21 წლის, თბილისი).

ტრეფიკინგის შემთხვევის განხილვის დროსაც რესპონდენტების ნაწილი მომხდარზე პასუხისმგებლობას მსხვერპლზეც ანაწილებდა, იმ მიზეზით რომ მან ზედმეტი ნდობა გამოიჩინა დამსაქმებლის მიმართ და საკუთარი პასპორტი გადასცა, მაშინ როცა საზღვარგარეთ იმყოფებოდა:

„საზღვარგარეთ როცა ხარ და შენი ქვეყნის საზღვრებს, რომ სცილდები, სულ რომ წყალწაღებული აღმოჩნდე, ჯიბეში რომ არაფერი არ გედოს, ერთადერთი საშველი და იდენტობის დამადასტურებელი ინტერნაციონალური საშუალებაა. პასპორტის მიცემა ნიშნავს ყველა გზის მოჭრას დახმარებისათვის. მე რომ ჩავიდე ნებისმიერ ქვეყანაში პასპორტის გარეშე და რომ ვუთხრა, ქართველი ვარ და ოღონდაც საქართველოში დამაბრუნეთმეთქი. პასპორტის გარეშე მგონი გიჟად უფრო ჩამთვლიან, ვიდრე დახმარების საჭიროების მქონე პირად და არც არავის გავამტყუნებ, იმიტომ რომ ეგრეა რა“. რესპონდენტი 10 (ქალი, 22 წლის, თბილისი).

„ქალის ბრალი მხოლოდ ისაა, რომ ესე მარტივად ენდო და ენის ბარიერი რომ იყო, რაღაცა საფრთხე ვერ დაინახა. ესე მარტივად არ უნდა ენდო ადამიანს, ეგეც არის, მაგრამ, უფრო მეტად მამაკაცის ბრალია. დამსაქმებლის“. რესპონდენტი 32 (ქალი, 22 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების ნაწილს ასევე მიაჩნიათ, რომ ლექტორის და სტუდენტის შემთხვევის დროს ქალი წინდაუხედავად მოიქცა, იმ მიზეზით რომ თავიდანვე არ გაუჩნდა ეჭვი - რა იყო ლექტორსა და მას შორის მიმოწერის მიზანი, ამიტომ მომხდარზე მცირე პასუხისმგებლობა ქალზეც ნაწილდება:

„მამაკაცის ბრალი არის, მაგრამ ამ ქალმა რომ თავიდანვე არ იეჭვა არაფერი, მამაზე კითხა, ძმაზე კითხა, მესიჯებს წერდა, ცოტა ქალის ბრალიცაა რა, მაგრამ უფრო მეტად მამაკაცს დავაკისრებდი“. რესპონდენტი 1 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ იძულებით ქორწინების შემთხვევი დროს მომხდარზე მცირე პასუხისმგებლობა ქალზეც ნაწილდება, რადგან მას წინასწარ უნდა სცოდნოდა რა შეიძლება მოყოლოდა მამაკაცთან ერთად სალაპარაკოდ წასვლას:

„პასუხისმგებლობას გადავანაწილებდი. რა თქმა უნდა მამაკაცია ცალსახად მოძალადე, თუმცა ამ შემთხვევაში ქალის ბრალია. იმიტომ რომ მამაკაცმა, რომელმაც შენი ცოლად მოყვანა სცადა და შენ უარი უთხარი, მანქანაში აღარ უნდა ჩაუჯდე ღამის საათებში. მე რომ მაგ ქალის ადგილზე ვყოფილიყავი, ეგეთ რაღაცას ნაღდად არ

ვფიქრებდი და არ წარმოვიდგენდი. ალბათ არიან ქალები, ვინც იფიქრებდა, რომ საუბრით დამთავრდებოდა პრობლემა, მარა ფაქტი ისაა, რომ ვერ დამთავრდა“. რესპონდენტი 29 (ქალი, 19 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევის მონაწილე პირების - მსხვერპლის და მოძალადის ხასიათის თავისებურებები. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით ერთ მხარეს, რომელიც მეორე მხარეს დისკომფორტს უქმნის, ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს. ეს ფაქტორი ზოგჯერ ამსუბუქებდა მათ პასუხისმგებლობას მომხდარზე:

„ეს კაცი ცოტა ისეთი ტიპია, ვერ ვახასიათებ.. ყველა ლამაზი ქალი რომ იზიდავს. ისიც აქვს, რომ ძაან უხერხულში აყენებს ქალს, მაგას ვერ აანალიზებს, კი არა და საერთოდ ვერ ხვდება, თვითონ კომფორტულად გრძნობს ალბათ თავს ესეთ კომენტარებს, რომ უკეთებს. მოძალადეს მოკლედ ნამდვილად არ დავარქმევდი“. რესპონდენტი 8 (ქალი, 22 წლის, თბილისი).

„პასუხისმგებელი ჩემი აზრით ორივეა. იმიტომ რომ, ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, მოძალადე ყოველთვის არის დამნაშავე, მაგრამ ეგრე მგონია, რომ ცხოვრებაში ყოველთვის შენ აძლევ ადამიანს უფლებას, რაღაცის გაკეთების. ამიტომ პირველ რიგში მოძალადე, მაგრამ სხვერპლიც, ასე ვთქვათ. ძაან რთულია იმის თქმა, რომ ეს ქალია დამნაშავე, მაგრამ რეალურად აძლევს საკუთარი თავის დაჩაგვრის უფლებას“. რესპონდენტი 20 (მამაკაცი, 23 წლის, ბათუმი).

ნაწილი რესპონდენტების აზრით ზოგიერთ შემთხვევაში მსხვერპლის მხრიდან პასიურობამ განაპირობა ის არასასურველი შედეგი, რაც მოცემული სიტუაციის ბოლოს დადგა. მაგალითად, როცა ერთი ქალი აედევნა მეორეს და ემუქრებოდა, რომ საშინელებას ჩაიდენდა, თუ მასთან სასიყვარულო ურთიერთობას არ გააბამდა, პასუხისმგებლობა მსხვერპლზეც ნაწილდება. რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ მსხვერპლი ვალდებული იყო შანტაჟის და შევიწროვების შემთხვევის შესახებ მოეყოლა სხვა პირებისთვის და ეთხოვა დახმარება:

„პასუხისმგებლობას დავაკისრებდი, როგორც მოძალადეს, ასევე მსხვერპლსაც კი, ვფიქრობდი მსხვერპლი ვალდებული იყო, აი, თავიდანვე ხომ გვაქვს მითითებული, გაიცნო მეგობრისგან ეს ადამიანიო, შეეძლო, რომ ამ მეგობართანაც ესაუბრა ამ თემაზე რას ცდილობდა მოძალადე. მოძალადისთვის დიდი დისკომფორტი შეექმნა, პრობლემები შეექმნა, რადგან მსხვერპლიც კი ვალდებულია, ხშირ შემთხვევაში შანტაჟის შემდეგ, ხომ ადამიანები ვჩუმდებით, აღარაფერს აღარ ვამბობთ და ვფიქრობთ, ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ მოვაგვაროთ და ჩვენ გადავჭრათ.“ რესპონდენტი 34 (მამაკაცი, 24 წლის, ბათუმი).

იგივე ტენდენცია იჩენს თავს სასულიერო პირის და მრევლის წევრი ქალის შემთხვევის განხილვის დროსაც. რესპონდენტების მცირე ნაწილი მიიჩნევდა, რომ პასუხისმგებლობა სასულიერო პირს ეკისრება, მაგრამ ქალს მომხდარის შემდეგ უფრო მეტად უნდა ემოქმედა და მომხდარის შესახებ განეცხადებინა, მან ხასიათის ერთგვარი სისუსტე გამოიჩინა:

„ქალს ალბათ მეტიც შეეძლო, რომ გაეკეთებინა, ეკლესიაში სიარულის თავის დანებების გარდა, შეეძლო რომ ან თუნდაც დალაპარაკებოდა მოძღვარს, თუ ეს არ გაამართლებდა, მერე უკვე სხვა ზომებისთვის მიემართა. ისე რაც იმ მომენტში იმ ქალმა გააკეთა, მაინც შეეწინააღმდეგა და მაგ მომენტში არ არის ამის დანაშაული, თუმცა მერე ალბათ შეეძლო, რომ განეცხადებინა ამ ყველაფერზე“. რესპონდენტი 19 (ქალი, 20 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების ნაწილს ასევე მიაჩნია, რომ სხვა შემთხვევაშიც როცა ყოფილმა პარტნიორმა მამაკაცმა აიძულა მეორე მამაკაცი დათანხმებოდა მასთან სექსუალურ ურთიერთობას, მომხდარზე მცირე პასუხისმგებლობა მსხვერპლზეც ნაწილდება, რადგან მსხვერპლმა იოლად დათმო პოზიცია და ამან კიდევ უფრო წაახალისა მოძალადის ქმედება:

„ჩემი აზრით მასზეც ნაწილდება პასუხისმგებლობა, იმიტომ, რომ მსგავსი დათმობით მოძალადეს იმის შანსს აძლევს, რომ უფრო და უფრო რადიკალურ ზომებამდე მივიდეს ეს მოძალადე. ჩემი აზრით, ის რომ ერთი რაღაცა დაუთმო მოძალადე მხარეს ასე ვთქვათ საფუძველს აძლევს მას, რომ შემდეგ მომავალში უფრო მაშტაბური ძალადობრივი აქტი ჩაიდინოს. ამ მხრივ ალბათ, ვფიქრობ, რომ მსხვერპლზეც განაწილდება ეს პასუხისმგებლობა. შესაძლოა, მეორე კაცის მოძალადეობრიობის ხარისხი მსხვერპლის დათმობითმა ბუნებამ კიდევ უფრო გაზარდოს“. რესპონდენტი (ქალი, 19 წლის, ბათუმი).

იძულებითი ქორწინების შემთხვევის განხილვისას რესპონდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ მცირე პასუხისმგებლობა მსხვერპლსაც ეკისრება. მას შეეშინდა, ერთგვარი ხასიათის სისუსტე გამოიჩინა და თავიდანვე ვერ მოახერხა თავის დაცვა, ძალადობის ნიშნები თავიდანვე სახეზე იყო და ასეთი სიტუაციიდან თავის დაღწევა სრულიად შესაძლებელი იყო:

„რაღაც დონეზე მაინც იქნება ალბათ მსხვერპლის პასუხისმგებლობის საკითხი, იმიტომ რომ როდესაც ხედავ, ჩემი აზრით, რომ რაღაც ძალადობრივი მუხტი მოდის შენს მიმართ, არ უნდა შეგეშინდეს იმის, რომ ეს შენი პრობლემა ვინმე სხვას გაანდო და ეგეთი პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია და იმას ვერ ვხედავდი, რომ ამ გოგომ

რაღაც გზით სცადა ამის გადაჭრა, თუნდაც ოჯახის წევრების დახმარებით უშუალოდ“. რესპონდენტი 37 (ქალი, 18 წლის, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილის აზრით ზოგიერთ შემთხვევაში არსებობდა ერთგვარი პრევენციის სივრცე, რომელიც იძლეოდა სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალებას:

„სივრცეზე მინდა გავამახვილო ყურადღება, პრევენციულობის სივრცეზე.. აქ აქვს ეგ სივრცე და ეს სივრცე გულისხმობს იმას, რომ საშუალებაა იმისა, რომ არ წამოეგო შანტაჟს და გარისკოს და შეიძლება მართლაც იმ ადამიანმა დაელაპარაკოს მის მშობლებს და პრინციპში შეუძლია შეუტრიალოს და შეედაოს მაგალითად რატომ უნდა დაიჯეროს მისმა მშობლებმა ეგეთი რამ. ხომ ხვდებით? აქაც არსებობს რაღაც სივრცე მაინც საიდანაც შეიძლება გამოძრომა თუკი წახვალ რისკზე ისევ და ისევ, არჩევანს ვცემ პატივს მე საბოლოოდ ადამიანის და თუკი ეს არჩევანი არსებობს, მაგაზე მინდა გავამახვილო ყურადღება“. რესპონდენტი 14 (მამაკაცი, 23 წლის, თბილისი).

„ჩემი აზრით ისიც გასააზრებელია მსხვერპლისთვის რომ მსგავსი შემთხვევა - მუქარა რომ მე მივალ და გავამხელ შენს ორიენტაციას, შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ მუქარა, იმიტომ რომ ეს გამოვლენა არ იქნება შესაბამისად ცალმხრივი და თავისი ორიენტაციის გამოვლენაც მოუწევს, შესაბამისად ამ პირველ მოძალადე ადამიანს, მეორე -მსხვერპლ პიროვნებასთან ერთად. შესაბამისად სოციალური წნეხი ორივეზე თანაბრად იქნება განაწილებული და ამ რისკის და სიტუაციის აწონ-დაწონვა საჭირო არი ამ მსხვერპლისთვის, ჩემი აზრით და უკვე როდესაც ამ ყველაფერს სათანადოდ შეაფასებს მიხვდება ალბათ იმას, რომ არ უნდა მისცეს მოძალადეს იმის უფლება, რომ საკუთარი ნების წინააღმდეგ გააგრძელოს ეს ურთიერთობა“. რესპონდენტი 28 (მამაკაცი, 21 წლის, ბათუმი).

„არა მგონია, რომ უცხო ქვეყანაში პასპორტის გარეშე გარეთ გამოსვლა, იმდენ ზიანს მოუტანდა, როგორც იქ დარჩენა სურვილის საწინააღმდეგოდ“. რესპონდენტი 12 (ქალი, 21 წლის, თბილისი).

„მსგავსი რაღაცეები როცა არის ღამის საათებში, მუქარა მოდის ამ კაცისგან, არ მეშვება, ცდილობს, რომ ჩემი ნების საწინააღმდეგოდ წამიყვანოს და ა.შ. მერე უცებ მეორე ღამით მეუბნება, რომ წყნარად ლაპარაკი მინდა და წამო კაფეში დავჯდეთო, რავი ცოტა, ასე რომ ვთქვათ, ტყუილად ჟღერს და მსგავს რაღაცაზე არ დავთანხმდებოდი. ვეტყოდი, თუ ლაპარაკი უნდა იქვე დამლაპარაკებოდა. იმიტომ რომ მსგავს რაღაცას როცა აქვს ადგილი, მაგ შემთხვევაში აღარ უნდა ენდო ამ პიროვნებას“. რესპონდენტი 29 (ქალი, 19 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უცნობი დაესხა თავს ახალგაზრდა ქალს ღამით, მსხვერპლს საშუალება ჰქონდა ფიზიკურ ძალადობამდე სანამ მივიდოდა საქმე დახმარება ეთხოვა, ასე ის შეძლებდა თავიდან აერიდებინა ბოლო - გაუპატიურების ეპიზოდი. შესაბამისად მცირე პასუხისმგებლობა ამ ეპიზოდზე მასაც ეკისრება:

„მოძალადეს და იმას იმ წუთში უნდა დაერეკა პატრულში. გოგოების მთავარი იარაღი ეს არის ხოლმე. ტელეფონზე ვითომ მამა, რომ გირეკავს და აი, მოვდივარ, შემოვუხვევ ეხლა და ეგ არი. ეგ უნდა ექნა და მაგით გადაერჩინა თავი. ყველაზე ოპტიმალური არი, რომ დაანახო პოლიციაში რეკავ, ეგ უნდა ექნა ჩემი აზრით. პოლიციაში უნდა დაერეკა“. რესპონდენტი 13 (ქალი, 23 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დამოკიდებულებები რომ შევაჯამოთ, წინამდებარე კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ისინი მომხდარზე პასუხისმგებლობას ინდივიდებზე სხვადასხვა მიზეზით ანაწილებდნენ. სრულად მოძალადე მხარეზე პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში ზოგჯერ სახეზე იყო მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა, საკუთარი მდგომარეობით - ავტორიტეტით სარგებლობა, თანხმობის გარეშე სექსუალური შინაარსის ფოტოების გაგზავნა, თანხმობის გარეშე სექსუალური შინაარსის ვიდეოს გავრცელება სოციალურ ქსელში, სექსუალური ორიენტაციის გამხელის მუქარა, მსხვერპლის უგონო მდგომარეობაში ყოფნით სარგებლობა, მსხვერპლის მოტყუებით ჩაბმა ტრეფიკინგის ქსელში და სექსუალური ურთიერთობის მიზნით ფიზიკური ძალის გამოყენება. რესპონდენტები მომხდარზე პასუხისმგებლობის მცირე ნაწილის მსხვერპლზეც ანაწილებდნენ, როცა მსხვერპლი შიშის გამო თანმხმდებოდა სექსუალურ ურთიერთობაზე და ეს მიუღებელი იყო მათთვის, ზოგჯერ მსხვერპლი იჩენდა წინდაუხედავობას და ზედმეტად ენდობოდა მოძალადეს ან წინასწარ უნდა სცოდნოდა რა შეიძლება მოყოლოდა მის ქმედებას. რესპონდენტები ასევე მიიჩნევდნენ, რომ მომხდარი განპირობებულია ან მისთვის ხელისშემწყობი პირობაა მსხვერპლის ან მოძალადის ხასიათის თავისებურებები. მათი აზრით პასუხისმგებლობის დაკისრების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევის მონაწილე პირების - მსხვერპლის და მოძალადის ხასიათი. რესპონდენტები მსხვერპლის და მოძალადის სხვადასხვა მახასიათებლებს ასახელებდნენ, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ამსუბუქებდა მათ პასუხისმგებლობას მომხდარზე და ზოგჯერ ამძიმებდა. ასეთი ხასიათის თავისებურებები მსხვერპლის შემთხვევაში იყო: აღზრდა - წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა, ხასიათის სისუსტე, პასიურობა; მოძალადის შემთხვევაში: თავისებური ხასიათი, ფსიქიკური აშლილობა ან განსაკუთრებული ფსიქოლოგიური მდგომარეობა. რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არსებობდა პრევენციის სივრცე - საშუალება, როცა მსხვერპლს შეეძლო თავი დაეღწია მოცემული სიტუაციებიდან. მათი აზრით

დროული მოქმედების შედეგად ამ სიტუაციებიდან თავის დაღწევა შესაძლებელი იყო სანამ სექსუალური ძალადობის კიდევ უფრო რთულ ფორმას მიიღებდა და სწორედ ამ მიზეზით მომხდარზე პასუხისმგებლობის მცირე ნაწილი მსხვერპლსაც ეკისრება.

### 3.3.2 კოლექტიური პასუხისმგებლობა

რესპონდენტებმა ინტერვიუს დროს იმსჯელეს იმ კოლექტიური ფაქტორების შესახებ, რომლებმაც მომხდარ შემთხვევას ხელი შეუწყვეს ან ვერ მოახერხეს მისი პრევენცია. ისინი მომხდარზე პასუხისმგებლობის ნაწილს სწორედ ამ ფაქტორებზე ანაწილებდნენ. რესპონდენტებმა მომხდარზე პასუხისმგებლობა გადაანაწილეს ისეთ კოლექტიურ ფაქტორებზე, როგორიცაა სამუშაო გარემო, სხვადასხვა ინსტიტუციები და ორგანიზაციები, საქართველოს კონტექსტი, რომელიც მოიცავს, როგორც საზოგადოებაში გავრცელებულ დამოკიდებულებებს, რწმენა-შეხედულებებს, პრაქტიკას, ასევე ეკონომიკურ მდგომარეობას და მოცემულობას

„პასუხისმგებლობას მთლიანად კომპანიას ვაკისრებ, იმიტომ რომ ვრეკავ კომპანიაში და მინდა დასაქმება. გასაუბრებაზე რეალურად სულ სხვა სიტუაცია მხვდება. უკვე თუ გამოსული ვარ და აღარაფრის აღარ მეშინია, დიდი ალბათობით ვუჩივლებდი, იმიტომ რომ იგივე სიტუაციაში შეიძლება ბევრი სხვა ქალიც ჩავარდეს და ამ კომპანიის შესახებ ბევრ რაღაცას იძახის რა, ესეთი დირექტორი რომ გყავს“. რესპონდენტი 6 (ქალი, 23 წლის, თბილისი).

„პასუხისმგებლობას ვაკისრებ პირველ რიგში ამ ლექტორს და მამაკაცს და შემდეგ უკვე უნივერსიტეტს, რადგან მას ეკისრება უდიდესი პასუხისმგებლობა, უნდა მოახდინოს უნივერსიტეტმა სტუდენტების ინფორმირება ამ საკითხებზე“. რესპონდენტი 35 (ქალი, 23 წლის, ბათუმი).

„დავაკისრებ მღვდელს და სხვა მღვდლებს, სხვა წარმომადგენლებს იმავე ეკლესიაში, ასევე, ვინც მათზეა პასუხისმგებელი. ასეთი შემთხვევები არ უნდა ხდებოდეს არცერთ ეკლესიაში, რაიმე მექანიზმი უნდა არსებობდეს“. რესპონდენტი 10 (ქალი, 22 წლის, თბილისი).

„ქართულ კონტექსტს რომ ვითვალისწინებთ, სულ რომ ფიზიკურ ძალადობამდე არ მისულიყო ეს ყველაფერი მაინც უფრო შეიძლებოდა გვეფიქრა იმიტომ, რომ სამართალშიც ხომ არსებობს ეგეთი გამოხატვის თავისუფლების ზღვარი დგინდება თუ საფრთხე არი აშკარა, ასევე არსებითი საფრთხე თუ დგას იმ შემთხვევაში უნდა შეიზღუდოს და ქართულ კონტექსტში, როცა ყოველ ნაბიჯზე, ხშირად გვესმის მსგავსი ქეისების შესახებ და ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ბევრი ქეისი უბრალოდ სიჩუმითაა, გაჩუმებულია და არ ამბობენ ადამიანები. ეს საჭიროა, ვინც პირველი გადადგამს ამ ნაბიჯს“. რესპონდენტი 5 (მამაკაცი, 24 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით საქართველოს კონტექსტი ხშირ შემთხვევაში ხელს უწყობს ისეთი შემთხვევების გავრცელებას, როგორიც ინტერვიუს გზამკვლევში იყო მოცემული. ისინი საქართველოს კონტექსტში ძირითადად გულისხმობდნენ გავრცელებულ რწმენა-შეხედულებებსა და პრაქტიკებს, რაც მიღებულია საზოგადოებაში, ასევე იმ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და მოცემულობას რაც ქვეყანაშია. ამ მიზეზით რესპონდენტები დიდი ნაწილი ხშირად მიიჩნევდა, რომ საქართველოს კონტექსტი უნდა გავითვალისწინოთ, როცა მომხდარზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს ვეხებით და გარკვეულ პასუხისმგებლობას სწორედ ამ კოლექტიურ ფაქტორზეც ნაწილდება.

ყველაზე გარკვევით ეს ტენდენცია გამოჩნდა ქალის სექსუალური შინაარსის ვიდეოს სოციალურ ქსელში გავრცელების შემთხვევის განხილვის დროს. რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ თუ გავითვალისწინებთ საქართველოს კონტექსტს - საზოგადოებაში გავრცელებულ და მყარად დამკვიდრებულ რწმენა-შეხედულებებს, წინსწარ განწყობებს, ის რაც ამ შემთხვევაში მოხდა, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ფიზიკური ძალის გამოყენების ტოლფასი. ერთ-ერთი რესპონდენტი ასე მსჯელობდა:

„ესეც ძალის გამოყენებას გავს რაღაცნაირად. ამ კაცმა პარტნიორმა ვერ დაიკმაყოფილა ეგო, რომ დაშორდნენ და მასთან ურთიერთობა აღარ უნდა და აი, ყველაფერს ვიზამ ოღონდ შენ არ გაიხარო. მაგას კიდე ალბათ დაპანიკება ჯობია, იმიტომ რომ საჯაროდ რომ გამოდის შენი ინტიმური ფოტოები თუ ვიდეოები, ვიღაცა რომ მილიონჯერ გირეკავს დღეში შეიძლება არაკომფორტულია, მარა ქუჩაში რომ გაივლი და შეიძლება ნებისმიერ გამვლელს შიშველი ყავდე ნანახი ეგ კიდე უფრო დამთრგუნველია“. რესპონდენტი 9 (ქალი, 20 წლის, თბილისი).

რესპონდენტების დიდ ნაწილი ასევე მიიჩნევდა, რომ საქართველოს კონტექსტი მნიშვნელოვნად განაპირობებს ისეთი ფორმის სექსუალურ ურთიერთობას, რაც გვხვდება ცოლ-ქმრის შემთხვევაში. ცოლი სურვილის წინააღმდეგ - როცა არ სურს ქმართან სექსუალური ურთიერთობა - იძულებულია დათამხმდეს ქმარს სექსუალურ ურთიერთობაზე და ეს წლების განმავლობაში გრძელდება. რესპონდენტების აზრით საქართველოს კონტექსტი ერთგვარად ხელს უწყობს და ნორმალიზებულს ხდის მსგავს შემთხვევებს. ერთ-ერთი რესპონდენტი თავის დამოკიდებულებას ასე

გამოხატავს:

„ძალიან ნეგატიურია, ეს კონკრეტული შემთხვევა ჩემთვის არის ყველაზე სენსიტიური თემა რეალურად წინა ქეისებთან შედარებით. მე ვფიქრობ, რომ ეს ქეისი რასაც გულისხმობს და რასაც გადმოგვცემს, საქართველოს რეალობა არის ალბათ ძაან დიდ ნაწილში რა". რესპონდენტი 28 (მამაკაცი, 21 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს კონტექსტი ხშირად ეკონომიკურ ზეწოლასაც გულისხმობს. საქართველოში ქალი ხშირად ფინანსურად ქმარზეა დამოკიდებული და ქმარს ეკუთვნის ის საცხოვრებელი ადგილიც, სადაც ოჯახი ცხოვრობს. ხშირ შემთხვევაში ქალს უბრალოდ სხვაგან წასასვლელი არსად აქვს. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს ქალის თავისუფალ ნებაზე და სწორედ ამ მიზეზით შესაძლოა ცოლი თანხმდებოდეს ქმარს არასასურველ სექსუალურ ურთიერთობაზე:

„სხვათაშორის ძალიან ნაცნობი სიტუაცია იყო ჩემთვის, ეგრევე მინდოდა გამემახვილებინა ყურადღება, რომ ეგ ფაქტორები რომ ყოფილიყო აქ დატანილი, ეკონომიკური მდგომარეობა, ხშირად არის ხოლმე, რომ ქმარია ეკონომიკურად ძლიერი და ცოლი სუსტი, არაფერი არ იცის, ქმარზე იყო მთელი ცხოვრება ჩამოკიდებული. საქართველოს რეალობა ორ ნაწილად იყოფა. ყველანაირ ქმარს აიტანენ, მოძალადესაც, მოღალატესაც, ყველანაირ უარყოფით მხარეს, იმიტომ რომ სხვაგან წასასვლელი არ აქვთ. ფიზიკურად ვერ გაშორდებიან რა. ერთი ეგ ვარიანტია და მეორე ის ვარიანტია, რომ უნდა ჩამოშორდე და შენ უნდა იზრუნო შენ თავზე. ეგ უკვე ვის რამდენად შეუძლია საკუთარ თავზე ზრუნვა ეგ ცალკე საკითხია". რესპონდენტი 10 (ქალი, 22 წლის, თბილისი).

ზოგიერთ რესპონდენტს მიაჩნია, რომ რადგან ეს შემთხვევა ცოლ-ქმარს შორის ხდება, შესაძლოა აქაური საზოგადოება საერთოდ არ აღიქვამდეს მომხდარს, როგორც სექსუალურ ძალადობას:

„ეხლა ძირითადად აღიქვამენ, რომ სექსუალური ძალადობა ხდება არა ცოლ-ქმარს არამედ როცა ვიღაცა კაცი სექსუალურად ძალადობს ვიღაც ქალზე. პირიქით ალბათ მომხდარა, მარა ძირითადად ეგრეა. ხდება უცხოსთან კი არა, ანუ არა მის ცოლზე ან ვისი ცოლად მოყვანა უნდა შეიძლება. რადგან ცოლია არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის ნებაყოფლობით მოხდება. ნებისმიერ სიტუაციაში როდესაც ორი ადამიანი არი, ერთი არი მოძალადე და მეორე არი მსხვერპლი, როდესაც ამ მსხვერპლის ნების საწინააღმდეგოდ ხდება ეს სექსუალური კავშირი ან მცდელობა ან თუნდაც მის სივრცეში შეჭრა ეგეთი ფორმით, ყველა შემთხვევაში ეს არის ძალადობა, გინდა ცოლი იყოს, გინდა შვილი იყოს, ვინც გინდა იყოს". რესპონდენტი 21 (ქალი, 21 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევას, რომლის დროსაც ყოფილი პარტნიორი მამაკაცი სხვა მამაკაცს აიძულებდა სექსუალური ურთიერთობას, ამძიმებს საქართველოს კონტექსტი, რადგან ერთ-ერთ მხარეს ნაკლებად აქვს არჩევანის საშუალება და იძულებულია დათანხმდეს ყოფილ პარტნიორთან არასასურველ სექსუალურ ურთიერთობას. შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე დიდ გავლენას ახდენს ეს ფაქტორი:

„ესეც ძაან რთული სიტუაციაა, მით უმეტესს საქართველოში როდესაც ძაან დახურული არის საზოგადოება გეი ხალხის მიმართ და არამხოლოდ. ძაან რთული არის ქამინგ აუთი და შემდეგ მაგის შიში რეალურად ძაან დიდი არი, როცა იტყვი შენ რომ გეი ხარ და შეიძლება არ იცი შენი ოჯახი რამდენად მიმღებელი იქნება ან ოჯახი თუ მიმღებელი იქნება ვიღაც ნათესავი გამოჩნდება და ზოგადად საზოგადოება როგორ მიიღებს ამ ამბავს." რესპონდენტი 32 (ქალი, 22 წლის, ბათუმი).

რესპონდენტების ნაწილის აზრით დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს კონტექსტმა სტუდენტურ წვეულებაზე მომხდარ შემთხვევაზე, როცა უგონო მდგომარეობაში მყოფ ქალზე ბიჭებმა სექსუალურად იძალადეს. მათ მიაჩნიათ, რომ ეს გავლენა განსაკუთრებით ნათლად ჩანდა იმ პირზე ვინც ოთახში შეიხედა, დაინახა რაც ხდებოდა და არ შეაჩერა სექსუალური ძალადობა. ამ მიზეზით აუცილებელია საქართველოს კონტექსტის გათვალისწინება, როდესაც მსგავს შემთხვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხე ხდება მსჯელობა:

„პასუხისმგებლობა ეკისრება ადამიანებს, იმ ადამიანს ვინც შეიხედა ოთახში და თითქოს და დახმარება უნდოდა, მას შეეძლო, რომ ეს სხვისთვის ეთქვა. იქ სხვებიც იმყოფებოდნენ, მათთვის ეთქვა ეს ყველაფერი. უდიდესი პასუხისმგებლობა ამ ეტაპზე აკისრია, იმ ადამიანს ვინც ოთახში შეიხედა და ნახა, მაგრამ მასზეც იმოქმედა იმან, რომ საქართველოა და სხვანაირად შეიძლებოდა აღექვათ, არ უნდოდა გარეულიყო ამ ამბავში რაიმე ფორმით". რესპონდენტი 4 (მამაკაცი, 20 წლის, თბილისი).

რესპოდენტების მიერ კოლექტიურ ფაქტორებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი რომ შევაჯამოთ, შემდეგი ძირითადი ტენდენციები გამოვლინდა: რესპოდნენტებმა მომხდარზე პასუხისმგებლობა გადაანაწილეს ისეთ კოლექტიურ ფაქტორებზე, როგორიცაა სამუშაო გარემო, სხვადასხვა ინსტიტუციები და ორგანიზაციები, საქართველოს კონტექსტი რომელიც მოიცავს, როგორც საზოგადოებაში გავრცელებულ დამოკიდებულებებს და პრაქტიკას, ასევე,

ეკონომიკურ მდგომარეობას და მოცემულობას. რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მომხდარზე გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ისეთ კოლექტიურ ფაქტორებს, როგორიცაა სამუშაო გარემო და მისი წარმომადგენლები - კონკრეტული კომპანია ან ორგანიზაცია, ასევე, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლები, რომლებიც მომხდარს შეესწრნენ და იმ ინსტიტუციის ხელმძღვანელ პირებს, ვინც პასუხისმგებელია მსგავსი შემთხვევების პრევენციაზე. რესპონდენტები, ასევე აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს კონტექსტი ხშირად განაპირობებს მსგავსი სექსუალური ძალადობის შემთხვევების გავრცელებას, მსხვერპლს ეშინია სიმართლის თქმის, რადგან არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ საზოგადოება მას დააკისრებს პასუხისმგებლობას. გარდა ამისა შესაძლოა, ეკონომიკური მდგომარეობა ახდენდეს მსხვერპლზე ისეთ გავლენას, რომ იმყოფებოდეს არასასურველ ქორწინებაში, სადაც მას უწევს არასასურველი სექსუალური ურთიერთობა ქმართან. საქართველოს კონტექსტი ასევე ხელს უშლის შემსწრე პირებს ჩაერიონ და აღკვეთონ მომხდარი სექსუალური ძალადობის შემთხვევა.

### 3.3.3 თემის - მომხდარზე პასუხისმგებლობის შეჯამება

თემა - მომხდარზე პასუხისმგებლობა მოიცავს ინტერვიუს გზამკვლევში მოცემულ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხზე გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს. რესპონდენტები აღწერილ შემთხვევებზე პასუხისმგებლობას აკისრებდნენ, როგორც კონკრეტულ შემთხვევაში მონაწილე პირებს, ასევე იმ ფაქტორებს, რომელებმაც მათი აზრით ხელი შეუწყვეს ამ შემთხვევების გავრცელებას.

სუბთემა - ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მოიცავს იმ ტენდენციებს, რომლებიც გამოვლინდნენ რესპონდენტებთან ინტერვიუს დროს და ეხებოდა მომხდარ სექსუალური ძალადობის შემთხვევაზე ინდივიდუალურ პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს. რესპონდენტები ხშირად აკისრებდნენ პასუხისმგებლობას სრულად მოძალადე მხარეს, ასევე ანაწილებდნენ მცირე პასუხისმგებლობას მსხვერპლზე, იმ მიზეზით რომ ზოგიერთ შემთხვევაში მას ჰქონდა

საშუალება დროულად შეეჩერებინა მოძალადე და შემთხვევას არ მიეღო მძიმე სექსუალური ძალადობის ფორმა. რესპონდენტები ასევე ხშირად საუბრობდნენ იმ ინდივიდუალურ ფაქტორებზე - მსხვერპლის ან მოძალადის ხასიათის თავისებურებებზე, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სექსუალური ძალადობის შემთხვევების მანიფესტაციას. რესპონდენტების აზრით ზოგიერთ შემთხვევაში არსებობდა მცირე საშუალება მსხვერპლს თავი დაეღწია მოცემული სიტუაციებიდან სანამ უკიდურესი სექსუალური ძალადობის ფორმას მიიღებდა, არსებობდა ერთგვარი პრევენციის სივრცე და სწორედ ამ ინდივიდუალურმა ფაქტორებმა შეუშალეს მათ ხელი.

რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა ნაწილდება კოლექტიურ ფაქტორებზე. მათი აზრით ასეთი კოლექტიური ფაქტორებია ის სამუშაო გარემო, სადაც შემთხვევა მოხდა, ის ორგანიზაციები და ინსტიტუციები, რომელთა პასუხისმგებლობაც იყო მსგავსი სექსუალური ძალადობის შემთხვევების პრევენცია და საქართველოს კონტექსტი, რომელიც მოიცავს საზოგადოებაში გავრცელებულ რწმენა-შეხედულებებსა, პრაქტიკას და ეკონომიკურ მდგომარეობას. რესპონდენტების აზრით სწორედ ეს კოლექტიური ფაქტორები უწყობს ხელს სექსუალური ძალადობის შემთხვევების გავრცელებას და შესაბამისად გარკვეული პასუხისმგებლობა მათაც ეკისრება

## თავი 4 - დისკუსია - კვლევის შედეგების განხილვა

მეოთხე თავში წარმოდგენილია წინამდებარე კვლევის შედეგების და სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებული კვლევების განხილა და ურთიერთშეჯერება. ამ თავში განხილულია ისეთი საკითხები როგორიცაა სექსუალური ძალადობის ფორმები, სექსუალური ძალადობის ზღვარი და სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობა, ასევე სექსუალურ ძალადობაზე პასუხისმგებლობის და ბრალეულობის საკითხები.

### 4.1 სექსუალური ძალადობის ფორმები

სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია სექსუალური ძალადობის სამი ძირითადი ფორმა - სექსუალური შევიწროვება, სექსუალური იძულება და სექსუალური ძალადობა. მათ განსაზღვრებებს თუ გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ ისინი ერთმანეთს ზოგჯერ ფარავენ, განსაკუთრებით სექსუალური ძალადობის განსაზღვრება ფარავს სამივე ფორმას (Krug et al. 2002 147). როგორც წინა თავში იყო აღწერილი, კვლევის რესპონდენტებმა ასევე განასხვავეს სექსუალური ძალადობის სამი ძირითადი ფორმა: მსუბუქი ფორმა, რომელიც ნაწილობრივ ფარავს სექსუალური შევიწროვებას, სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმა რომელიც მოიცავს სექსუალური შევიწროვების მძიმე შემთხვევებს და სექსუალურ იძულებას და სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმა, რომლის დროსაც ფიზიკურ ძალადობას აქვს ადგილი. სექსუალური ძალადობის ფორმების განსაზღვრისას რესპონდენტების უმრავლესობა ხელმძღვანელობდა ფიზიკური ზემოქმედების ან ფიზიკური ძალადობის არსებობით ან არ არსებობით კონკრეტული შემთხვევების დროს. ისინი მიიჩნევდნენ, რომ როცა სახეზე არ არის ფიზიკური ზემოქმედება ეს სექსუალური ძალადობის უფრო მსუბუქი ფორმაა. როცა სახეზეა სექსუალური ხასიათის მცირე ფიზიკური ზემოქმედება და/ან ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა, მაშინ ეს გარდამავალი ფორმაა. ხოლო როცა სექსუალური აქტი განხორციელდა ფიზიკური ძალადობით ან მსხვერპლის დაყენებით ძლიერი ფიზიკური საფრთხის წინაშე ან ბოროტად ისარგებლეს მსხვერპლის უგონო მდგომარეობით, როდესაც მას არ შეეძლო ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა, მაშინ სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმას

აქვს ადგილი. აქამდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს სექსუალური ძალადობის ასეთი კლასიფიკაცია.

### 4.1.1 განსაზღვრება - სექსუალური შევიწროვება, მსუბუქი ფორმა

კვლევის შედეგები ეხმიანება სექსუალური შევიწროვების უკვე არსებულ განსაზღვრებას. ჰეჯასემ სექსუალურ შევიწროვებას განმარტავს, როგორც არასასურველ ან მიუღებელ სექსუალური შინაარსის ზეწოლას, სექსუალური ურთიერთობის მოთხოვნას, როგორც ვერბალურს, ასევე არავერბალურს ან ფიზიკური ქმედებით, რომელიც სექსუალურ ხასიათს ატარებს, რომელიც გავლენას ახდენს სამუშაოს შესრულებაზე ან ადამიანის ღირსებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა იქმნება მტრული, დამამცირებელი, შეურაცმყოფელი და შიშისმომგვრელი გარემო (Hejase 2015, 107). რესპონდენტების დიდი ნაწილის მიერ სექსუალური შევიწროვება ხშირ შემთხვევაში აღიქმება, როგორც სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმა. ისინი შედარებით მსუბუქ ფორმად მიიჩნევდნენ ისეთ შემთხვევებს, როცა სახეზე იყო პირად სივრცეში უხეში შეჭრა, რაც ხშირად ვლინდება სექსუალური შინაარსის არასასურველი კომენტარებით და სექსუალური ურთიერთობის ცალმხრივი ინიციატივით. მათი აზრით სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას ხშირად ადგილი აქვს სამუშაო გარემოში და ვირტუალურ სივრცეში. ის ხშირად განაპირობებს პრობლემებს როგორც სამსახურის ძიების დროს, ასევე სამუშაოს შესრულების პროცესშიც. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ასეთი ფორმის სექსუალური ძალადობის დროს ადგილი არ აქვს მსხვერპლზე ფიზიკურ ზემოქმედებას. თუმცა, სექსუალური შევიწროვების რთული ფორმის დროს შესაძლოა ფიზიკურ ზემოქმედებას ჰქონდეს ადგილი, ამ შემთხვევაში ის გარდამავალი ფორმის სექსუალური ძალადობა გახდება. როგორც ვხედადავთ, სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმა ძირითად ნაწილში ემთხვევა სექსუალური შევიწროვების აქამდე არსებულ განმარტებას და მხოლოდ ერთი განმასხვავებელი ნიშანი არსებობს - ეს არის ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში როცა ლაპარაკია სექსუალური შევიწროვების და/ან მსუბუქი ფორმის სექსუალურ ძალადობაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს სადაც ეს ხდება. როგორც წესი ასეთ სამუშაო გარემო წარმოადგენს იმ

სივრცეს, სადაც ამ ფორმის სექსუალურ ძალადობას აქვს ადგილი. ამას აქამდე არსებული სხვა კვლევაც ადასტურებს (Hejase 2015).

### 4.1.2 განსაზღვრება - გარდამავალი ფორმა, სექსუალური იძულება

წინამდებარე კვლევა მოიცავს სექსუალური იძულების საკითხსაც. აქამდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში სექსუალური იძულებას განსაზღვრავენ, როგორც ისეთი ტაქტიკის ან სტრატეგიის გამოყენებას, რომელიც სხვა ადამიანს იძულებულს ხდის ჩაერთოს სექსუალურ ურთიერთობაში მისი თავისუფალი ნების წინააღმდეგ ან ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე ან ნათლად ნათქვამი უარის მიუხედავად (Abbey et al. 2014, 265; Farris et al. 2008, 48). ეს ეგრეთ წოდებული იძულებითი სტრატეგიები შესაძლოა იღებდნენ მანიპულაციას სახეს (მაგალითად, დანაშაულის განცდის აღძვრით), ხშირი შეხების (მოფერება ან კოცნა), პარტნიორის ინტოქსიკაციის (ნარკოტიკით ან ალკოჰოლით), ვერბალური ან ფიზიკური ზეწოლის ფორმით (Tedeschi and Felson 1994). სექსუალური იძულება მოიცავეს ისეთ ქცევას, რომელიც კანონის მიხედვით განისაზვრება როგორც სექსუალური აგრესია და გაუპატიურება, ასევე მოიცავს სექსუალური ძალადობის ისეთ ფორმებს, რომელიც ვერ ხვდება კანონით განსაზღვრულ ცნებებში (Tedeschi and Felson 1994). წინამდებარე კვლევის შედეგებს თუ გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ სექსუალური იძულება ემთხვევა სექსუალური ძალადობის გარდამავალ ფორმას, რომელიც კვლევის რესპონდენტების დიდმა ნაწილმა ცალკე კატეგორიად გამოყო. სექსუალური ძალადობის გარდამავალ ფორმა სცდება სექსუალური შევიწროვების ფარგლებს, მაგრამ არ გულისხმობს ფიზიკური ძალადობით დამყარებულ სექსუალურ აქტს. ეს ფორმა სექსუალურ იძულებასაც მოიცავს, რადგან მსუბუქი ფორმისაგან განსხვავებით ამ დროს სახეზეა ძლიერ ფსიქოლოგიური ზეწოლა და ფიზიკური ზემოქმედება ან მისი მცდელობა, თუმცა რესპონდენტების აზრით ამავე დროს მსხვერპლს აქვს არჩევანის საშუალება - დაემორჩილოს მოძალადეს - დაეთანხმოს მას სექსუალურ ურთიერთობაზე ან გაუწიოს წინააღმდეგობა, რის შედეგადაც მას სოციალურ ცხოვრებაში შეექმნება სერიოზული პრობლემები. სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმების დროს ეს არჩევანი მსხვერპლს არ აქვს. კვლევის რესპონდენტების დიდი ნაწილი სექსუალური ძალადობის გარდამავალ ფორმას განსაზღვრავენ როგორც, ერთი მხარის მიერ მეორე

მხარის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენებას, როცა მას არ შეუძლია უარის თქმა სექსუალურ ურთიერთობაზე, მოძალადე არ იყენებს ამისათვის ფიზიკურ ძალას, მაგრამ ადამიანს გააჩნია ძალაუფლება, რომლის გამოყენებაც შეუძლია სხვა ადამიანის მიმართ სექსუალური ურთიერთობის მიზნით, შესაძლოა ადგილი ქონდეს ფიზიკურ ზემოქმედებას ან ფიზიკური ძალადობის მცდელობას, მაგრამ სექსუალური ურთიერთობა არ მიიღწევა ფიზიკური ძალის გამოყენებით. რესპონდენტების დიდი ნაწილის აზრით ეს ფორმა მოიცავს სექსუალური იძულების ძირითად ფორმებსაც და სექსუალური შევიწროვების რთულ შემთხვევებს, როცა მსხვერპლზე ფიზიკურ ზემოქმედებას ჰქონდა ადგილი. როგორც ვხედავთ სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმის განსაზღვრება მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებულ სექსუალური იძულების განსაზღვრებას. ორივე შემთხვევაში არსებობს თანხვედრა განსაზღვრების იმ ნაწილში როცა საუბარია ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე და მანიპულაციაზე. აქამდე არსებულ სექსუალური იძულების განსაზღვრებაში ნახსენებია მსხვერპლის ინტოქსიკაცია ალკოჰოლით ან ნარკოტიკიული საშუალებებით მასთან სექსუალური ურთიერთობის მიზნით (Abbey et al. 2014; Farris et al. 2008), ასეთ შემთხვევას წინამდებარე კვლევის რესპონდენტების დიდი ნაწილი სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმას მიაკუთვნებდნენ. მათი აზრით ეს მსხვერპლზე ფიზიკური ძალადობის ტოლფასი ქმედება იყო. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ ყოფილა საუბარი სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმის შესახებ. ქართველ ახალგაზრდებთან ამ კვლევამ გამოავლინა, რომ სექსუალური ძალადობის კლასიფიკაციის დროს შესაძლებელია სწორედ გარდამავალი ფორმის სექსუალური ძალადობის გამოყოფა ცალკე კატეგორიად.

### 4.1.3 სექსუალური ძალადობა - ზოგადი განსაზღვრება და მძიმე ფორმები

ძალადობის და ჯანდაცვის მსოფლიო მოხსენებაში სექსუალური ძალადობა განსაზღვრულია როგორც: ნებისმიერი სექსუალური აქტი ან სექსუალური აქტის განხორციელების მცდელობა, არასასურველი სექსუალური ხასიათის კომენტარები, შეხება, ვაჭრობა ადამიანის სექსუალობით მისი სურვილისა და ნების საწინააღმდეგოდ, იძულების გამოყენებით, რომელსაც ახორციელებს მსხვერპლთან რაიმე სახით დაკავშირებული ადამიანი, ეს შესაძლოა მოხდეს ნებისმიერ ადგილას,

მათ შორის შინ ან სამსახურში (Krug et al. 2002, 147). სექსუალური ძალადობის ეს განსაზღვრება ეხმიანება წინამდებარე კვლევას. რესპონდენტების დიდ ნაწილი მიიჩნევს, რომ სექსუალურ ძალადობის ცნება ფართო გაგებით ფარავს სექსუალურ შევიწროვების და იძულების ცნებას და ამ შემთხვევაში თითქმის ემთხვევა ზემოთ ნახსენებ განსაზღვრებას. გარდა ამისა მათ ასევე მიაჩნიათ, რომ არსებობს სექსუალურ ძალადობის განსაკუთრებით მძიმე ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებით სექსუალური ურთიერთობის მიღწევას, ასევე, მსხვერპლის დაყენებას მძიმე ფიზიკური საფრთხის წინაშე, მასთან სექსუალური ურთიერთობის მიღწევის მიზნით ან მსხვერპლის უგონო მდგომარეობით სარგებლობა, როცა მას არ შეუძლია არც თანხმობის გაცხადება და არც ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში სექსუალური ძალადობის კლასიფიკაცია არ არის თანმიმდევრული. არსებობს მხოლოდ ეს სამი ტერმინი - სექსუალური შევიწროვება, სექსუალური იძულება და სექსუალური ძალადობა, რომლების ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს. წინამდებარე კვლევის შედეგად, რესპონდენტების მსჯელობაზე დაყრდნობით, აღმოცენდა სექსუალური ძალადობის განსხვავებული კატეგორიზაცია, რომლის მიხედვითაც სექსუალური ძალადობა მოიცავს შემდეგ კატეგორიებს - მსუბუქი ფორმა - ფიზიკური ზემოქმედების გარეშე, გარდამავალი ფორმა - ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლით და იძულებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფიზიკური ზემოქმედებას, მძიმე ფორმა - ფიზიკური ძალის გამოყენებით სექსუალური ურთიერთობის მიღწევა - გაუპატიურება.

### 4.2 ზღვარი

წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებად შესაძლებელია მივიჩნიოთ სექსუალური ძალადობის ზღვარის საკითხი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ნაკლებად არის განხილული. საქმე ეხება როგორც ფლირტსა და სექსუალური ძალადობის მსუბუქ ფორმას შორის არსებულ ზღვარს, ასევე სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარსაც.

ჰეისი და მისი კოლეგები აღნიშნავდნენ, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში არსებობს განსხვავებები სად გადის ზღვარი სექსუალური ძალდატანების - იძულების მისაღებ და მიუღებელ ფორმებს შორის (Heise, Moore, and Toubia 1996). ამერიკის შეერთებულ შტატებში წყვილებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან, ეს ზღვარი ცვალებადია. ის ქმედებები, რომლებიც ათწლეულების წინ ითვლებოდა ქალის ბრალეულობად ან კაცის „ცუდ მანერებად“, ახლა პაემანზე გაუპატიურებად ითვლება. მისაღები ქცევის სოციალური აღქმა კულტურულადაა განსაზღვრული და შესაბამისად ცვალებადია (Heise Moore, and Toubia 1996, 12). სწორედ ამ საკითხს ეხმიანება წინამდებარე კვლევაც. კვლევის რესპონდენტების ნაწილმა მიიჩნია, რომ თუ ზოგიერთი შემთხვევის დროს არ იყო ფიზიკური ზემოქმედება ან მისი მცდელობა, არ ჩანდა მკვეთრად, რომ ერთი მხარე მეორეს ეუბნებოდა უარს სექსუალურ ურთიერთობაზე ან უარი იყო ბუნდოვანი, თუ სექსუალური ურთიერთობის თხოვნა არ იყო დაჟინებული და ხშირად არ მეორდებოდა, რჩებოდა რა მხოლოდ სექსუალური ურთერთობის შეთავაზებად, მაშინ ეს შემთხვევები სექსუალური ძალადობის რომელიმე კატეგორიაში ვერ მოხვდებოდნენ. რესპონდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სექსუალური ძალადობის ზოგიერთი შემთხვევა სამივე ფორმას მოიცავს და შესაძლებელია იმ ნაბიჯების განსაზღვრა, სადაც ჩანს როგორ გადადის ეტაპობრივად სექსუალური ძალადობის ერთი ფორმა მეორეში. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ზღვარი სექსუალურ ძალადობასა და ფლირტს შორის საკმაოდ რთული დასადგენია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა სხვადასხვა იყოს. თუმცა, რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ძირითად შემთხვევებში ზღვარი გადის ერთი მხარის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებაზე, როცა ფლირტი შემაწუხებელ ფორმას იღებს და არასასიამოვნოა რომელიმე მხარისთვის. აქამდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება ზღვარის საკითხის მსგავსი აღწერა, მხოლოდ რამდენიმე ავტორი ზოგადად საუბრობს კულტურულ ნორმებზე, რომლებიც საკმაოდ ცვალებად ხასიათს ატარებს (Heise Moore, and Toubia 1996).

### 4.3. პასუხისმგებლობის ატრიბუცია და მსხვერპლის ბრალეულობა

სამეცნიერო ლიტერატურაში სექსუალური ძალადობის საკითხს მჭიდროდ აკავშირებენ პასუხისმგებლობის და ბრალეულობის დაკისრების საკითხთან. აქამდე

არსებული არაერთი კვლევა ეძღვნება ამ თემას (Bell, Kuriloff, and Lottes 1994; Bridges and McGrail 1989; Frese, Moya, and Megías 2004; Grubb and Harrower 2009). სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობის საკითხი სხვადასხვა ტიპის შემთხვევის დროს განსხვავებულია. ეს კარგად ჩანს როგორც უკვე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე გამოვლინდა წინამდებარე კვლევის შედეგადაც. რესპონდენტების დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა როგორც წესი შემთხვევაში მონაწილე პირებს ეკისრება ან მათზე ნაწილდება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში პასუხისმგებლობა სხვადასხვა კოლექტიურ ფაქტორებზეც ნაწილდება. ეს კოლექტიური ფაქტორები შესაძლოა წარმოადგენდეს, როგორც კონკრეტულ ინსტიტუციას ან ორგანიზაციას, ასევე საზოგადოებაში გავრცელებულ რწმენა-შეხედულებებს, პრაქტიკებს და ეკონომიკურ მდგომარეობასაც.

### 4.3.1 სექსუალურ ძალადობაზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არაერთი სამეცნიერო კვლევა, რომელიც სექსუალურ ძალადობაზე პასუხისმგებლობის და ბრალეულობის საკითხს ეხება (Bell, Kuriloff, and Lottes 1994; Bridges and McGrail 1989; Frese, Moya, and Megías 2004; Grubb and Harrower 2009). მიმდინარე კვლევის შედეგები ხანდახან ემთხვევა აქამდე არსებული კვლევების შედეგებს და ზოგჯერ განსხვავდება. მიუხედავად იმისა რომ რესპონდენტების უმრავლესობა ძირითადად მოძალადე მხარეს აკისრებდა მომხდარზე პასუხისმგებლობას, ზოგიერთ შემთხვევაში ისინი მსხვერპლზეც ანაწილებდნენ მცირე პასუხისმგებლობას. აქედან გამომდინარე საინტერესო იქნება სწორედ ამ ნაწილის - მსხვერპლზე პასუხისმგებლობის გადანაწილების განხილვა და შედარება აქამდე არსებულ კვლევებთან.

ლენდსტრომი და მისი კოლეგები თავის კვლევაში აღნიშნავდნენ, რომ რესპონდენტები ნაკლებ ბრალეულობას ანიჭებდნენ მსხვერპლს ისეთი შემთხვევების დროს, როცა მას სექსუალურ შევიწროვებამდე არ ჰქონდა ფლირტი მოძალადესთან და პირიქით მეტად ადანაშაულებდნენ მსხვერპლს, როცა მას მანამდე ფლირტი ჰქონდა (Landström et. al. 2015). მათი კვლევის თანახმად გაუპატიურების მსხვერპლები შესაძლოა დაადანაშაულონ მომხდარში, მაგრამ სხვა ფორმის სექსუალური ძალადობის დროს ნაკლებად ცნობილია მსხვერპლის დადანაშაულება რამდენად

ხდება (Landström et. al. 2015). მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა წინამდებარე კვლევის ნაწილ რესპონდენტებთან. ისინი ასევე აკისრებდნენ მეტ პასუხისმგებლობას მსხვერპლს, რომელსაც ძალადობამდე კომუნიკაცია ჰქონდა მოძალადე მხარესთან და მათი ურთიერთობის ფლირტად მიჩნევა სრულიად შესაძლებელი იყო. მაგალითად, მეტად ანაწილებდნენ პასუხისმგებლობას მსხვერპლზე ისეთი შემთხვევის განხილვის დროს, როცა სტუდენტი ახალგაზრდა ქალი ონლაინ ურთიერთობას აგრძელებდა ლექტორ მამაკაცთან, მიუხედავად იმისა რომ სიტუაციის აღწერისას ჩანდა, რომ ახალგაზრდა ქალი არ იზიარებდა მამაკაცის გრძნობებს და უარს ეუბნებოდა ურთიერთობის ამ ფორმით გაგრძელებაზე.

გრაბი და ჰაროვეი თავის კვლევაში აღნიშნავდნენ, რომ იმ შემთხვევების დროს როცა მოძალადე და მსხვერპლი სექსუალურ ძალადობამდე იცნობდნენ ერთმანეთს, უნივერსიტეტის სტუდენტები უფრო ადანაშაულებდნენ მსხვერპლებს მომხდარში, როცა გაუპატიურების შემთხვევაში მონაწილე პირებს შორის ძალადობამდე იყო გარკვეული კომუნიკაცია (Grubb and Harrower 2009). კვლევის მონაწილეები ბრალეულობას იმ მიზეზით ანაწილებდნენ მსხვერპლზე, რომ მათი აზრით ურთიერთობა ხშირად მოიცავს გაუგებრობებს და ერთიდაიგივე მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ისინი სავარაუდოდ გრძნობდნენ, რომ ბრალეულობა სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით სხვადასხვანაირად ნაწილდება (Grubb and Harrower 2009). წინამდებარე კვლევის შედეგადაც მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა. იმ შემთხვევაში, როცა გაუპატიურება უცნობმა პირმა ჩაიდინა რესპონდენტების უმრავლესობა თითქმის სრულად მოძალადეს აკისრებდნენ მომხდარზე პასუხისმგებლობას და თითქმის არ ანაწილებდნენ მსხვერპლზე, ვიდრე სხვა დანარჩენ შემთხვევაში, როცა მოძალადე მხარე მეტნაკლებად ნაცნობი ადამიანი იყო.

ლორენ ჯერმანის კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში მსხვერპლები ვერ შეესაბამებოდნენ მათზე შექმნილ წარმოდგენებს (Germain 2016). ეს ეგრეთ წოდებული “perfect victim icon” – „სრულყოფილი მსხვერპლის ხატი“ არის კულტურული კონსტრუქტი, ხოლო სექსუალური ძალადობის „იდეალური მსხვერპლი“ არის წარმატებული სტუდენტი, რომელიც არ იყო ნასვამ მდგომარეობაში თავდასხმის დროს, მასზე მოძალადე იყო უცნობი, მან წინააღმდეგობა გაუწია

თავდამსხმელს, მას ფიზიკური დაზიანებები ჰქონდა და დაუყოვნებლად მიმართა სამედიცინო დახმარებას (Germain 2016). წინამდებარე კვლევის რესპონდენტებიც ხშირად აღნიშნავდნენ, რომ მსხვერპლს შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, დახმარების თხოვნა და მოცემულ სიტუაციაზე გავლენის მოხდენის საშუალება ჰქონდა, რომელიც მან ვერ გამოიყენა და სწორედ ამ მიზეზით ანაწილებდნენ მასზე მცირე პასუხისმგებლობას. ჯერმანის კვლევა ასევე ასახავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მოსაზრებებს (Germain 2016). მისი კვლევის მონაწილე მსხვერპლები თავს დამნაშავედ გრძნობდნენ და მიაჩნდათ რომ სხვები არ დაუჯერებდნენ, რადგან მათი რეაგირება მომხდარზე არ ჯდება „იდეალური მსხვერპლის" კრიტერიუმებში. მაგალითად, თავდასხმის დროს ისინი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, არ დაუყვირიათ საკმარისად ხმამაღლა და არ მიუმართიათ დაუყოვნებლივ საავადმყოფოსათვის ან პოლიციისთვის. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სწორედ ამ მიზეზების გამო მათ არავინ დაუჯერებდა (Germain 2016). წინამდებარე კვლევის რესპონდენტებმაც იმსჯელეს მსგავსი შემთხვევების ირგვლივ, მაგალითად, როცა ქალი ალკოჰოლური თრობის ქვეშ უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა და ასეთ მდგომარეობაში გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ამ შემთხვევაში რესპონდენტები ძირითად პასუხისმგებლობას მამაკაცებს აკისრებდნენ, თუმცა ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ მსხვერპლი ამ მდგომარეობამდე არ უნდა მისულიყო, ამდენი არ უნდა დაელია, ეს წინასწარ უნდა განესაზღვრა და ამ მიზეზით მომხდარზე პასუხისმგებლობა მცირედ, მაგრამ მასზეც ანაწილებდნენ.

წინამდებარე კვლევის შედეგებს ეხმიანება სამართლიანი სამყაროს რწმენის თეორია. ამ თეორიის მიხედვით ადამიანებს სწამთ, რომ ცხოვრობენ სამართლიან სამყაროში სადაც ყველა შედეგი დამსახურებულია (Lerner 1980; Lerner and Matthews 1967). ასევე, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სამართლიანი სამყაროს რწმენის დონე მნიშვნელოვან პრედიქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ როცა ბრალეულობის ატრიბუციების საკითხს განვიხილავთ (Strömwall, Alfredsson, and Landström 2012; 2013). ერთ-ერთი კვლევის მიხედვით ჯონსმა და არონსონმა გვიჩვენეს, რომ „პატივსაცემი მსხვერპლები" უფრო მეტად ექვემდებარებოდნენ ვიქტიმიზაციას ვიდრე ნაკლებად პატივსაცემი მსხვერპლები (Jones and Aronson 1973). მონაწილეები

თავს იცავდნენ იმ აზრისგან, რომ არსებობდა შესაძლებლობა მათაც გაეზიარებინათ „პატივის ღირსი მსხვერპლის“ ბედი (Jones and Aronson 1973). წინამდებარე კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ რესპონდენტების ნაწილი ხშირად ცდილობდნენ გზამკვლევში მოცემული ყოველი სიტუაციიდან ერთგვარი გამოსავალი ეპოვათ, როგორ დააღწევდნენ თავს ამა თუ იმ სიტუაციას ნაკლები ზიანით. ისინი მომხდარზე მცირე პასუხისმგებლობას მსხვერპლზეც ანაწილებდნენ. რესპონდენტები მსხვერპლის სხვადასხვა მახასიათებლებს ასახელებდნენ, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მომხდარზე მათ პასუხისმგებლობას უსვამდა ხაზს. ასეთი მახასიათებლები იყო: აღზრდა - წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა, ხასიათის სისუსტე, პასიურობა. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია გავავლოთ პარალელები ჯონსის და არონსონის კვლევასთანაც, როცა მათი კვლევის მონაწილეები ცდილობდნენ თავი დაეცვათ იმ აზრისაგან, რომ მათაც შეეძლოთ მსხვერპლის ბედის გაზიარება, ამ კვლევის რესპონდენტებსაც სხვადასხვა შემთხვევებზე საუბრისას ზოგჯერ ჰქონდათ იგივე მცდელობა.

### 4.3.2 სექსუალურ ძალადობაზე კოლექტიური პასუხისმგებლობა

კვლევის რესპონდენტების დიდი ნაწილი მომხდარზე პასუხისმგებლობის განხილვის დროს ხშირად საუბრობდა და ხაზს უსვამდა ისეთ ფაქტორებს, რომლებიც კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. მათ მიიჩნიეს, რომ სექსუალურ ძალადობაზე პასუხისმგებლობის დაკისრებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რა როლი შეასრულეს ამა თუ იმ შემთხვევის გავრცელების ან დამძიმების დროს სწორედ ამ კოლექტიურმა ფაქტორებმა.

ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრების ვებსაიტზე გამოქვეყნებულია ის სოციალური და საზოგადოებრივი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სექსუალური ძალადობის გავრცელებაზე (CDC 2022). მაგალითად, სოციალურ ფაქტორებს წარმოადგენენ სოციალური ნორმები, რომლებიც სექსუალურ ძალადობას ხდიან მისაღებს, რომლებიც მხარს უჭერენ მამაკაცის უპირატესად აღქმას და სექსუალურ უფლებას, ასევე, რომლებიც ინარჩუნებენ ქალის არასრულფასოვნად აღქმას და მის სექსუალურ მორჩილებას. ამას

გარდა სხვა სოციალურ ფაქტორებს წარმოადგენდა სიღარიბე, დასაქმების მცირე შესაძლებლობა, სექსუალური ძალადობის მიმართ საზოგადოებაში ტოლერანტული დამოკიდებულება (CDC 2022). იგივე საკითხზე ბოლო წლებში თურქეთში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქალთა მიმართ სექსუალურ ძალადობის გავრცელებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის ისეთი სოციალური ფაქტორები როგორიცაა ეკონომიკური მდგომარეობა და უმუშევრობა (Alkan and Tekmanlı 2021).

ამ კვლევების შედეგებს ეხმიანება წინამდებარე კვლევაც. ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულებების შესწავლამ გამოავლინა, რომ სოციალურ და კოლექტიურ ფაქტორებს საკმაოდ დიდ მნიშნელობა აქვს. რესპონდენტები ხშირად საუბრობდნენ ამ ფაქტორების მნიშვნელობაზე, როცა მომხდარ სექსუალური ძალადობის შემთხვევაზე პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავდნენ. მათი აზრით სექსუალურ ძალადობაზე პასუხისმგებლობა ნაწილდება შემდეგ კოლექტიური ფაქტორებზე: სამუშაო გარემო, სადაც შემთხვევა მოხდა, ის ორგანიზაციები და ინსტიტუციები, რომელთა პასუხისმგებლობაც იყო სექსუალური ძალადობის პრევენცია, ასევე საქართველოს კონტექსტი, რომელიც მოიცავს საზოგადოებაში გავრცელებულ რწმენა-შეხედულებებსა, პრაქტიკას და ზოგიერთ შემთხვევაში ეკონომიკურ მდგომარეობასაც. რესპონდენტების აზრით სწორედ ეს კოლექტიური ფაქტორები უწყობს ხელს სექსუალური ძალადობის შემთხვევების გავრცელებას და შესაბამისად გარკვეული პასუხისმგებლობა მათაც ეკისრება. ამ კვლევის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ კოლექტიური ფაქტორები მნიშვნელოვანი საკითხია სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობის განხილვისას.

## თავი 5 - დასკვნა

კვლევის პირველ ეტაპზე გამოვლინდა, რომ საქართველოში სხვადასხვა ტიპის და სიმძიმის სექსუალური ძალადობის შემთხვევები ხდება. სექსუალურ ძალადობას ადგილი აქვს როგორც სამუშაო და გასართობ ადგილებში, ასევე ოჯახურ და ვირტუალურ გარემოში. მოძალადე შესაძლოა აღმოჩნდეს, როგორც მსხვერპლისთვის უცნობი, ასევე კარგად ნაცნობი და მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ადამიანი. სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე მომუშავე სპეციალისტებთან ინტერვიუს და მედიაში გაშუქებული შემთხვევების შესწავლის შედეგად შეგროვდა სექსუალური ძალადობის ტიპური შემთხვევები, რომელიც ხშირად ხდება საქართველოში. ახალგაზრდებთან ინტერვიუს გზამკვლევისთვის შეირჩა 12 ტიპური შემთხვევა. კვლევის პირველი ეტაპის მიგნება, სწორედ ამ შემთხვევების გამოვლენა იყო. საქართველოში აქამდე არ ჩატარებული სხვა კვლევა, რომელიც სექსუალური ძალადობის ტიპურ შემთხვევებს გამოავლენდა, შესაბამისად წინამდებარე კვლევის ერთ-ერთ მიგნებად ეს შედეგიც შეგვიძლია მივიჩნიოთ.

კვლევის მეორე ეტაპის მიზანს წარმოადგენდა სექსუალური ძალადობის მიმართ ქართველი ახალგაზრდების დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველი ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია სექსუალური ძალადობა. ისინი განასხვავებენ სექსუალური ძალადობის სამ ძირითად ფორმას - კატეგორიას: 1) მსუბუქი ფორმა - შეხების გარეშე, ნაწილობრივ ფარავს სექსუალურ შევიწროვებას, 2) გარდამავალი ფორმა - მოიცავს სექსუალური შევიწროვების რთულ შემთხვევებს და სექსუალურ იძულებას, ამ ფორმის ძირითადი მახასიათებელია ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა ან ფსიქოლოგიური ძალადობა, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ფიზიკურ ზემოქმედებას, 3) სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმა, რომელიც გულისხმობს ფიზიკური ძალის გამოყენებით დამყარებულ სექსუალურ აქტს. აქამდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს სექსუალური ძალადობის მსგავსი კატეგორიზაცია. სექსუალური ძალადობის განსაზღვრება (Krug et al. 2002) ზოგადი ხასიათისაა და ფარავს როგორც სექსუალური ძალადობის შემთხვევების უმეტეს ნაწილს, ასევე სექსუალური შევიწროვების (Hejase,

2015) და სექსუალური იძულების აქამდე არსებულ განსაზღვრებებს (Abbey et al. 2014; Farris et al. 2008).

რესპონდენტების - ქართველი ახალგაზრდების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სექსუალური ძალადობის კატეგორიზაციის დროს, მნიშვნელოვანი ფაქტორია რამდენად ჰქონდა ადგილი ფიზიკურ ზემოქმედებას, ამის შემდეგ მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენება სექსუალური ურთიერთობის მიზნით. მათი აზრით სექსუალური ძალადობის ყველაზე მსუბუქი ფორმა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს პირად სივრცეში უხეშ შეჭრას, რაც ხშირად ვლინდება სექსუალური შინაარსის არასასურველი კომენტარებით და სექსუალური ურთიერთობის ცალმხრივი ინიციატივით. სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის აღწერილი სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმა, მის ნაცვლად არსებობს სექსუალური შევიწროვების ცნება, რომელიც საკმაოდ ზოგადი ხასიათისაა და ფიზიკურ შეხებასაც გულისხმობს (Hejase 2015).

რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ სექსუალური ძალადობის გარდამავალი ფორმა მოიცავს ძლიერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ფიზიკური ზემოქმედების ან ფიზიკური ძალადობის მცდელობას, თუმცა, ამავდროულად ასეთი შემთხვევების დროს მსხვერპლს აქვს არჩევანის საშუალება - დაემორჩილოს მოძალადეს, დაეთანხმოს მას სექსუალურ ურთიერთობაზე ან გაუწიოს წინააღმდეგობა, რის შედეგადაც მას სოციალურ ცხოვრებაში სერიოზული პრობლემები შეექმნება. სექსუალური ძალადობის მსუბუქი ფორმის მსგავსად სამეცნიერო ლიტერატურაში არც გარდამავალი ხასიათის სექსუალური ძალადობის ფორმის შესახებ არ არის საუბარი, არსებობს სექსუალური იძულების განსაზღვრება (Abbey et al. 2014; Farris et al. 2008), რომელიც ვერ მოიცავს სრულად სექსუალური ძალადობის იმ სპექტრს, რასაც გარდამავალი სექსუალური ძალადობის ფორმა ფარავს. მიუხედავად იმისა რომ ეს ორი ფორმა ხშირად ემთხვევა ერთმანეთს - განსაკუთრებით ფსიქოლოგიური ძალადობის ინსტრუმენტად გამოყენების ნაწილში, არსებობს განსხვავებებიც. გარდამავალი სექსუალური ძალადობის ფორმა შესაძლოა განისაზღვროს მძიმე ფორმის სექსუალური ძალადობისაგან, რადგან არ გულისხმობს ფიზიკური ძალადობის გამოყენებით მიღწეულ სექსუალურ ურთიერთობას. გარდამავალი

სექსუალური ძალადობის ფორმა ასევე სექსუალური შევიწროვების მძიმე ფორმებსაც მოიცავს, სადაც ადგილი აქვს მცირე ფიზიკურ ზემოქმედებას.

სექსუალური ძალადობის მესამე ფორმა განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებისგან შედგებოდა, როცა სექსუალური ურთიერთობა სრულად მსხვერპლის ნების წინააღმდეგ იყო და მოძალადე მიმართავდა ფიზიკურ ძალადობას ან მსხვერპლს აყენებდა ისეთი ფიზიკური საფრთხის წინაშე, როდესაც ის იძულებული იყო არ გაეწია წინააღმდეგობა და დათანხმებოდა სექსუალურ ურთიერთობაზე, ასევე, სარგებლობდა მსხვერპლის უგონო მდგომარეობით მასთან სექსუალური აქტის დამყარების მიზნით. მძიმე ფორმის ამ განსაზღვრებას ფარავს სექსუალური ძალადობის აქამდე არსებული განსაზღვრება (Krug et al. 2002), თუმცა ის ზოგადი ხასიათისაა და აერთიანებს ყველა ტიპის სექსუალური ძალადობის შემთხვევებს.

წინამდებარე კვლევის შედეგად გამოვლენილ ახალ კატეგორიზაციას თუ შევადარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არსებულ სამ ძირითად ფორმას, რომელიც ნაწილობრივ ფარავდნენ ერთმანეთს - სექსუალურ შევიწროვებას, სექსუალურ იძულებას და სექსუალურ ძალადობას, ნათლად ჩანს, რომ განსხვავებულ კატეგორიზაციასთან გვაქვს საქმე. ახალი კატეგორიზაცია უფრო მკვეთრად გამოყოფს სხვადასხვა ფორმის სექსუალურ ძალადობას, იმ კრიტერიუმების მიხედვით, რაც რესპონდენტებმა აღწერეს. კვლევის მეორე ეტაპის ერთ-ერთ ძირითადი მიგნება სექსუალური ძალადობის სწორედ ეს ახალი კატეგორიზაციაა.

კვლევის შემდეგ მიგნებას წარმოადგენს რესპონდენტების ნაწილის მიერ გამოვლენილი ტენდენციები, როდესაც მათ მიიჩნიეს, რომ ზოგიერთი შემთხვევის დროს არ ჰქონია ადგილი სექსუალურ ძალადობას. რესპონდენტების მიაჩნდათ, რომ როცა არ იყო ფიზიკური ზემოქმედება ან მისი მცდელობა, არ ჩანდა მკვეთრად, რომ ერთი მხარე მეორეს ეუბნებოდა უარს სექსუალურ ურთიერთობაზე ან უარი იყო ბუნდოვანი, თუ სექსუალური ურთიერთობის თხოვნა არ იყო დაჟინებული და ხშირად არ მეორდებოდა, რჩებოდა რა მხოლოდ სექსუალური ურთერთობის შეთავაზებად, მაშინ ეს შემთხვევები სექსუალური ძალადობის რომელიმე კატეგორიაში ვერ მოხვდებოდა. ასე გაეცა პასუხი ერთ-ერთ საკვლევ კითხვას,

რომლის მიხედვითაც მნიშვნელოვანი იყო გამოვლენილიყო რას არ მიიჩნევდნენ ქართველი ახალგაზრდები სექსუალურ ძალადობად. კვლევის ეს მიგნება განსაკუთრებულ მნიშვნელოვნელობას იძენს სექსუალურ ძალადობასა და ფლირტს შორის ზღვარის განსაზღვარისას.

კვლევის მეორე ეტაპის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ზღვარის საკითხის მიმართ გამოვლენილი ტენდენციები, რომლებიც აქამდე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან მწირედ იყო განხილული. განსაკუთრებით აღსანიშნავია სექსუალური ძალადობის ფორმებს შორის ზღვარის საკითხი. რესპონდენტების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ სექსუალური ძალადობის ზოგიერთი შემთხვევა სამივე ფორმას მოიცავს და შესაძლებელია იმ ნაბიჯების განსაზღვრა, სადაც ჩანს როგორ გადადის ეტაპობრივად სექსუალური ძალადობის ერთი ფორმა მეორეში - იწყება მსუბუქი ფორმით - პირად სივრცეში შეჭრით, სექსუალური შინაარსის არასასურველი კომენტარებით, გადადის ფსიქოლოგიურ ძალადობაში და მუქარაში, სრულდება ფიზიკური ძალის გამოყენებით დამყარებული სექსუალური აქტით. ზღვარის თემა ასევე ეხებოდა სექსუალურ ძალადობას და ფლირტს შორის ზღვარს. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა მიიჩნია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზღვარი შესაძლოა სხვადასხვა იყოს. თუმცა, ძირითად შემთხვევებში ზღვარი გადის ერთი მხარის სურვილის წინააღმდეგ მოქმედებაზე, როცა ფლირტი შემაწუხებელ ფორმას იღებს და არასასიამოვნოა რომელიმე მხარისთვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან მწირი ინფორმაცია არსებობს სექსუალური ძალადობის ზღვარის გამოვლენის საკითხზე. აქამდე არსებული კვლევა მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ სხვადასხვა საზოგადოებაში არსებობს განსხვავებები სად გადის ზღვარი სექსუალური ძალდატანების ან იძულების მისაღებ და მიუღებელ ფორმებს შორის (Heise Moore, and Toubia 1996). ეს კვლევაც ასევე ხაზს უსვამს ზღვარის საკითხის მნიშვნელობას, მაგრამ არ აღწერს იმ სიკითხებს რაც მიმდინარე კვლევაში გამოვლინდა. შესაბამისად მიმდინარე კვლევის ერთ-ერთ მიგნებად სწორედ ზღვარის საკითხის წინ წამოწევა და მისი სირთულის გააზრება წარმოადგენს.

კვლევის მეორე ეტაპი ასევე მოიცავდა ერთ-ერთ საკვლევ კითხვაზე პასუხს, რომელიც ეხებოდა მომხდარ სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობის

დაკისრების საკითხს, კერძოდ - ვის და რამდენად დააკისრებდნენ ქართველი ახალგაზრდები სექსუალურ ძალადობაზე პასუხისმგებლობას. რესპონდენტებმა მომხდარზე პასუხისმგებლობა გადაანაწილეს როგორც ინდივიდუალურ პირებზე, ასევე კოლექტიურ ფაქტორებზეც. ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მათი აზრით უმეტესწილად ეკისრება მოძალადე მხარეს, თუმცა მსხვერპლზეც ნაწილდება მცირე პასუხისმგებლობა. რესპონდენტები პასუხისმგებლობას მოძალადე მხარეს შემდეგი მიზეზით აკისრებდნენ: სახეზე იყო მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა, საკუთარი მდგომარეობით - ავტორიტეტით სარგებლობა, თანხმობის გარეშე სექსუალური შინაარსის ფოტოების გაგზავნა, თანხმობის გარეშე სექსუალური შინაარსის ვიდეოს გავრცელება სოციალურ ქსელში, სექსუალური ორიენტაციის გამხელის მუქარა, მსხვერპლის უგონო მდგომარეობაში ყოფნა, მსხვერპლის მოტყუებით ჩაბმა ტრეფიკინგის ქსელში და სექსუალური ურთიერთობის მიზნით ფიზიკური ძალის გამოყენება. მომხდარზე მცირე პასუხისმგებლობას მსხვერპლზე შემდეგი მიზეზების გამო ანაწილებდნენ - მსხვერპლი შიშის გამო თანმხმდებოდა სექსუალურ ურთიერთობას და ეს მიუღებელი იყო მათთვის, ზოგჯერ მსხვერპლი იჩენდა წინდაუხედავობას და ზედმეტად ენდობოდა მოძალადეს ან წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინა რა შედეგი შეიძლება მოყოლოდა მის ქმედებას. მიმდინარე კვლევის შედეგები მსხვერპლზე მცირე პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში ეხმიანება სამართლიანი სამყაროს რწმენის თეორიას რომლის მიხედვით ადამიანებს სწამთ, რომ ცხოვრობენ სამართლიან სამყაროში სადაც ყველა შედეგი დამსახურებულია (Lerner 1980; Lerner and Matthews 1967). აქაც გამოვლინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რესპონდენტები ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რა მიზეზით აღმოჩნდა მსხვერპლი ამა თუ იმ სიტუაციაში. კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებად პასუხისმგებლობის საკითხის ირგვლივ გამოვლენილი ტენდენციები შეგვიძლია მივიჩნიოთ.

კვლევის რესპონდენტები - ქართველი ახალგაზრდები მომხდარ სექსუალურ ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებლობას ანაწილებდნენ ისეთ კოლექტიურ ფაქტორებზე, როგორიცაა სამუშაო გარემო, ორგანიზაციები და ინსტიტუციები, რომელთა პასუხისმგებლობაც იყო სექსუალური ძალადობის პრევენცია, ასევე

